

652
1986 / 2

ISSN 0134 3459



ქვეყნის



1

1986

ქრონოსი

გამოცემის

27-ე

წელი

ლიბერატორულ-მსაბრუნო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
საპარტიზოლოს გვერდითა კავშირისა და აზარის განყოფილების ორგანო

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მოძაელი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
ხდმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

1

1986

იანვარი
თებერვალი



გ ა თ შ ი

ნოემბერი, რიგგამოსვლა X XVII
ყრილობას ეკუთვნის,
დაბადებით:

ყრილობის წელი, მშვიდობის წე-
ლი (მოწინავე) 3

აივანი, პირა

ჯგუალ ქათამაძე. სამშობლო, ხალხი,
პატიოსნება (ლექსი) 7

შოთა როყვა. ელესა (რომანის ფრაგ-
მენტები) 9

დავით თედორაძე. ლექსები. 23

ალექსანდრე ჩხაიძე. სიტყვა ეძლევა
ყველას (მოთხრობა) 27

ალექსანდრე ანანიძე. წინ, რესპუბ-
ლიკავ (ლექსი) 47

ბორის მეტრეველი. ლექსები 48

წინასწარმოვანი ტრიუნი

ნანა ბაჯელიძე. როცა შედეგებს ვა-
ჯამებთ 51

იური ბორიკი. სოციალისტური შე-
ჯიბრების ავანგარდში 54

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

რაც დავიწყებით არ იბინდება

იასონ ცერცვაძე. სტალინგრადში დაფერფლილი სიცოცხლე	56
მიხეილ მჭვილობაძე. მტრის ღრუ- ბლიან ცაში	59

წერილები

შოთა ჯაფარიძე. ვ. ი. ლენინი ღი- ტერატურის შესახებ	62
ოთარ თურმანიძე. ცხოვრების მხარდამხარ	68
მურმან გორგოშაძე. ახალი ტრა- დიციების დამკვიდრება-გან- ვითარების ზოგიერთი საკითხი	74
ჩამუკა ქემხაძე. მხოლოდ ჩვენს სი- ნამდვილეში	77

ხელოვნება

მიხეილ მახარაძე. „ცისფერი მთე- ბის“ სიმღელე	82
გუბაზ მეგრელიძე. რუსული საბჭო- თა დრამატურგია ბათუმის თეა- ტრის სცენაზე (წერილი II)	87

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ი.ემურ ფალავანდიშვილი „საბჭო- თა აჭარამ“ გამოსცა	90
გასულ ორ თვეში	92

გარეკანის 1-ლ გვერდზე — ვ. ი.
ლენინის ძეგლი ბათუმში,
ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.
ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

მთავარი რედაქტორი ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი ბაჩიჩილაძე,
ზურაბ გორგილაძე,
გამია ვარშანიძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზოტა ჯორიძე,
დავით თედორაძე,
გიორგი სალუქვაძე,
ჯემალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ზრიდონ ხალვაში,
დავით ხახუტაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუ-
მი, ენგელსის ქ. № 21. ტელ.
3-33-71.

გადაეცა წარმოებას 2.12.85, ხელმოწე-
რილია დასაბეჭდად 17.12.85, საბეჭდი
თაბახი 6, საგამომცემლო 4,8, შეკვეთის
№ 9813, ემ 01738, ქალაქის ზომა
60×90¹/₁₆, ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-
თიანება, ბათუმი ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузин-
ской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли.
Полиграфическое производственное
объединение Аджарской АССР,
Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

ყრილობის წელი, მუშაობის წელი

პარტიის პოლიტიკური კურსი — როგორც საშინაო ცხოვრების საკითხებზე, ისე საერთაშორისო პრობლემებზე — ყველაზე სრულად აისახა უმნიშვნელოვანეს თეორიულ და პოლიტიკურ დოკუმენტებში, რომლებიც განსახილველად წარედგინება სკკპ XXVII ყრილობას, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის წესდების ცვლილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტებით.

ხალხთან დაწყებული პარტიის დიდი ბჭობის პირველი შედეგები მოწმობს, რომ განსახილველად გამოტანილი დოკუმენტები საბჭოთა ადამიანების დიდ კმაყოფილებას იწვევს. პარტიის სტრატეგიული კურსისადმი აქტიური მხარდაჭერა — სიტყვითა და საქმით მხარდაჭერა — ჩვენი ოპტიმიზმის, არჩეული გზის სისწორის, იმის რწმენის წყაროა, რომ დასახული აუცილებლად შესრულდება.

ა. ს. გორბაჩოვი.

1 კალენდრის უკანასკნელი ფურცელიც გადაიშალა და 1985 ისტორიის კუთვნილება გახდა.

მობრძანდა ახალი წელი — 1986 — დიდი იმედების, გეგმების, მოლოდინის წელი.

კეთილი იყოს შენი მობრძანება, წელი ახალი!

მაგრამ სანამ ძველ წელს გავაცილებდეთ, გონების თვალთ კიდევ ერთხელ გადავხედოთ მის განვლილ გზას, ვნახოთ, რით იყო იგი მნიშვნელოვანი, ღირსსახსოვარი.

უპირველესად იმით, რომ ის ჩვენი წინსვლის, აღმშენებლობის წელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისათვის მზადების წელი იყო. საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები — საბჭოთა კავშირის

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.



ვშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია (პროექტი), პარტიის წესდების პროექტი და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტი.

საბჭოთა ადამიანები გულდასმით განიხილავენ ამ უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დოკუმენტებს, აქტიურად უჭერენ მხარს პარტიის სტრატეგიულ გეზს, თავიანთი თავდადებული შრომით განამტკიცებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას.

პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია და როგორც ყოველთვის, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველა ეტაპზე, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები დღესაც მთელ თავიანთ ნიჭსა და შემოქმედებით ეწევიან წარმართავენ სამშობლოს საკეთილდღეოდ, პარტიისა და ხალხის ინტერესებისათვის.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, — ნათქვამია პროგრამის პროექტში, — დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ მშრომელმა მასებმა უფრო სრულად და ღრმად აითვისონ სულიერი და მატერიალური კულტურის საგანძური, აქტიურად ეზიარონ მხატვრულ შემოქმედებას“. აქვე ხაზგასმულია, რომ პარტია ყოველნაირად შეუწყობს ხელს ლიტერატურისა და ხელოვნების როლის გაზრდას. ისინი ხალხის ინტერესებს, კომუნიზმის საქმეს უნდა ემსახურებოდეს, მილიონობით ადამიანის სიხარულისა და შთაგონების წყაროს წარმოადგენდეს, მათ ნებას, გრძნობებსა და აზრებს გამოხატავდეს, აქტიურად უწყობდეს ხელს მათ იდეურ გამდიდრებას და ზნეობრივ აღზრდას.

ამ მეტად ლაკონური, მაგრამ ჭეშმარიტად ღრმა შინაარსის გამომხატველ დებულებაში მოცემულია ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მუშაკის დღევანდელი თუ სამერმისო ამოცანები, საერთოდაც მწერლის, ხელოვანის მაღალი მისია, მისი როლი სოციალისტურ საზოგადოებაში.

მეტად მნიშვნელოვანია პროგრამის პროექტის ის მონაკვეთი, რომელშიც ლაპარაკია საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მაგისტრალურ მიმართულებაზე: „ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მთავარი გეზია ხალხის ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცება, სოციალური სინამდვილის მართალი და მაღალმხატვრული ასახვა, ახლის, მოწინავეის შთაგონებული და ნათელი გასხნა და ყოველივე იმის მგზნებარე მხილება, რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას“.

„რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას“ — სწორედ ამ ხე-

ლის შემსუბუქების, ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგაა მიმართული ჩვენი ლენინური პარტიის ყოველდღიური საქმიანობა, კერძოდ, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ის უკომპრომისო ბრძოლა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საქართველოს კომუნისტების, რესპუბლიკის ყველა მშრომელის აქტიური მხარდაჭერითა და მოწონებით.

ქართველი მწერლები, როგორც ყოველთვის, დღესაც საქმით ეხმარებიან პარტიის მოწოდებას. მანკიერების მგზნებარე მხილებასთან ერთად, მათ ერთი წუთითაც არ ავიწყდებათ საბჭოთა ლიტერატურის მთავარი ამოცანა, მისი დიდი მისია—ემსახურებოდეს კომუნიზმის საქმეს, წარმოადგენდეს საბჭოთა ადამიანების სიხარულისა და შთაბრძნის წყაროს, უჩვენოს ყოველივე ის სიკეთე, რაც ჩვენმა სოციალისტურმა სინამდვილემ მოგვიტანა.

გასული წლის მოვლენებს შორის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის ზეიმს. საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად ეს თარიღი მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა, რადგან სწორედ ჩვენმა ქვეყანამ იხსნა მსოფლიო მიხაკისფერი საშინელებისაგან, მონობისა და განადგურებისაგან, და დღესაც, 40 წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირი მშვიდობის, დემოკრატიის, პროგრესის ავანგარდში დგას.

სწორედ ამიტომ, როდესაც შარშანდელ შედეგებს ვაჯამებთ, არ შეიძლება უპირველესად მაინც ის ფაქტი არ აღვნიშნოთ, რომ 1985 წელი იყო კიდევ ერთი მშვიდობიანი წელიწადი. საერთაშორისო ცხოვრების დიდი პოლიტიკური მოვლენა გახდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრა. ამ შეხვედრის პრინციპულად მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ ჩვენი ქვეყნისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებმა ერთობლივ დოკუმენტში განაცხადეს: ბირთვული ომი არ უნდა გაჩაღდეს, და, საერთოდ, თავიდან უნდა ავიცილოთ ყოველგვარი ომი სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, და ვაღიარებთ იკისრეს არ შეეცადონ სამხედრო უპირატესობის მიღწევას. ამ თვალსაზრისით ჟენევის მოლაპარაკებების შედეგებს პოზიტიური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაში პოლიტიკური და ფსიქოლოგიური კლიმატის შეცვლაზე, მის გაჯანსაღებაზე. შეხვედრამ დასაბამი მისცა დიალოგს, რომლის მიზანია მიაღწიოს უკეთესობისაკენ ცვლილებებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში და, საერთოდ, მსოფლიოში.

სწორედ მსოფლიოს პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღება, მშვი-

დობის საქმისათვის განუხრელი ბრძოლა იყო და არის ჩვენი ლენინური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოღვაწეობის უადრესად კეთილშობილური მიზანი.

ამიტომაც საბჭოთა ადამიანები ოპტიმისტურად უყურებენ მომავალს, ახალი შრომითი მიღწევებით ეგებებიან სკკპ XXVII ყრილობას, განამტკიცებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას, ვველაფერს აკეთებენ პარტიის წინასწარდასახულობათა შესასრულებლად, მეთორმეტე ხუთწლედის დაეალებათა გასანადღებლად, ხუთწლედისა, რომლის პირველი წელი უკვე შემობრძანდა ჩვენს დიდ ქვეყანაში.

მაგრამ, როგორც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, „1986 წელი მართლოდენ მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წელი როდია, იგი დასაბამს მისცემს თვისობრივად ახალ ეტაპს საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში“.

კეთილი იყოს შენი მოსვლა ახალ 1986 წელს — პარტიის XXVII ყრილობის წელს, მშვიდობის წელს, ახალი გეგმებისა და იმედების წელს!



საქმობლო, სალსი, კატიოსნება

აი, ახალი ძალით შეტევა,
აი, ახალი მთების აღება,
ზეცის თავანის ხელით შეხება,
ვარსკვლავებს იქით გადაძახება.

დღეს მზის აღმურში იწვის პლანეტა,
ქარში შრიალებს ოქროს თავთავი.
ვინაც ლეგენდებს გადაამეტა,
ბოლომდე უნდა დარჩეს მართალი!

თუ გვინდა მშვიდი ცა და ნათელი,
ყველამ შემართოს შრომით მარჯვენა, —
გადასარჩენად კაცის სახელის
და სიყვარულის გადასარჩენად.

რომ მოიხადო საქვეყნო ვალი
არა ცარიელ სიტყვით და გულით, —
მიწას დაატყვე სიცოცხლის კვალი
და გაიტანე ბოლომდე ხეული.

კომუნისტური მაღალი რწმენით
მთიდან მადანის ტალღა დასძარი.
მშვიდობის ზარი შემოჰკარ მწველი,
ლექსიც დაანთე, როგორც ხანძარი.

ლოთს და მანკიერს მოუღე ბოლო,
მკერდში ნამდვილი ფეთქდეს გულები,
ყველა ბილიკი მოუჭარ ბოროტს,
რომ გზა ყვაოდეს დაუსრულებლივ!

რომ ჩვენი სწრაფვა ბრწყინავდეს დარად, —
არცერთი ყბედი, მრუდი და ფლიდი,

ვინაც წუწუნებს მტრის გასახარად,
მას არ ექნება ცხოვრება მშვიდი!

ყრილობას — ჩვენი გული და რწმენა,
სიტყვა და საქმე, ქურასთან დგომა...
ნუ შეგვაშინებს უღირსთა წყენა,
არაკაცთა და მლიქვნელთა წყრომა.

ასეთი არის პარტიის ნება
და ხალხის ნებაც ასეთი არის,
ჩვენი მარადი ფიქრი და გზნება, —
რევოლუციის შემტევი ქარი!

წინ გამარჯვებით იარო უნდა,
თუ გსურს, მზით გზების გასხივოსნება.
სამშობლო,
ხალხი
გვახსოვდეს მუდამ
და პარტიული პატიოსნება!



მ ლ მ ს ბ

შოთა როყვას რომანის „ფრთების“ მეორე წიგნი — „ველესა“ ეძღვნება თანამედროვე სოფლის პრობლემებს, ახალგაზრდა კომუნისტების ბრძოლას სოფლის სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნისათვის.

გბეჭდავთ ახალი რომანის ფრაგმენტებს.

ტრიფონ ტყემალაძე დილიდანვე რაიკომის მდივნის კაბინეტში იჯდა და საჩივრების სისწორეს ამოწმებდა. ყველაფერი ავთანდილ სვანიძეს ეხებოდა. საჩივრების შემოწმებისას სვანიძეს ბევრი ვინმე ამტყუნებდა, ბრალს დებდა, მაგრამ ბევრიც იცავდა, მხარს უჭერდა. რამდენიმე კაცის შემდეგ კაბინეტში მწერალი ოტია კახიანიც შევიდა. იგი არც მოწმე იყო, არც მომჩივანი და მისთვის არც არავის დაუძახნია. ოღონდ როცა გაიგო ავთანდილ სვანიძეს უჩივიანო, და კაცი ჩამოსულა შესამოწმებლად, ადგა და თვითონ მივიდა ტრიფონ ტყემალაძესთან.

ტრიფონი მოულოდნელობისაგან შეცბა, აქ არ ელოდა ოტია კახიანს. ოტიას იცნობდა, კაცმა რომ თქვას, დიდად არ სიამოვნებდა მასთან შეხვედრა და ლაპარაკი, მაგრამ ახლა, რაკი შემოვიდა, უნდოდა თუ არა, მაინც უნდა შეხვედროდა. ამიტომ ღიმილით წამოდგა და ხელი გაუწოდა.

— ოო, გამარჯობა, ბატონო ოტია, თქვენ საიდან გაჩნდით?

— სულ აქა ვარ, ბატონო ტრიფონ.

— ახლახან მოგიკითხეთ. მითხრეს მოსკოვშიაო.

— გუშინ ჩამოვედი. აქ კიდეც ახალი ამბავი დამახვედრეს.

ტრიფონმა ცნობისმოყვარედ შეხედა, მაინც რა ახალი ამბავი გაქვს მხედველობაშიო.

— ამბობენ, ავთანდილ სვანიძეს წაეკიდნენო. წყალს უმღვრევენო. რაღაც საჩივრებიც ყოფილა.

— ხალხი რას არ იტყვის, — ამრეზით თქვა ტრიფონმა, — თორემ ვინ წაეკიდა? საჩივრები კი მართლაც არის.... სხვათა შორის, მე საჭიროდ არ ჩავთვალე თქვენი შეწუხება, თორემ ერთგან თქვენც ხართ მოხსენიებული. არ დაგიძახეთ, რადგან საქმე ისედაც ნათელია.

— რომ არ შემაწუხეთ, ამისთვის გმადლობთ, ბატონო ტრიფონ, მაგ-

რამ მაინტერესებს ვიცოდე, რა საკითხია და რა მხრივაა ნათელი?

ტრიფონი ადგილზე უხერხულად აწრიალდა.

— ახლა როგორ გითხრათ...

— მე ავთანდილ სვანიძის ამბავი მაინტერესებს.

— დიახ, მეც მაგაზე მოგახსენებთ, — ისევ აწრიალდა ტრიფონი, — ჩვენ შორის რომ დარჩეს, ერთი სენი გაერცყელდა...

ოტია მოსაუბრეს ყურადღებით მიაჩერდა.

— დიახ, სამწუხაროდ, — განაგრძო ტრიფონმა, — განსაკუთრებით ახალდაწინაურებულ ხელმძღვანელთა შორის. გამოდის ტრიბუნაზე, ყოველმხრივ აქებს და ადიდებს მისი ხელმძღვანელობით მოპოვებულ მიღწევებს, იღებს ახალ ვალდებულებებს... თითქოს ყველაფერი კარგად მიდის. მერე შემოვა სიგნალები, შეამოწმებ და რა ირკვევა? თურმე, საქმე მთლად ისე როდი ყოფილა, როგორც პატივცემული ორატორი ტრიბუნიდან მოგვახსენებდა...

ოტია უსმენდა ტრიფონს და გულში ფიქრობდა: „აჰა, თქვენ, ბატონო, ასეთი რამეებიც იცით? ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“.

— შეამოწმებ და რას ხედავ? საქმე ყოფილა პირიქით! — წყნარად თქვა ტრიფონმა, — სწორედ ისე, როგორც ანდაზა ამბობს: „სიტყვა ბარაქიანიო, საქმე ტალახიანიო!“

„ხედავ, მამას“, — ფიქრობდა თავისთვის ოტია.

— საქმე დაახლოებით ასე ყოფილა აქაც! — ტრიფონმა ხელი დაადო მის წინ დაწყობილ ფურცლებს, — დიახ, ვერ არის მთლად დადებითი სურათი. არის გადახვევები, მიკერძოება, ძალაუფლების გადამეტება, და რა ვიცი...

— მაგრამ ხომ უნდა გავარჩიოთ, რა მიზნითაა გადამეტებული ძალაუფლება? ანდა, რას ნიშნავს ეს გადამეტება?

— გადამეტება ნიშნავს, როცა იმაზე მეტად მოქმედებ, რისი უფლებაც გაქვს! — მოუჭრა ტრიფონმა.

— უფლება რომ გაქვს და არ მოქმედებ. ამას რა ჰქვია? — მიაჩერდა ტრიფონს ოტია კახიანი.

ტრიფონმა, ცოტა არ იყოს, კახიანის ასეთი სითამამე სხვის საქმეში ჩარევად მიიჩნია და შუბლი შეჭმუნხა.

— ბატონო, თქვენთვის არ ღამიძახნია, არ შემოწმებთ იმას და მაინც კი მოხვედით, მიკვირს, რატომ ერევით?!

ტრიფონის შეჭმუნხვნილმა შუბლმა და უკმეხმა სიტყვამ ოტია გააღიზიანა.

— კარგა ხანს ვიდექით განზე, ტრიფონ ბატონო! და ბოლოს მივხვდით, რომ დავაშავეთ! ვხედავდით, მდივანი უღირს საქციელს ჩადიოდა, ვზა-

ზე ღიმილით ვხედვოდით და ხელს მოწიწებით ვართმევდით, აქაოდ, რა კარგი კაცი ხართ, თუ რაიმეს ისეთს აკეთებ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, რა ჩვენი საქმეაო.

გაყოფილებული მინისტრი ხელქვეითებს ავიწროებდა, კანონს და სამართალს აბუჩად იგდებდა, სახალხო ქონებასაც კარგად ითვისებდა, ეს ეიცოდით, მასაც ასევე კეთილად მოვიკითხავდით, ხომ კარგად, ხომ ვაჟ-კაცურად ბრძანდებითო. ღიახ, ასე სამარცხვინოდ ვიქცეოდით, განზე ვიდექით! ახლა კი... ნურას უკაცრავად. და აი მოვედი! მოვედი, რომ გითხრათ პირდაპირ: არ გეთანხმებით! — ცოტა არ იყოს, აწეული ტონით უთხრა ოტიამ, — ღიახ, ხელს აღარ ჩამოგართმევთ და აღარც კეთილად გაგიღიმებთ!

ტრიფონს არ ჰქონდა უკან დასახევი და პასუხი პირდაპირ კბილებში გამოსცრა:

— მეთანხმებით თუ არა, ვითომ ამას აქვს მნიშვნელობა?!

— ჯერ — არა, — წყნარად უთხრა ოტიამ, — მაგრამ შეიძლება მიეცეს! თუკი სილაჩრეს არ გამოვიჩენ!

ტრიფონმა მხრები აიჩეჩა.

— კაცო, რა გინდათ მაინც ვერ გავიგე!

— არ მომწონს ამნაირი დაკითხვები. ასე შეიძლება პატიოსან მუშაკს, სიკეთისათვის თავდადებულ კაცს სახელი გავუტეხოთ. სვანიძემ აქ კარგი ავტორიტეტი მოიხვეჭა და ახლა ზოგიერთებს სურთ წყალი აუშლდნენ!

— რა საფუძველი გაქვთ ასეთი განცხადებისათვის? — გაცხარდა ტრიფონი, — ვინ უშლდრევს წყალს?! ვენდეთ, დავაწინაურეთ, მაგრამ საჭიროა შემოწმებაც. და თქვენ რომ იცოდეთ, ბევრი რამ დასტურდება კიდეც. არავინაა ანგელოსი!

— რას ჰქვია ანგელოსი არ არის? მოპოვებული ავტორიტეტი და ნდობა — ეს პატარა ამბავი ხომ არ გგონიათ?

— ავტორიტეტი... ნდობა! — გაიმეორა ტრიფონმა, — ნდობა იმას კი არ ნიშნავს, რომ ვინმეს თვითნებობა ვაპატიოთ! თუ თქვენ საქმესთან ახლოს ხართ, გეცოდინებათ წიფლისხევის მაგალითიც. ვინ დანიშნა იმხელა მეურნეობის დირექტორად? თითქმის უპარტიო აგრონომი! თქვით, არის თუ არა ეს თვითნებობა? მით უმეტეს, რომ ჩვენ თვითონვე შევთავაზეთ რამდენიმე პარტიული და გამოცდილი ამხანაგის კანდიდატურა.

— აჰა, როგორ ყოფილა საქმე! — ერთგვარი ნიშნისმოგებასავით თქვა ოტიამ. — ეს ამბავი, რაზედაც ასეთი გულისწყრომით ლაპარაკობთ, მეტი დაფიქრების ღირსია. ჯერ ერთი, თქვენ რატომ შესთავაზეთ კანდიდატურა? ვითომ თვითონ ვერ გაართმევდა თავს ამ საქმეს? თუკი ენდეთ, რატომ არ აცლით მუშაობას? რაკი სიტყვამ მოიტანა, არ დაგიმაღავთ და

გეტყვი, ვიცი ორი კანდიდატურა, რომელიც თქვენ შესთავაზეთ. ერთ-ერთი მათგანი გაქნილი კომბინატორია, ათას ადგილას ნათაღლითად მჭორე კი... აღარ გვინდა ახლა ამაზე ლაპარაკი. მცოდნია თუ არა? ძალიან კარგად მოიქცა, თქვენ რომ არ დაგიჯერათ. რითია ცუდი წიფლისხევის მეურნეობის დირექტორი? ნეტა, მასეთები გვყავდეს...

— ახლა კი ბატონო, მაგრამ მაშინ ის ხომ უპარტიო იყო, უ-პარ-ტიო! — დამარცვლით თქვა ტრიფონმა.

— ბატონო ტრიფონ, ჯიბეში მეც პარტიბილეთი მიღევს, მაგრამ თქვენ ასე რომ ავითვალწუნებიათ, სიტყვა „უპარტიო“ საგინებელი ხომ არ გგონიათ? ისეთიც იყო, ჯიბეში ბილეთიც ედო და მთელი არმიაც ებარა, მაგრამ სამშობლოსათვის კრიტიკულ მომენტში სუელი სატანას მიჰყიდა და მტრის მხარეს გადავიდა.

— ვინ, კაცო?! — წამოიწია ტრიფონი.

— გამყიდველი ვლასოვი.

— აა, დსწყევლის ღმერთი, რად გინდა ახლა ტყვეების მაგალითი?

— არა, ეს ტყვეების მაგალითი არ გახლავთ. იგი ტყვედ არ ჩაუგდიათ, თავისი ნებით ჩაბარდა. ტყვედ ჩაიგდეს მეორე გენერალი — კარ-ბიშევი. იგი აწამეს, მაგრამ სამშობლოს მოღალატედ ვერ აქციეს, კმირი ვმირად მოკვდა!

ტრიფონი მორჩილად დაჯდა.

— ასე რომ, ბატონო ტრიფონ, ბევრი ბილეთი განთავისუფლდება ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის ჯიბეში ტყვეობისაგან!

რეპლიკა გამომწვევი გამოდგა.

— ხელმძღვანელთა შორის დღეს ვის ხედავთ უავტორიტეტოს?! — აწეული ხმით იკითხა ტრიფონმა, თანაც სიტყვა „დღეს“ განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვა.

მაგრამ როგორც ჩანდა, ოტია კახიანი ძალიან დაბოღმილი იყო და სრულებით არ ზემორობდა.

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ, არ გამაცინო! — უთხრა და თვალებში შეხედა, — თქვენმა მზერამ თვალში კოჭრები გაგვიჩინა, ბატონო ტრიფონ.

ტრიფონი გაცეცხლდა.

— რა უფლება გაქვთ ასე მელაპარაკოთ?! მე ზემდგომი ორგანოს მუშაკი ვარ!

— მერე მოგვხსენებთ, ზემოთაც აღმოჩნდნენ შემთხვევითი ადამიანები, და ისინი იქიდან დაითხოვეს!

ტრიფონმა ფანქარი ხელიდან გააგდო და წამოდგა.

— რატომ ვარ შემთხვევითი, ამხანაგო კახიანო?! ამიხსენით, დამისაბუთეთ!

— საიდან დავიწყეთ? კოლმეურნეობის ფერმას რომ ეწვიეთ და თქვენი სტუმრობის აღსანიშნავად ძროხა დააკვლევინეთ, თქვენ ის ტრიფონი ფონ ტყემალაძე ხომ ბრძანდებით?

— ეს რომ ჭორი გამოდგეს?!

— ჭორი როგორ გამოდგება, ამისთვის არ იყო, სააღრიცხვო პარათში შეჭანით სასტიკი საყვედური რომ მოგაკერეს? იქნებ დაგავიწყდათ? ხალხს კი ახსოვს!

ტრიფონი სკამზე ფერდაკარგული დაეშვა.

— ბატონო ოტია! — თქვა ღუმლის შემდეგ, — რად გინდათ, კაცო, ასეთი ლაპარაკი? მწერალი კაცი ხართ, ნიჭიერი, გამოჩენილი, ყველანი პატივს გცემთ. დაჯექით და წერეთ, აკეთეთ თქვენი საქმე...

ოტიამ ირონიულად გაიღიმა.

— ახლა ნიჭიერიც გავხდი, ხომ? ესე იგი, უნდა დავჯდე და ვწერო, და ვუყურო არამზადებს, როგორ ანგრევენ სიმწრით აშენებულ ქვეყანას, არა? თვალი დავხუჭო, არა? მეც მეხება ყველაფერი, ტრიფონ ბატონო, რაც აქ ავთანდილ სვანიძის გარშემო ხდება.

— მაინც ვერ გავიგე, რისთვის მოხვედით. მითხარი, თუ კაცი ხარ!

— მოსვლისთანავე გითხარით. თქვენ მორალური უფლება არა გაქვთ ამ კაცის საქმეები იკვლიოთ, ვერაფრით ვერ იქნებით ობიექტური და იმიტომ!

— მერე, ამას მე რატომ მეუბნებით, სხვაგან უნდა თქვათ!

— განა არ ვიტყვი? ახლავე დავურეკავ მდივანს. მერე, ვნახოთ... თქვენი არაფერი გეწყინოთ.

— თქვენი ნებაა. რეკეთ, რამდენიც გინდათ. ოღონდ ნუ იფიქრებთ, რომ ძალიან შევეშინდი.

— როგორ გეკადრებათ. განა არ ვიცი, რომ არაფრისაც არ გეშინიათ? უბედურებაც სწორედ ესაა. უფრო მეტიც, ხვალ ისევ გამოიცვლი კანს, ტრიბუნაზე დადგები და პატიოსნებაზე და წესიერებაზე ქადაგებას დაგვიწყებ! გიცნობთ. ყველას კარგად გიცნობთ. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ესე ზედმიწევნით გიცნობთ. ოჰ, ნეტავ, არ გიცნობდეთ! ნახვამდის, ტრიფონ ბატონო. ვგრძნობ, ჩვენ კიდევ მოგვიწევს შეხვედრა. — უთხრა და წავიდა.

ტრიფონი ჩაფიქრებული იჯდა. მღუმარედ დასცქეროდა წინ დაწყობილ ქაღალდის ფურცლებს. „დასწყევლის ეშმაკი, — ფიქრობდა ტრიფონი, — ყველაფერი მაინც როგორ იცინას! ახლა ერთი რომ მითხრა, სხვა რამდენი ეცოდინება? რაღაც დაუშავე, ალბათ, და აღარ მახსოვს. თორემ სხვისთვის ასე თავს როგორ გამოიდება? ეს ტიპი არასდროს არ მომწონდა, — ფიქრობდა ოტია კახიანზე, — არც არასდროს წამიკითხავს რაიმე მაგისი დაწერილი. მაგრამ მაინც არ მომწონდა. თურმე არ ვცდებოდი. მარ-

თლაც რომ დაბოღმილი ვინმე ყოფილა. რას იზამ, ჯანდაბამდის გზაში ჰქონია!“

კაბინეტში დარბაისელი, ჭადარბათიანი ქალი შემოვიდა — საავად-მყოფოს მთავარი ექიმი ნინელი გობრონიძე.

ტრიფონი თავაზიანად შეეგება, ფეხზე წამოდგა და ხელი გაუწოდა.

— ბატონო, კიდევ იმ საქმეზე გვეძახით, არა? — იკითხა ექიმმა, — აღარ გათავდა ეს გაწამაწია, ზომ?

— რა ვქნათ, ქალბატონო, რაიონებიდან მოდის და მოდის საჩივრები, წერენ და წერენ...

— ეს იმის ნიშანია, რომ ადგილებზე ხელმძღვანელები ცუდად მუშაობენ, — დაასვა დიაგნოზი ექიმმა, — ცუდად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, არ უსმენენ ადამიანებს.

ტრიფონი გამოცოცხლდა.

— როგორ, ქარცივაძე რომ საჩივრებს წერს, ესეც რაიკომის მდივნის ბრალია?

— ქუჩუჩა ქარცივაძე? — ზიზღით იკითხა ნინელი გობრონიძემ და თავი უსიამოდ გააქნია, — ოჰ! დიახ, მდივნის ბრალია!

— აი, სწორედ ეს გვინდა დაგვიწეროთ. თქვენ რაიკომის წევრიც პრძანდებით და თქვენს სიტყვას სულ სხვა წონა აქვს.

ტრიფონმა სასწრაფოდ შეაკოწიწა რამდენიმე თავისუფალი ფურცელი, ექიმს წინ დაუდო და ავტოკალამიც შესთავაზა.

— დაგიწეროთ, — თქვა ნინელი გობრონიძემ და თავისი ავტოკალამი ამოიღო, — როცა ქარცივაძე სამსახურიდან მოხსნეს და პარტიის რაგებიდან გარიცხეს, იქვე დაუშვეს შეცდომაში...

— აი ეს დაგიწერეთ! — მიაჩერდა ტრიფონი, აქაოდა, ეს არის. რაც არისო.

— დიახ, — გაიმეორა ექიმმა, — ქარცივაძე მაშინვე უნდა აეყვანათ პატიმრობაში! და მოვისვენებდით, ამდენი გაწამაწიაც აღარ იქნებოდა!

ტრიფონს პირკატა ეცა.

— მოითმინეთ, ასე წერო? — იკითხა გაკვირვებით.

— დიახ, ასე. თუკი ჩემს სიტყვას მართლა წონა აქვს, ასე! თავის დროზე დაგიწერეთ და ახლა ამასაც დაუშვებთ!

ტრიფონმა უკმაყოფილოდ დაიწყო თავის კანტური და წინ დაწყობილი ქაღალდების ნერვული ჩხრეკა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაწყობა. მერე ექიმს სახეში მიაჩერდა.

— ქალბატონო! მომისმინეთ. რაიკომის მდივანი... სხვისი ცოლის გულისათვის... იმხელა თათბირს მიატოვებს და ჩამოვა...: თქვენ, როგორც კომუნისტი, ამ საქციელს იწონებთ? დადებითად აფასებთ?

— ეს ამბავი სვანიძეს, როგორც ადამიანს, ამაღლებს.

— მაგრამ როგორც მდივანს? — ნიშნისმოგებით მიაჩერდა ტრიფონი.

— პირდაპირ საოცარია, — თქვა ექიმმა, — როგორ, რაიკომის მდივანი აღამიანი არ უნდა იყოს? კაცის გული არ უნდა ედვას? ის დეპეშა სვანიძეს მოსკოვში მე გაუფუზავნე... ქარცივაძის თანხმობით. დიახ, ადრეც ვითხარით და ახლაც ვიმეორებ.

— ამას ქარცივაძე უარყოფს.

— იმიტომ, რომ ცუდლუტია, გაიძვერაა. ეს ადრეც ვიფიქრე. ვაი თუ ქუჩურჩა ქარცივაძემ ეს ამბავი ბოროტად გამოიყენოს-მეთქი. მაგას ვინ ენდობოდა, ეს საბრალო ქალი მან შეიკლა ხელში. ამიტომ ყველაფერი ავწონ-დავწონე და ქარცივაძესთან საუბარიც, დეპეშის ტექსტიც მაგნიტოფონზე მაქვს ჩაწერილი. დიახ, ჩვენი საუბარიც, სვანიძის ჩამოსვლა და ქარცივაძესთან შეხვედრაც.

— რას ამბობთ? — თვალები გაუფართოვდა ტრიფონს, — ჩაწერილი გაქვთ?

— დიახ, ყოველ შემთხვევისათვის. ეს დოკუმენტი. საქმე რაიკომის პირველი მდივნის ავტორიტეტს ეხებოდა. და ქარცივაძეს რას ვენდობოდი? ვითხოვე ჯიბის მაგნიტოფონი და ყველაფერი ჩავწერე. შორს წასვლა არ დამჭირებია. ახალგაზრდა ქირურგი გვყავს ერთი, მაგნიტოფონების დიდი მოყვარულია, მეზღვაურებთანაც კი მეგობრობა აქვს. ექთანი გოგონები გადამირია, რა მუსიკა და მომღერლები არა აქვს ჩაწერილი. აი, მისგან ვითხოვე. მან კი დღესაც არ იცის, რისთვის დამჭირდა.

ეს ამბავი ტრიფონს სრულებითაც არ ესიამოვნა. მისი არგუმენტები და ნარკვევი შეირყა, საფუძველი გამოეცალა.

— უყურე შენ! — თქვა და გაჩუმდა. მერე ექიმს შეხედა, — მაშინ... ნახვამდის, დამთავრებულია ჩვენი შეხვედრა.

— ნახვამდის, ბატონო, — თქვა ნინელი გობრონიძემ და წავიდა.

ტრიფონმა მისი ხელნაწერი დახია და კალათში ჩაყარა. „დასწყევლის ეშმაკი, — გაივლო გულში, — მეგონა, ქარცივაძეს ესარჩლებოდა, თურმე, მის დაპატიმრებას არ მოითხოვს?“

ტელეფონის ზარზე ყურმილი აიღო.

„დიახ, გისმენთ, ვიქტოროვიჩ, — ფეხზე დადგა ტრიფონი, — თითქმის ყველაფერი ისევე, როგორც ვიცოდით... აჰა, გასაგებია... დიახ, კი ბატონო, მესმის... სავსებით სწორია... მართალი ბრძანდებით, ვიქტოროვიჩ. ხა-ხა-ხა! მესმის... გასაგებია“.

ხმა რომ შეწყდა, ტრიფონს კიდეც დიდხანს ეჭირა ხელში ყურმილი. აუთანდილ სვანიძე სწორედ ამ დროს შემოვიდა თავის კაბინეტში. ფეხზე მდგარი ტრიფონი ტელეფონით ხელში რომ დაინახა, პირს ღიმილი მოეფინა.

— ოჰ, კაცო, ძმაო! — შესძახა მხიარულად, — რატომ იკლავ თავს ამ-

დენი მუშაობით? რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიაზე პირდაპირ ჩემი კაბინეტიდან გინდათ გახვიდეთ?

— უკვე დავამთავრეთ, — წყნარად, თვინიერი ტონით თქვა ტრიფონმა და, როგორც იქნა, სვანიძის სავარძელს გამოსცილდა, — დავამთავრეთ, მოვრჩით!

— ვაშა, სალიუტ! — შესძახა სვანიძემ, — მომილოცავს!

არაჩვეულებრივად კარგ ხასიათზე იყო სოფლიდან დაბრუნებული რაიკომის მდივანი, ილიმეზოდა, ოხუნჯობდა.

— სოფელი მაინც სოფელია, ბატონო ტრიფონ, გამოგაცოცხლებს. არადა, რა თეფზი ვნახე, რა კეფალი ქინძმარში ჩაწყობილი! უარს იტყვი? ეწყინებათ, იტყვიან ამპარტავანია, ჩვენს პურ-მარილს არ კადრულობსო. შეექცევი და... ღვინო? რა ღვინის დაყენება იციან ძველებმა! ვინც იცის, იცის! ხელობას არ გაიფუჭებს, ღვინოს შეურაცხყოფას არ მიაყენებს... წაიღე ამბავი, გამოგადგებათ.

— მოასწართ, ზომ? — იკითხა ტრიფონმა, თითქოს სვანიძის ირონია ვერ გაიგო. სვანიძემ კი კუთხეში მიყუდებულ თოხს წაავლო ხელი.

— ერთი, არ იქნა, ვერ მოვიცალე ამ ახალი თოხით ყანაში შევსული-ყავი.

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა

არ გაიარე, რაა მაშული!“

ბატონო ტრიფონ, თქვენ პოეზია გიყვართ?

ტრიფონი ღუმდა, ძველებური რიხიც დაჰკარგოდა, სვანიძე მიხვდა, რაღაც მომხდარა, მაგრამ რა, ვერ მოიაზრა.

— რა ვიცი, რად მინდა პოეზია? — თქვა ტრიფონმა.

— თქვი ვაუჟაცურად, ზომ კარგია მდინარის პირზე ყანაში თოხით შესვლა, ა? „მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა!“

— სხვათა შორის, თქვენს სამეურნეო ნიჭს ვაფასებთ, — გამონახა პასუხი ტრიფონმა, — თქვენი არჩევის შემდეგ ამ რაიონმა გვემა პირველად შეასრულა. მართალია, საჩივრებში ბევრი რამ დადასტურდა, მაგრამ... ამ საკითხს, ალბათ, ბიუროზე აღარ განვიხილავთ.

— ოო, ყოჩაღ, მაღაღეც! — თქვა სვანიძემ, — ძალიან კარგი, მეც ასე ვფიქრობდი.

— დიახ, გადაგიყვანთ.

— სად, ბატონო ტრიფონ?

— ნუ გეშინიათ, უკმაყოფილო არ დარჩებით. გამოგიყენებთ სადმე, კარგ სამეურნეო ადგილას.

— აჰა, გამომიყენებთ, არა? — შუბლი შეჭმუნა სვანიძემ, — მე თქვენი გამოსაყენებელი აგურიც გავხდი, ზომ?

— რატომ ამბობთ ასე?

სვანიძემ თოხს ადგილი გადაუნაცვლა და ტარს ხელებით ჩამოეყრდნობოდა.

ხო.

— ბატონო ტრიფონ, მე რაიკომის მდივნად არა ვარ დაბადებული, ტიპირიაშვიტის აკადემია დავამთავრე, აკადემიის შენობა წითელი აგური-თაა ნაშენი და თითქმის ტყეშია. შემომღია ვიმუშავო აგრონომად, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ... ანდა პირდაპირ, ყანა ვთოხნო. არ იფიქროთ, ვითაკილო. მაგრამ თუ აქედან უნდა გამამყვანონ მაგ საჩივრებას გამო, გაშასაღაპე, ჩემს მიმართ გაქვთ სერიოზული პრეტენზიები.

— დიხ, გვაქვს, — თავი დააქნია ტრიფონმა. — მაგრამ ხომ არ გხსნით? შეიძლება მხოლოდ გადავიყვანოთ. ამას სხვისი სახელით არ ვამბობ, ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია.

— ამაზე აქ ნულარ ვილაპარაკებთ! — გაბრაზდა სვანიძე, — ზვალ დილით იქ ვიქნები, სადაც საჭიროა!

— არ გირჩევთ! — ტრიფონმა პორტფელში ქაღალდები ჩაალაგა, — ამითში ბევრი საგულისხმო ბრალდებაა თქვენს მიმართ დადსტურებული.

— ყველაფრისთვის პასუხს ვაგებ! — სვანიძემ სავარძელში თავისი ადგილი დაიკავა, — ყველაფრისათვის! დიხ, მე თვითონ!

— როგორ? — გაჯიუტდა ტრიფონი, — ქალაქელი ხალხი რომ ჩამოიყვანეთ და ცალკე კომპლექსად აფორმებინეთ, რა ჰქვია ამას? საკოლმეურნეო მიწების ფლანგვა! რაზბაზაროვანიე! როგორ ფიქრობთ, მადლობას გეტყვიან?

— მეტყვიან! — თავი დააქნია სვანიძემ, — ახალგაზრდა კაცი ჩამოვიდა, ოჯახს მოეკიდა, ქვეყნის სასიკეთო საქმეში ჩაება, რატომ არ უნდა მითხრან მადლობა? თუ კიდევ არის ვინმე მსურველი, ჩამოვიდეს, დავასახლებთ! ჩვენ მიწა გვაქვს, ყველაფერი გვაქვს... აი, ამისთანა ქაღალდები ხელს რომ არ გვიშლიდეს!

— არ მესმის, რას ნიშნავს ასეთი ლაპარაკი?!

— აბა, რა გახდა, ბოლოს და ბოლოს! — ხმას აუწია სვანიძემ, — ხართ ჩასაფრებული — კაცმა შინ მოსავალი არ მოიწიოსო, ძროხა არ მოწველოსო, ხეხილი არ დარგოსო... ის არ შეიძლებაო, ეს როგორ იქნებაო... მადლობას ვინ გვეტყვისო! გვეტყვიან! ოღონდ მოგვეშვით, გვაცალეთ მუშაობა.

— აბა, ხელსაც გიშლით, არა? — წამოიძახა ტრიფონმა, — ძალიან კარგი. კარგი. ჩემო ბატონო... ნახვამდის, ამხანაგო სვანიძე. — პორტფელს ხელი დაავლო და წავიდა.

სვანიძემ ერთხანს უყურა კარებს, საიდანაც ტრიფონი გავიდა და მერე ბრაზით თქვა: — ინტრიგანი!

კაბინეტის კარი ფრთხილად გაიღო, სოლომონმა შემოიხედა.

სვანიძეს სოლომონის დანახვა გულზე მაღამოსავით მოეცხო.

— მოდი! — ძმაცაცივით დაუქნია ხელი.

სოლომონიც გაბედულად შემოვიდა.

— გამარჯობა, — ხელი გაუწოლა მდივანმა, — რა მოხდა, ხომ არ გიჭირთ რამე?

— თქვენ თუ არაფერი გიჭირთ, ჩვენ რა გვიშავს, ბატონო? — ღიმილით უთხრა სოლომონმა.

— რაღა დაგიძლო, მიჭირს, სოლომონ, ძალიან მიჭირს! — მაგიდის უჯრიდან შოკოლადის ფილა ამოიღო და ნაწილებად დატეხა, — აილე!

სოლომონი მიაჩერდა.

სვანიძეს გაეღიმა.

— აილე!

— გმადლობთ.

— იცი, რა მომივიდა ერთ დღეს ინსტიტუტში? გამოცდაზე უჭმელი მივედი. იქაური ბუფეტის იმედი მქონდა და ის კი დაკეტილი დამიხვდა. სხვაგან წასვლაც აღარ ესწრებოდა, საღაც იყო გამოცდაზე დამიძახებდნენ. ასე ვიცადე პირველ საათამდე. ძალიან მშოიდა, როცა ბილეთის ასაღებად გამომიძახეს, პროფესორმა ჩანთიდან ბუტერბროდი ამოიღო და მაგიდაზე ბილეთების ახლოს დადო. თვალი ბუტერბროდისაკენ გამექცა.

— აილე და დაიწყე! — მიბრძანა პროფესორმა.

ბუტერბროდი ავილე და ჭამა დავიწყე, მაღიანდაც შევექცეოდი.

პროფესორმა ერთხანს მიყურა გაცეებით, მერე კი სიცილი აუტყდა.

— მე გითხარი ბილეთი აილე-მეთქი, შენ კი ჩემი ბუტერბროდი აილე! სოლომონსაც გაეცინა.

— გმადლობთ, არ მინდა შოკოლადი. გეფიცებით, ლამის ყველაფერი სანანებელი გამიხდეს. ვის რა დავუშავე? ცოლი შევირთე, ბაბუაჩემის კარმიდამოში დავსახლდი და რაც შეგვიძლია, ორივე ვშრომობთ. რამ გადარია ეს ხალხი, რამ შეაშინა, ცხრაჯერ რომ დამიბარეს და ახსნა-განმარტებას მთხოვენ!

— საქმეს ქმნიან, ჩემო სოლომონ!

— ბატონო, რა საქმეა ეს, — ბაბუაჩემი გადარევაზეა, ნერვიულობს, ვინაა ეს ტრიფონი, ასე რომ შეგეჭამა?

— ტრიფონი! — თითქოს თავისთვის თქვა სვანიძემ, — შენ ისინი მითხარი, ტრიფონის ზურგს უკან რომ ღებანან, თორემ ტრიფონი... შენ თუ გიყვარს პოეზია?

— პოეზია? კი, როგორ არა, ლექსებს ვკითხულობ „ნაიანგში“.

— ამას წინათ პოემა წავიკითხე. აი, ასეთ მუშაკებს, ახლა შენ რომ ახსენე, პოეტი ხავსმოდებულ ქვეებს ადარებს.

— ქვა და ლოდია, აბა კაცის გული ხომ არა აქვს მავას! — დაუდასტურა სოლომონმა.

— ჰოდა, ეს ქვები ერთ ადგილას კი არ ყრია, ყველგან გვხვდება და ფეხებში გვებლანდება, წინ სიარულს გვიშლის!

— მაინც როგორაა საქმე?

— თქვენი, — კარგად, ჩემი — ცუდად. ვინ იცის, მაგ ქვებმა იქნებ მეც გადაშწონოს... მაია როგორაა?

— გმადლობთ. მაგრამ რა უნდა ქნას, მოსვენება არა აქვს. სახათბალო საქმეშია შებმული. თქვენი ბრალია, რა მისი საქმე იყო თავმჯდომარეობა? სოფელი რთულია, ხალხი სერვიული გახდა. კიდეც უნდა ეჩხუბო. არ ეჩხუბები და... მაია ნანობს, იმ წყალსადენის საქმეზე მდივანი გავაკრიტიკე და ვაწყენინეო.

— პირიქით, მე არ მწყენია, როცა კრიტიკა სამართლიანია, წყენას არ უნდა იწვევდეს, მაგრამ მაიას ერთი ნაკლი აქვს: ჩქარობს, ყველაფრის გაკეთებას ერთბაშად ფიქრობს. ასე კი არ შეიძლება. ამიტომ იმ დღეს თათბირზე მეც ვაწყენინე. სიტყვა ვერ მოვზომე და ცოტა მეტი მომივიდა. რას იზამ, ყველაფერი ისე არ გამოდის, როგორც ჩვენ გვინდა. ეს ნერვები ჩვენც ვერა გვაქვს მოწესრიგებული და... უთხარი მაიას, მდივანმა რომ გაცენინა, ახლა ბოდიში მოიხადა-თქო.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო. მე ვეტყვი, ჩვენი საქმე კარგადაა და მდივნის საქმესაც არაუშავს-მეთქი. მართალია, ხავსიანი ქვები ხელს უშლიან, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერაფერს დააკლებენ-მეთქი.

სვანიძეს გაეღიმა.

— კარგი, აგრე უთხარი, იქნებ ბედმა გაგვიღიძოს.

— ახლა ათანასე ბაბუასაც უნდოდა წამომყოლოდა, მაგრამ გამოივებარე. მას ძალიან უყვარხართ, ასეთი მდივანი მეტი არა გვყოლიაო. ბაბუა საოცარი კაცია, თუ ვინმე უყვარს, უზომოდ უყვარს, თუ ვინმე სძულს, უსაშველოდ სძულს.

— ნაღდი კაცია და იმიტომ. გადაეცი ჩემი მოკითხვა და პატივისცემა. სოლომონმა თავი თავაზიანად დაუკრა, კარებში გავიდა, მაგრამ ჩქარა უკანვე შემობრუნდა.

— ბაბუა მაინც ჩამოსულა, ბატონო!

სვანიძე წამოდგა, კარებისაკენ წავიდა. კაბინეტში დინჯად შემოვიდა საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილი მშვენიერი შესახედაობის მოხუცი ათანასე ღლონტი.

სვანიძემ უკან დაიხია, მოხუცი შეათვალიერა. მერე ხელი გაუწოდა.

— მობრძანდით, ბატონო. რა მოხდა, რამ შეგაწუხათ?

ათანასემ ჭაღარა თავი ამაყად ასწია, სვანიძე შეათვალიერა.

— მართალია, სიბერისაგან ცოტა ყურს დამაკლდა, მაგრამ რაც ამბები

გავიგონე, მივხვდი, რომ გიჭირთ... ვაი თუ ჩვენ ჩაგაგდეთ მაგ გასაჭირში.

— რატომ, რატომ? — გაიცინა სვანიძემ.

— არა, მასე ნუ მეუბნებით, ამხანაგო მდივანო. სადაც დაგობარებენ. მოდიოთ, მეც თქვენთან წამოვალ.

— რას ამბობთ, თქვენ იქ რა გინდათ!

— მინდა! — თავი დააქნია ათანასემ, — მეც გავესაუბრები იმ დიდ ხელმძღვანელებს. სულ ერთია, თქვენისთანა კაცი გასაჭირში რომ შეგულება, შინ მშვიდად მაინც ვერ გავჩერდები. გავიგებ, რას გიპირებენ.

სვანიძის თვალში ცრემლი აციმციმდა.

სიხარულის, სიამაყის, კაცურკაცობის ცრემლი!

ბერიკაცთან ახლოს მივიდა, განიერ მკერდზე ხელი დაადო და უთხრა:

— გმადლობთ, მოხუცო! მესმის, ამ ბებერ მკერდში რა ვაჟკაცი გული ფეთქავს. მჯერა თქვენი, ათანასე ბატონო! ეს ქვეყანა დღემდე თქვენისთანა კაცებმა მოიტანეს, ჩვენ კი ვალდებული ვართ დავიცვათ და მოვუბროთ! რადაც უნდა დავეცივდეს!

რაიკომის მდივანმა თავაზიანად გააცილა იმედმოცემული ბაბუა და შვილიშვილი. თვითონ ფანჯარასთან დადგა და მოედანს დაუწყო ცქერა.

მუქ-ლურჯად ილანდებოდა შორს გაწვდენილი სივრცეები...

მას უცნაური გრძნობა დაუფლებოდა — ამაღლებულიც, სევდიანიც.

„ფრთები, ფრთები გინდა, კიდეც ფრთები გინდა,

გინდა დაეუფლო სივრცეს!..“

ახლა იგი ათანასე ღლონტზე ფიქრობდა. სოლომონზე, მაია კილაძეზე...

„ადამიანს უნდა ჩაუუნერგოთ რწმენა, ზვალის იმედი. ესაა მისი ფრთები. მიეცი ეს ფრთები და... მთას დაძრავს ადგილიდან!“

ღოდომ კარი შემოაღო და დაიძახა:

— ცენტრალური კომიტეტია ზაზზე, ბატონო!

— ახლავე! — თქვა სვანიძემ და სელექტორთან მივიდა.

ღოდომ დაბამბული კარი მჭიდროდ გაიხურა.

— სვანიძე გისმენთ...

— გამარჯობა, ავთანდილ... როგორა ხართ?

სვანიძე დაიბნა, ხმა იცნო.

— გამარჯობა, ბატონო. ჩაის გეგმა შევასრულეთ, — უპასუხა წამიერი ღუმილის შემდეგ, — ყანებს კარგი პირი უჩანს, ჩაის ფაბრიკებში გვაქვს შეფერხება...

— ახლა ამას არ გეკითხებით. მივიღეთ მწერალ ოქია კახიანის დეპეშა...

— დეპეშა? — გაიკვირდა სვანიძემ.

— დიახ, სვანიძეს მუშაობაში ხელს უშლიანო, საქმეში ერევანო... თქვით პატიოსნად, რაშია საქმე, რა ხდება მანდ?

— ტელეფონზე... ამხანაგო მდივანო, თუ ნებას მომცემთ, ხვალ დღით ჩამოვალ და მოგახსენებთ.

ოდნავი დუმილის შემდეგ მდივანმა თქვა:

— თქვენ განაგრძეთ მუშაობა. ამ დღეებში მე მანდ ვიქნები და ყველაფერს გაგვარკვევთ. გასაგებია?

— გმადლობთ, ამხანაგო მდივანო! — ძლივს ამოღერდა სვანიძემ.

— აბა, გამარჯვებათ!

— გამარჯვებით!

ერთხანს მღუპარედ იდგა მაგიდასთან, მერე თავისუფლად ამოისუნთქა. კედელზე მიყრდნობილი თოხისაკენ თვალი გაექცა.

„ახლა მეც შემოძლია ორივე ფეხით დავდგე მიწაზე. მდინარის პირზე ყანაც ვმარგლო და ფრთებიც გაეშალო!“

ღოდო ისევ შემოვიდა, რაღაც უნდა ეთქვა.

— ერთი, ამხანაგ ლევანს სთხოვეთ, — ხელად უთხრა სვანიძემ და როცა პარადი მდივანი კარებისაკენ მიბრუნდა, სიტყვა დააწია, — ჩქარა, დღო, ჩქარა!

მერე მაგიდაზე ტრანზისტორი ჩართო და მოულოდნელობისაგან შეცრთა.

„ფრთები, ფრთები გინდა, კიდევ ფრთები გინდა!..“

არტისტი შთამბეჭდავად კითხულობდა...

* * *

ავთანდილ სვანიძე მოუთმენლად ელოდა კაბინეტში ლევან ჯინჭარაძეს, რომ მისთვის სასიხარულო ამბავი ეთქვა. პატარა საქმე ზომ არ იყო, ტენტრალური კომიტეტის მდივანმა თვითონ დაურეკა და ამბავი ჰკითხა. მერე რანაირი ტაქტიით და პატივით! კი არ უთხრა, გამარჯობა, ამხანაგო სვანიძეო, არმედ უბრალოდ, შინაურულად: გამარჯობა, ავთანდილ! მერე იკითხა, რა ხდება მანდო, როგორ ხარო. აქ მივიღეთ მწერალ ოტია კახიანის დეპეშა, სვანიძეს მუშაობაში ხელს უშლიანო. როცა სვანიძემ უპასუხა, არის რაღაც ამბები და თუ ნებას მომცემთ, ჩამოვალ და მოგახსენებო, მდივანმა დაამშვიდა: თქვენი ჩამოსვლა საჭირო არ არის, მე თვითონ ჩამოვალ ამ დღეებში და მაშინ ყველაფერს გაგვარკვევთო...

რამხელა ნდობა და პატივისცემა იგრძნობოდა ამ საუბარში!

სვანიძე ფრთხილმსახური იჯდა კაბინეტში და ჩქარობდა, მეორე მდივანი შემოსულიყო, რომ ამ ცხელ გულზე ყველაფერი ეთქვა, და ეს სიხარული მისთვისაც გადაედო. მაგრამ ლევან ჯინჭარაძე იგვიანებდა. მის შემოსაყვანად გაუზავნილა ღოდო პაჭკორიაც არსად ჩანდა. ნეტა, სად წავიდნენ? სვანიძე კაბინეტში ბოლთის ცემას შეუდგა. ფანჯრებიდან ისევ მოედანს დაუწყო ცქერა. ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა. მართალიც იყო. იმდე-

ნი ნერვიულობის, დაძაბულობის შემდეგ ასეთი მოულოდნელი სიხარული აწი ვეღარ მოერევინ ასე ადვილად. თუკი მდივანი ჩამოვა, სვანიძეს შეეძლება ყველაფერი თვითონ აუხსნას და სხვისი მოიმედე აღარ იყოს. მდივანს პირისპირ შეხვდება. თუ არა და, ვინ იცის, როგორ წავა საქმე. საჩივრები მის შესახებ გახშირდა, მტრები გაუჩნდნენ. ისინი ტყუილად არ იმუქრებოან, ჯერ კიდევ ძალა და გავლენა აქვთ. ზემოთაც, როგორც სვანიძე გრძნობდა, რატომღაც ყველანი არ იყვნენ მის მიმართ კეთილად განწყობილნი. ყოველ შემთხვევაში, ტრიფონ ტყემალაძის დამოკიდებულებიდან ასე გამოსჭვიოდა. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას, კი ბატონო, დანაშაულად ვერავინ ჩაითვლის, მაგრამ ამ ქუჩუჩა ქარცივამეს რას უშვრები? იგი ხომ პირდაპირ გადებს ხელს — სვანიძე ანგარიშს მისწორებსო... ჩემს ცოლთან კავშირი დაამყარა და ოჯახს მინგრევსო... შენ თვითონაც ადასტურებ, კი ბატონო, მოსკოვიდან ქარცივამის ცოლის გულისათვის ჩამოვფრინდიო. ჰოდა, ამის შემდეგ მიდი და უმტკიცე ცას და ქვეყანას, ეს ყველაფერი კი ბატონო, ასე იყო, მაგრამ მე მაინც პატიოსანი და უმწიკვლო კაცი ვარო... ძნელია! ჰოდა, აი ოტია კახიანის დეპეშა. ეს ოტია მაინც რა შეუპოვარია! რა ამბავი იყო, არც აცივა, არც აცხელა... შეიძლება საქმე გამწვავდეს კიდევ, რადგან ადგილობრივი ხელმძღვანელობა ამას შეურაცხყოფად მიიღებს და მართალიც იქნება. ჯერ აქ უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი.... ახლა ისიც სათქმელია, რომ როცა მდივანი ჩამოვა, ის მართო ოტია კახიანს და ავთანდილ სვანიძეს კი არ დაემყარება, სხვებსაც მოუსმენს... როცა ჩამოვა! მაგრამ ახლა იქიდან პირადად რომ ელაპარაკა, და თანაც ასე ფრთხილად და სათუთად, ამან უსაზღვრო სიხარულით და რწმენით აღავსო ავთანდილ სვანიძის ჯერ კიდევ ახალგაზრდული გული.

მეორე მდივანი მაინც აგვიანებდა სვანიძის კაბინეტში შესვლას, დოლო პაჭკორიაც თითქოს სადღაც გაქრა. სვანიძემ საათს დახედა. თურმე, არც ისე დიდი დრო გასულა. მოვლენა!...

უცებ კაბინეტის კარი გაიღო, სვანიძემ მიიხედა.

ქალი შემოვიდა. გამხდარი, ფერმიღუეული, მაგრამ მაინც სანდომიანი შესახედაობის ახალგაზრდა ქალი.

სვანიძემ ჯერ ვერ იცნო. მაგრამ მერე, ქალი სევდიანი თვალებით რომ მიაჩერდა, თვალები იცნო. იცნო და გაფითრდა, გული შეეკუმშა.

იხ-იყო! ის, ვინც მას ჩვიდმეტი წელიწადი არ ენახა. ვისი ნახვაც ვერიდებოდა და ეშინოდა კიდევ. მაგრამ ვისზედაც თითქმის ყოველდღე ფიქრობდა...



შენ სახალხო მაჯისცემა უკეთ გესმის

ჩემი ქვეყნის სიყვარულო,
მომეც ძალა,
მომეძალა, სურვილები მომეძალა,

ვწერ, — ღირსი ხარ
დიადის და უკეთესის,
შენ სახალხო მაჯისცემა უკეთ გესმის.

დაფრთიანდა შენი მძლავრი უჯრედები,
ჩუქურთმებად დაიჩინე ხუთწლეულები.

შენი წყარო წყურვილს უკლავს ყველა მამერალს,
მე ვიხილე შენი ფრთების ლაღად გაშლა.

ჩემს უმაღლეს რწმენის ვარსკვლავს
ძირს რა დასცემს,
სიტყვას ვამბობ, — პარტიულის პატივსაცემს.

ვწერ, — ღირსი ხარ
დიადის და უკეთესის
შენ, სახალხო მაჯისცემა უკეთ გესმის!

ვინ ჩაგხედავს თვალებში

უსათუოდ დაგლუპავს ნაწვენ კაცზე აყოლა,
ურწმუნოებს გავუბოძე — ჩაგითრევს და ჩაგქოლავს,

თავშესაფარს ვპოულობ საქართველოს ჭალებში,
მამულს თუ ემსახურე, ვინ ჩაგხედავს თვალებში.

მინდა ძმად გავეფიცო მედროშეს და კალატოზს,
არც არავის ვაბრიყვებ და არც არვის ვლაღატობ.

ვისაც ზედვა წაერთვა ან ვინც დარჩა უგულოდ,
ჩემი ქვეყნის დიდებას როგორ უნდა უყუროს?

კუხმობ ბნელში მჯდომარეს — თვალი მოჭრას აისმა,
ცხვარში, ზვარში, ყანაში უნდა ნახო კაი ყმა.

მიტოვებულ სოფელში თუ კი ცეცხლი დაინთო,
უნდა მოინახულო, გამონახო ამის დრო.

ფუძის კეთილ ანგელოზს თუ არ მიეძინება,
თუ კი სოფელს უყვარხარ, ხალხმა თუკი ინება,

დაფნის გვირგვინს დაგადგამს პოეტსაც და მეზრესაც,
რომ სიკვდილშიც იცოცხლო, აგიტაცებს მეცხრე ცა.

მე ვინც მიყვარს, არ ბერდება

მე ვინც მიყვარს, არ ბერდება,
სული მისი მზის გულმკერდზე ნებივრობს,
ცა იხსნება,
მის თვალებში ცა იხსნება,
ვარსკვლავები უნდა მომაკრეფინოს.

მე ვინც მიყვარს, არ ბერდება,
არ ბარდება ფოთოლცვენის თარიღს,
ტკბილია და ვერასოდეს ვერ ვცილდება
მისი სულის სურნელოვან მარილს.

მე ვინც მიყვარს, არ ბერდება,
არ აცვდება კურთხეული დიბა,
საქართველოს მტერთან მტრულად აენტება,
საქართველოს მტერს თვალებით თიბავს.

ღამომოდვრა და ჭირსა შიგან გამაგრება
ამომკვეთა ჩუქურთმებად გულზე,
მეწყერს მოჰგავს თვალთა მისთა გაავდრება,
ჩვილის ღიმილს — თუ მოყვარეს უმზერს.

მე ვინც მიყვარს, არ ბერდება,
არ შედგება სიძულვილის კლდეზე,
დადის, თითქოს დაეკარგა ქვეყნის განძი,
სიწმინდეს და ერთგულებას ეძებს.

ვინც მოძღვარს სანთელს და საკმეველს ჩაუქრობს

ვინც მოძღვარს სანთელს და საკმეველს ჩაუქრობს
საკუთარ საფლავს თხრის, ეშმაკთან საუბრობს.
თქვენს სულში, ძვირფასო, ცთუნება არ ხარობს,
მე თქვენს სულს ვატარებ ვით ძვირფასს ავგაროზს.
ვერაგინ გათვალავს ჩემს მოდგმას სხვა თვალით.
თქვენ ჩემით ჩემს შვილებს სიკეთეს ასწავლით.
თქვენ გინდათ ქართული ანბანით გალობდეს
ქართველი და ქართველს გონება სწყალობდეს.
გისმინოთ ზეცამ და ხმელეთმა გისმინოთ,
გისმინოთ!!!
ანგელოზს მოკვეცა ეშმაკმა ორი ფრთა.
საშველად თქვენ გიხმობთ, თქვენ წამალს მოიტანთ.
კეთილ თესლს ვთესავ და ნაყოფი არა ჩანს.
თქვენს სიბრძნეს ვუყენებ ჩემს მამულს დარაჯად.
ყველაფერს, ყველაფერს, ჩემს ირგვლივ რაც არის,
თქვენ ათბობთ, თქვენ კვებავთ, თქვენ აძლევთ მაგალითს.
მე ვამბობ — ვინც მოძღვარს საკმეველს ჩაუქრობს
საკუთარ საფლავს თხრის, ეშმაკთან საუბრობს.

აქ საქართველოს დედაზარი დაირეკება

რისთვის,
ჩვენ რისთვის შევხვდით დღეს და
რისთვის ვაბორგეთ
ჩვენი სულები საქართველოს ღობე-ყორეზე?!

ეს ღომანები
ამიფრენენ, ვიცი, აქ ორბებს,
აქ საქართველოს დედაზარი დაირეკება.

ძლევად და ძლევად
იგუგუნებს აქ ჩვენი მრევლი.

სულზე ტკბილო ჯავახეთო,
მესხეთო და თრიალეთო,
საქართველო მანახეთ და
გული გამიმზიანეთო.

ჩამავალი მზის ხანძარი
გასჩენია ზღვას,
მწვანე კონცხი შეიფაკლა
შელამების ნისლით.
სჩანს კლდელოდი, ზღვის
ჩიტების

სალოცავი ქვა
და მამული — ყოველი მხრით
გაწვდენაზე ისრის.

სჩანს ბათუმი — სიმაღლიდან,
სამოთხეა!
სამოთხეა,
მიხმეთ, მიხმეთ ანგელოზებს!
ვდიდგულობ და ვეფერები,
ქალაქი მაქვს,
ქალაქი მაქვს —
ზღვა მიბმული საყელოზე.

ვეფერები, პათეტიკამ ამიტანა,
ისტორიით — ჩამავალ მზის

ფერით,
დატკბი, სულო, ამგვარი და
ამისთანა

არ გქონია დღე, კვირა და წელი.
დატკბი, სულო, შადრევანი ცას
წვდება და
დედაენის საგალობელს მღერის.



სიზჷვე ეძლევა ყველას

დიდი, მხურვალე მზე გადმოჰყურებს ველ-მინდვრებს, შავი „ვოლგა“ მიჰქრის ალაგ-ალაგ ასფალტგამდნარ გზაზე. საჭეს ახალგაზრდა მძღოლი ჯზის, შავსათვალისანი მამაკაცი უკანა სავარძელში გარინდულა. მანქანა თანდათან უახლოვდება გორაკებზე შეფენილ სოფელს. შუადღის თაკარი-საგან დასაღწევად მძღოლმა სიჩქარეს უმატა... და სწორედ ამ დროს საეჭვოდ ათუხთუხდა მოტორი, ხოლო მალე სულ ჩაქრა. მანქანამ ინერციით ცოტა კიდევ გაიბრინა და შეჩერდა. მძღოლი ძრავის ამუშავებას შეეცადა, მაგრამ ამაოდ. მანქანიდან გადმოვიდა, კაპოტი ახადა. მას მგზავრიც გამოჰყვა, მოტორში თავჩარგულმა მძღოლმა რაღაც ნაწილები მოხსნა, გაწმინდა, მოუჭირა, კვლავ მიუჯდა საჭეს, ძრავა ჩართო, მაგრამ, მაინც რომ ვერ ჩაუდგა სული, ისევ დაიწყო მოტორში კირკიტი.

— რა მოუვიდა? — იკითხა მგზავრმა.
— სვეჩებს უჭირს. — ჩაილაპარაკა მძღოლმა.
— სანთლებს. — გაუსწორა მგზავრმა. რომ ამით მაინც გამოეხატა თავისი უკმაყოფილება.

— როგორ? — ასწია თავი მძღოლმა.
— სვეჩებს ქართულად სანთლები ჰქვია.
— რამდენჯერ ვუთხარი გარაჟის გამგეს, სალნიკები ზეთს უშვებს-მეთქი... უკაცრავად, სალნიკებს რა ჰქვია ქართულად, ზომ არ იცით?

— რაც არ ვიცი, არ ვიცი. — მგზავრმა სინანულით გახედა სოფლის ჩრდილიან სივრცეს. — ის ნახევარი კილომეტრით ეცლია, სოფელში წყალს მაინც დაღევდა კაცი!

— ამ სიციხეში დგომას, ისევ სიარული სჯობს. წაბრმანდით სოფლისაკენ, წამოგეწევით.

— თვითონ მოერევი თუ დახმარება ვითხოვოთ?
— მე, მგონი, ვეყოფი.

მგზავრი სოფლისაკენ მიაბაჯებს.

გულადმა გაწოლილი მძღოლი ახლა ქვემოდან უკირკიტებს მანქანას. სოფელში ჩამიჩუმი არ ისმის. გზის ერთ მხარეს ჩამავალი ღელეც კი უწყლობის გამო უხმაუროდ მოედინება.

მანქანიდან გადმოსული მგზავრი ახლა სოფელში მიაბაჯებს. მზისა-

გან მოსარიდებლად ღობეების გასწვრივ აღმართულ ხეტა ჩრდილს ეტანება, რაღაცამ მიიპყრო მისი ყურადღება. თავი ასწია და ზემოდან გადმოშვებულ ტოტს მიაჩერდა. იქედან მაცდურად ანათებდა შეყვითლებული გულაბი მსხალი. მიიხედ-მოიხედა, ირგვლივ ვერავენ დაინახა და ნაყოფის მოწყვეტა დააპირა. ვერ შესწვდა. ფეხის წვერებზე აიწვართა, მაგრამ მხოლოდ თითებით შეეხო ნაყოფს. შეხტა, თუმცა მოწყვეტა მაინც ვერ შესძლო. ეინმა შეიპყრო, ღობიდან ჯოხი ამოაძრო, ტოტი მოიწია, მსხალს მისწვდა კიდეც, მაგრამ სანამ მოწყვეტდა, ხმა გაისმა:

— მობრძანდით, ბატონო!

ჭიშკართან ტანმალალი, არცთუ ისე ხნიერი ქალი იდგა და ინტერესით შესცქეროდა.

— გამარჯობა, — თქვა უხერხულად მგზავრმა და შეეცადა ღობიდან ამოღებული ჯოხი თავის ადგილას ჩაერჭო...

— გაგიმარჯოთ, ჩემო ბატონო, — უპასუხა ქალმა და ერთხელ კიდეც გაიმეორა: — მობრძანდით.

— კმადლობთ. — გზაში მანქანა გაგვიფუჭდა და... წყალი, თუ შეიძლება!

— ახლავე, ბატონო, შემობრძანდით. — ქალმა ჭიშკარი გამოაღო.

მგზავრს თავპატიჟი აღარ დაუღვია, ეზოში შევიდა.

ქალი სახლის წინ აღმართული ცაცხვისაკენ გაუძღვა, ძელსკამს წინსაფარი გადაუსვა.

— მოისვენეთ, ბატონო, ახლავე გეახლებით.

ქალი სახლისაკენ გაემართა, აივანზე უკვე იდგა შედილობე წლის გოგონა, რომელიც დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შემოსცქეროდა უცხო სტუმარს. დედამ რაღაც წასჩურჩულა. გოგონამ კიბეზე ჩამოირბინა და სახლს მოეფარა.

დასახლისმა დოქი და ჭიქა გამოიტანა, ქვის მრგვალ მაგიდაზე სტუმარს წყალი დაუსხა.

— გმადლობთ, — თქვა სტუმარმა და ჭიქა სულმოუთქმელად დასცალა. ამასობაში ქალი ღობეზე გადავიდა და მალე თევში დადგა მაგიდაზე.

მგზავრმა თევშზე ის გულაბი მსხალი დაინახა, ვერაფრით რომ ვერ მიწვდა, და გაელიმა.

სახლის უკანა მხრიდან მამაკაცი გამოჩნდა, მას გოგონა მოსდევდა. ქალმა რაღაც უთხრა ქმარს და იგი ცაცხვისაკენ გამოემართა. სტუმარი წამოდგა.

— გამარჯობა, ბატონო.

— გაგიმარჯოთ. — ხელი გაუწოდა მასპინძელს.

— ძალზე ცხელა დღეს, — თქვა სტუმარმა, რომ რაღაც ეთქვა.

— სულ არ იყო საჭირო ახლა ეს გვალვა.. სიმინდს უჭირს მაინც ძალიან... წყალი მინდა გადავავლო ყანაში.

— ალბათ, საქმეს მოგაცდინეთ, — მოუბოდიშა სტუმარმა.

— პირიქით, მაღლობელი ვარ, ჩრდილში ყოფნა ნამდვილად სჯობს
ახლა მუშაობას.

— ნათელა! — გაისმა ჭიშკრიდან.

— მობრძანდი, მაყვალა! — გასძახა მასპინძელმა.

პატარა ქალი იდგა ჭიშკართან.

— ვიფიქრე, სტუმარი ჰყავს, მოხმარება ხომ არ სჭირდება-მეთქი. —
მაყვალამ მამაკაცებისაკენ გააპარა მზერა.

— უცხო კაცია, მანქანა გაფუჭებულია გზაში, წყალი მოხოვა, ღღეს მაინც
ნამეტანი ცხელა.

მაყვალა სახლისაკენ გაემართა, სადაც დიასახლისი ეგულებოდა.

ცაცხვის ქვეშ განაგრძობენ საუბარს მამაკაცები.

— მეზობელი მყავს მანქანის პატრონი, ხომ არ დავახმაროთ თქვენს
მძღოლს? — შესთავაზა მასპინძელმა.

— მე მგონი, თვითონაც ეყოფა, ბატონო...

მასპინძელი წამოდგა.

— კასრაძე გახლავართ, ბატონო, ბიქტორ კასრაძე.

სტუმარიც ადგა.

— ანდრიაძე... ოთარ ანდრიაძე.

ერთმანეთს კიდევ ჩამოართვეს ხელი. დასხდნენ. ჯერ სტუმარი, შემ-
დეგ მასპინძელი.

— ჩვენებური ბრძანებულხართ.

— წარმოშობით კი... მარანიდან.

— ჰო, იქ ცხოვრობენ ძირითადად ანდრიაძეები, ნათესავები ყავთ,
ალბათ, მარანში?

— დიახ... გარე ბიძაშვილები.

— შორეულები არც ჩვენ უნდა ვიყოთ, ბატონო ოთარ, თუ ძალიან არ
გეჩქარებთ, სანამ მზე გადავა...

— სამწუხაროდ გეჩქარება. — ანდრიაძემ საათზე დაიხედა. — თორემ
აქ ყოფნას რა სჯობს!

— ძალიან საწყენია... დიდხანს დარჩებით ჩვენს მხარეში?

ანდრიაძეს ჩაცვინა.

— გააჩნია. როგორ შევეწყობით ერთმანეთს.

— როგორ გავიგო ეს?!

— თქვენს რაიონში გადმოვედი სამუშაოდ.

— დიდი ხანია, ბატონო?

— გუშინს შემდეგ.

— რა საქმეზე, თუ საიდუმლო არაა, რა თქმა უნდა?

— რაიკომის მდიენად!

მასპინძელმა გაცემა ვერ დამალა.

— მეორე მდივანს ვიცნობ, მესამე — ქალია. — ბიქტორს რაღაც გაახსენდა, — თქვენ, ალბათ...

— დიახ.

— ამასწინათ ამბობდა ჩვენი თავმჯდომარე, პირველს ანთავისუფლებენო. ანდრიაძე!.. მასწადამე, თქვენ ბრძანდებით ის ანდრიაძე?! მაპატიეთ...

— რა გაქვთ საპატიებელი, პირიქით, მაღლობელი ვარ, რომ მიმასპინძლეთ, ბატონო ბიქტორ.

— ასე მაინც რამ დამაბნია! — მართლა შეწუხდა მასპინძელი. ერთი წუთით, ჩემო ბატონო.

ბიქტორი სახლის უკან გავიდა სამზადში და ქალებს შეუხედა.

ნათელა ქვაბიდან მოხარშულ სიმინდს იღებდა.

— სტუმარს მიართვი.

— სიმინდი არ შევლის ამ საქმეს. ახლავე დედალს წააგდებინე თავი!

— რა მოხდა, შე კაცი?!

— ივი შენ, ვინაა ჩვენი სტუმარი?!

— ჰო?! — წამოდგა ნათელა.

მაყვალას სუნთქვა შეეკრა, თვალები გაუფართოვდა.

— მხოლოდ არ აკივლდე შენებურად! — გააფრთხილა ბიქტორმა.

— ა, ბატონო, პირს ამოვიკერავ, — მეტი დამაჯერებლობისათვის ნათელას ტუჩებზე ხელისგული აიფარა.

მაყვალაც დაიძაბა, სმენად გადაიქცა.

— ჩვენი რაიკომის ახალი პირველი მდივანია, ოთარ ანდრიაძე!

— უიმე! — მაინც ვერ შეიკავა თავი ნათელამ.

— ჰო, შეყარე ახლა ხალხი! არა აქვს ამდენი დრო, ეჩქარება! უპატივეცმულოდ არ გაიშვება ასეთი სტუმარი.

— ზომ გითხარი, უბრალო კაცს არ ჰგავს მეთქი...

— ჰო, კარგი ახლა... კაცი მივატოვე. — თქვა ბიქტორმა და ისევ სტუმარს მიაშურა.

— ბატონო ბიქტორ, არ მომწონს მე თქვენი ასეთი გამოცოცხლება, — შეაგება სტუმარმა.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, როგორც კი მანქანა გამოჩნდება, ერთი წუთითაც არ შეგაჩერებთ, მანამდე კი უკეთეს ადგილს მოსასვენებლად მაინც ევრსად იპოვით. იქნებ ზურაბ ბარაბაძეს დაეუძახოთ, ჩვენი თავმჯდომარეა.

— მე მგონია, არაა საჭირო.

— ან მერაბ გავნიძეს, პარტორგანიზაციის მდივანია. აგერ ცხოვრობს, არ ნაბიჯზე.

— უხერხულია. საერთოდ უკეთესი იქნება, თუ ვერავინ შეიტყობს ჩემს აქ გამოჩენას.

— მაგას ვერ დაგპირდებით, ბატონო ოთარ... ახლა რომ აქ მეზობლის ქალი იყო, მაყვალა, დიდი ცნობისმოყვარე ამხანაგია, მაგან ნამდვილად ყური მოკრა ამ ამბავს და მთელმა სოფელმა თუ არა, ჩვენმა უბანმა მაინც უკვე აცის თქვენი ჩამობრძანება.

...თანდათან ყველა მხრიდან გამოჩნდა ხალხი. ბიქტორმა უხერხულობა იგრძნო, შეწუხებულმა მოუხედა მდივანს.

— ეტყობა, ოპერატიულად უმუშავია ქალბატონ მაყვალას. შეეგებეთ, ბატონო ბიქტორ, სტუმარი ღვთისაა.

ბიქტორმა ფართოდ გამოაღო ჭიშკარი, რის შემდეგ იგი აღარც მიხურულა.

— მობრძანდით მეზობლებო, მობრძანდით!

ეზო თანდათან გავისო, ნათელამ, პატარა გოგონამ ეზოში გამოიტანეს სკამები, ჯორკოები.

ანდრიაძე ყველას სათითაოდ ართმევდა ზელს.

ბიქტორი ეგებება სტუმრებს, თან თავისთვის, მაგრამ სხვების გასაგონადაც ამბობს:

— თქვე კაი ხალხო, ასე უცებ მაინც საიდან გაჩნდით! რას იფიქრებს მდივანი, ეს რა უსაქმურების ქვეყანაში მოვხვდიო!

— სამაგიეროდ, ჩვენ, ბატონო, ქალაქელებივით ექვს საათზე კი არ მივბრძანდებით სახლში, მაგ დროს ვიწყებთ მთავარ საქმეს, — ჩაილაპარაკა უიღაცამ, მაგრამ ისე, რომ მდივანსაც გაეგონა.

— ჩვენს კალენდარში არც შაბათი და არც კვირაა, სხვათა შორის, — წაეხმარა მეორე.

— არც შეგებულება ზაფხულობით, — შეაწია მესამემ.

გოგო და ბიჭი შემოვიდნენ სხვებთან ერთად, მაინცა და მაინც დიდი ინტერესი არ გამოუჩენიათ, თუ რა ხდებოდა აქ, მოშორებით ღობესთან ჯირკჳე ჩამოსხდნენ და მაშინვე „რუბიკის კუბიკის“ აწყობას შეუდგნენ.

ბრგე ახალგაზრდა წარუდგა მდივანს:

— მერაბ გაგნიძე, აგრონომი, პარტორგანიზაციის მდივანი.

ანდრიაძემ ხელი ჩამოართვა.

— იყავით პლენუმზე?

— დიახ, ბატონო.

— კიდეც ვინ იყო თქვენგან?

— ჩვენი თავმჯდომარე, ბატონო.

ანდრიაძემ ხალხს თვალი მოავლო.

— თავმჯდომარე ხომ არ არის აქ?

ერთმანეთს გადახედეს, თითქოს ეუხერხულათ, რომ ყველანი აქ, თავმჯდომარის გარდა.

— რაიკომში თათბირზე მივდივარო, — წამოდგა ბუღალტრის ვარეგ-ნობის კაცი.

ამან კიდევ უფრო გაზარდა უხერხულობა, მდივანს მიაჩერდნენ. ანდრიაძემ ეს არ შეიმჩნია.

— რაიკომში გამომძახებელი ბევრია!

ამ დროს ჭიშკარს შავი „ვოლგა“ მოადგა.

მძლოლი შემოვიდა, ეზოს გაცეხებული მზერა მოავლო.

ანდრიაძე წამოდგა და ხალხს გადახედა; ცოტა უხერხულობა იგრძნო, რადგან ეს ადამიანები მასთან შესახვედრად იყვნენ მოსული, შეიძლება, მისი სიტყვის მოსმენაც სურდათ, ის კი უნდა წასულიყო.

— აუცილებლად უნდა წაბრძანდეთ, ბატონო? — ყოველი შემთხვევისათვის პკითხა მასპინძელმა.

— აუცილებლად. — თქვა და ხალხს მიმართა: — ეს ჩვენი შეხვედრა, მოდით, გაცნობად ჩავთვალოთ. მომავალში, ალბათ, კიდევ ბევრჯერ შევხვდებით ერთმანეთს.

— ასე, ალბათ, მეტს ვეღარ შევხვდებით. — შემოესმა.

ამან ანდრიაძე შეაყოყმანა. ასე უცნაურად, შინაურულად, ალბათ, ისინი, მართლაც ვეღარ შეხვდებოდნენ ერთმანეთს. ისიც იგრძნო, მის ჩამოსვლას რაიონში ხალხი ბევრ იმედს, სიახლეს უკავშირებდა, რომ ეს ადამიანები მხოლოდ ცნობისმოყვარეობას არ მოუყვანია აქ. შეიძლება ისინი ყველაზე გულახდილი საუბრის სურვილმა შეკრიბა ბიჭტორ კასრადის ეზოში, ყოველგვარი მიწვევისა და განცხადების გარეშე.

ამას ანდრიაძე ხედავდა მისკენ მოჩერებულ სახეებზე, თვალებში. მაყვალაც კი ახლა სულ სხვანაირი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა მდივანს.

— ბიძიკო, მაგ მანქანას კიდევ ცოტა ხნით ვერ გააფუჭებ! — ვითომ ზუმრობით მიმართეს მძლოლს.

მძლოლმა მდივანს შეხედა, თითქოს მანქანის გაფუჭების ნებართვას თხოვსო.

ანდრიაძემ საათზე დაიხედა, მძლოლს ანიშნა, ცოტა მოვიცადოთ, ისევე ჩამოჯდა და ეზოს მოავლო თვალი. პირველ სიტყვას, ალბათ, მისგან ელოდნენ. ამიტომ თქვა, გავესაუბროთ ერთმანეთსო.

პარტორგანიზაციის მდივანმა შესთავაზა:

— კლუბში გადასვლა ხომ არ აჯობებდა, პატივცემულო ოთარ.

ანდრიაძემ ხალხს გადახედა. მერაბ გავნიძის წინადადებას მხარდაჭერა არ გამოუწვევია. აქა-იქ გაისმა:

— კარგად ვართ აქ მოწყობილი.

— კრებას ნუ დავამსგავსებთ ამ ჩვენს შეხვედრას.

— ერთ სიმაღლეზე ვდგევართ და გავვიადვილებათ საუბარი, — თქვენ ანდრიაძემ.

ხალხა შეიშმუშნა, ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ საუბრის დაწყების მოსურველი არავინ აღმოჩნდა.

ლევანს შეხედეს, პირველი ჭიშკარი რომ შემოაღო, იმას. მაგრამ მან გვერდზე გაიხედა. ანდრიაძემაც მასზე შეაჩერა მზერა, ამიტომ ლევანმა თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ჩვენს მაგივრად ძირითადად ყოველთვის და ყველგან თავმჯდომარე და პარტორგანიზაციის მდივანი ლაპარაკობენ.

ანდრიაძემ გაგნიძეს შეხედა:

— რაკი თავმჯდომარე რაიკომში ყოფილა გამოძახებული, პირველი სიტყვა პარტორგანიზაციის მდივანს მივცეთ... მერაბ გაგნიძე, არა?

— დიახ, ბატონო, — წამოდგა გაგნიძე.

— მით უმეტეს, რომ თქვენი მდივანი გუშინდელ პლენუმში მონაწილეობდა.

— დიახ... თქვა გაგნიძემ და პიჯაკის გულისჯიბიდან რამდენიმე ფურცელი ამოიღო.

— ამას უკვე სიტყვა მოუმზადებია, — გაისმა ხმა.

გაგნიძემ მდივანს აუხსნა.

— გამაფრთხილეს, პლენუმზე სიტყვით უნდა გამოხვიდეო... მაგრამ კამათი შეწყდა და...

— განვაგრძოთ, აბა, კამათი, — გაამხნევა ანდრიაძემ.

გაგნიძემ ფურცელი გაშალა და კითხვას შეუდგა:

— „ვხელმძღვანელობდით რა სადირექტივო ორგანოების შიშითებებითა და გადაწყვეტილებებით, ჩვენ ფართოდ გავშალეთ შეჯიბრება, რათა ვადამდე და გადაჭარბებით შეგვესრულებინა ჩვენს წინაშე დასასრული ამოცანები, დაგვერაზმა მშრომელთა ფართო მასები...“

ვილაცამ ჩაახველა, ერთმანეთს გადაულაპარაკეს:

— მაგის დრო გვაქვს ახლა ჩვენ!

გაგნიძემ მდივანს გადახედა.

— კონკრეტულად, თუ შეიძლება, — შესთავაზა ანდრიაძემ.

— ახლავე, ბატონო... გაგნიძემ ორი ფურცელი გადაშალა და განაგრძო: — ჩვენი წარმატებები უფრო დიდი და მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო დაშვებული სერიოზული შეცდომები სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში პარტიის რაიონული კომიტეტისა და პირველ რიგში, მისი პირველი მდივნის... — გაგნიძე შეცბა და გამოასწორა: — მისი ყოფილი მდივნის ამხანაგი....

— ამის შესახებ საკმაოდ ითქვა გუშინ, — უკმაყოფილება არ ღაღუღავს ანდრიაძეს.

— ასეთი იყო მითითება, — თავი იმართლა გაგნიძემ.

— არ შეგვიძლია მითითების გარეშე, წაუკითხავად გვითხრათ, რა ხდება სოფელში, როგორ ცხოვრობთ, როგორ მიდის საქმე, სად გიჭირთ, სად გალხინათ?

— ახლავე, პატივცემულო... — გაგნიძემ ფურცლები გადაშალა, რასაც ეძებდა მიაგნო, მაგრამ წაკითხვა ვეღარ გაბედა, ისევ გულისჯიბში შეინახა და ზეპირად განაგრძო:

— მოგეხსენებათ, ჩაი ჩვენთან ძირითადი კულტურაა, ორას ორმოც პექტარზეა გაშენებული. შარშან მოვიწვიეთ...

— მოვიწვიეთ, მერაბ, — შეუსწორა თმაგათეთრებულმა, ნახევრადმელოტმა ინტელიგენტური გარეგნობის კაცმა.

— როგორ, ბატონო დიომიდე? — მოუხედა გაგნიძემ.

— მოსავალი მოვიწვიეთ. მოვიწვიეთ, სტუმრებზე იტყვიან, შენ ყოველთვის გიჭირდა მართლწერა, მერაბ.

— მართლწერას ეშველება რაღაცა, — ჩაილაპარაკეს უკნიდან.

— დიახ, — განაგრძო გაგნიძემ, — შარშან ჩვენ... ალბათ, ბატონ დიომიდეს შენიშვნის არსს ვერ ჩასწვდა. ამიტომ ის სიტყვა, ყოველი შემთხვევისათვის, მაინც შეცვალა. — ღვაამზადეთ სამას ორმოცდაათი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, აქედან სამასამდე ტონა — პირველი ხარისხისა. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, ციტრუსოვანთა ნაყოფის ნაბარების გვემაც შევასრულეთ, ხორცის, კვერცხის, ყველის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დავალებანიც...

— აბა, კარგად გქონიათ საქმე. — თქვა ანდრიაძემ, მაგრამ ამის გამო მისი სახე მაინცდამაინც კმაყოფილებას არ გამოხატავდა. — მიუხედავად სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში პარტიის რაიკომისა და მისი ყოფილი პირველი მდივნის მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომებისა...

— წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ... — გაგნიძე კვლავ შეეცადა შეეხსენებინა ღიხსენებიდან ეს ფრაზა, მაგრამ ანდრიაძემ შეაწყვეტინა.

— გასაგებია.

გაგნიძე მიხვდა, რომ მისი მისია დამთავრებული იყო და დაჯდა.

ანდრიაძემ ეზოში შეკრებილთ გადახედა.

— რას იტყვის ხალხი?

ხალხი ღუმილით შეხვდა მის შეკითხვას.

— ესე იგი, თქვენც იმავე აზრისა ხართ? — ეს კითხვაც უპასუხოდ დტრია.

— როგორც იტყვიან, ღუმილი თანხმობის ნიშანია.

კიდაცამ საეჭვოდ ჩაახველა. ანდრიაძემ იქით გაიხედა და ლევანის გამოხედვას შეეფეთა.

— რა ბრძანეთ?

ლევანი წამოდგა.

— ღუმილი ყოველთვის თანხმობას არ ნიშნავს, ჩემო ბატონო.

— რა გინდათ ამით თქვამთ?

— ისე, სხვათა შორის, ვთქვი.

— სხვათა შორის საუბარი, ალბათ, არ გამოგვადგება.

— თქვი, ლევან! — გაამხნევებს იგი.

ლევანმა ხალხს მოუხედა.

— კი იცით თქვენ, რაც მოყვა ჩემს გულახდილობას.

— თქვენ პარტიის წევრი ხართ? — ჰკითხა ანდრიაძემ.

— დიახ, ბატონო.

— რამდენი კომუნისტია თქვენს ორგანიზაციაში? — მიუბრუნდა გაგნიძეს ანდრიაძე.

— სამოცდაშვიდი.

— და ყველა ასე ფიქრობს? — გადახედა ეზოს ანდრიაძემ.

ამ შეკითხვასაც ღუმილით შეხვდნენ.

— მაშინ ჩვენი შეხვედრა ამით დაკმათავროთ.

— შეიძლება, პატივცემულო? — წამოდგა სქელ-სქელი, გაჟინებული-ბული კაცი.

— ბრძანეთ, — მიუვო ანდრიაძემ.

— თუ შეიძლება, თქვენი ბიოგრაფია გაგვაცანით, პატივცემულო მდივანო!

ხალხი უხერხულად შეიშმუშნა. აქა-იქ გაისმა:

— გარეკა ბუხუტიმ.

ანდრიაძემ ღიმილი შეიკავა, ეს ალბათ, ბუხუტიმაც შეამჩნია და უკან აღარ დაუხევია.

— კაცს თუ არ იცნობ, ისე რანაირად გამოგივა ლაპარაკი!

ანდრიაძემ მხარი დაუჭირა:

— სწორია ეს ამხანაგი... თქვენი სახელი?

— ბუხუტი, ბატონო, ბუხუტი ქარცივაძე.

ანდრიაძე წამოდგა.

— ვუპასუხებ ამხანაგ ბუხუტის შეკითხვას, წარმოშობით თქვენებურად შეიძლება ჩავითვალო, სოფელ მარანიდან, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიხადე სამხედრო სამსახური, შევედი უნივერსიტეტში, ეკონომიკურ ფაკულტეტზე, დავრჩი ასპირანტურაში, — დავიცავი დისერტა-

ცია, დღემდე ვიყავი დოცენტი ეკონომიკური ფაკულტეტის კათედრაზე. ვარ პარტიის წევრი, ცოლ-შვილიანი, კიდეც...

— საკმარისია, — შეეშველა ბუზუტი.

— კიდე რაიმე ხომ არ გაინტერესებთ? — იკითხა ანდრიაძემ.

წამოდგა ინტელიგენტური გარეგნობის კაცი, შერაბს რომ გრამატიკული შენიშვნა მისცა. ამ გაგანია სიცხეში ძველმოდური შავი კოსტუმი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა.

— თუ შეიძლება?

— რა თქმა უხდა.

— ძასწავლებელი დიომიდე გიორგაძე გახლავთ. ახლა პენსიაზეა. — მიაწოდა მდივანს ინფორმაცია გაგნიძემ.

— ეკონომისტი რომ ბრძანდებით, ეს ძალიან ჯარგია. ისიც — მეცნიერი. ეკონომიკაში გვიჭირს ჩვენ სწორედ. მაგრამ ერთი საჩოთირო კითხვა მაქვს, თუ არ მიწყენთ.

— ბრძანეთ, ბრძანეთ...

— როგორი ხელფასი გქონდათ იქ... უნივერსიტეტში?

— ხუთას მანეთამდე, — მიუგო ანდრიაძემ და, რადგან შემკითხველს შეყოყმანება შეატყო, თვითონ დაასწრო: — ალბათ გაინტერესებთ, რაიკომის მდივნის ხელფასი?

— ააა, ბატონო, მე ამისათვის არ მიკითხავს; — გაიპატიჟა დიომიდე გიორგაძემ.

— სხვათა შორის, ეს მეც ვთქვი, რომ ხელფასი მინახევრდებოდა. მითხრეს, საქმეს ასე სჭირდებაო.

— თუ ასე ვითხრეს, რაღას იზამდით, — გაუადვილა ნაკლებხელფასიან სამუშაოზე გადასვლა დიომიდე და ჩამოჯდა.

ლევანი წამოდგა.

— სწორი უთქვამთ, მართლა უჭირს საქმეს, არც თქვენთვის იყო, ალბათ, ადვილი თანხმობის მიცემა, უნივერსიტეტის მიტოვება, თბილისს მიჩვეული ოჯახის გადმოსახლება რაიონში, მაგრამ რაკი დათანხმდით, ის საქმე უნდა გაკეთდეს, რაც დაგავალეს, საქმე კი ერთმანეთის ნდობის გარეშე და, რაც მთავარია, სიმართლისა და რწმენის გარეშე, არ გაკეოლება.

— მეც ასე ვფიქრობ, — დაეთანხმა ანდრიაძე.

— ჰოდა, რომ იცოდეთ, თქვენი ჩამობრძანების პირველსავე დღეს გატყუებთ, ჩემო ბატონო.

— არ გინდა, ლევან, ეგ ამბავი, — შეეცადა მის შეჩერებას ბიქტორი.

— მაპატიე, ბიქტორ, პატივცემული მდივანი დღეს შენი სტუმარია და შეიძლება დსეთნაირი ლაპარაკის უფლება არცა გვაქვს, მაგრამ ახლა მე შენს სათქმელსაც ვამბობ, ყველას სათქმელს... იცით, რატომ? გაჩუმება ზოგჯერ მეტი უპატიოსნობა რომაა, იმიტომ. მართალია, თქვენ მეცნიერი

ბრძანდებით, მაგრამ სოფლის ამბავი თვითონ სოფელმა უფრო იცის და, ჩვენ თუ არ გეტყვით ამას, აბა, ვინ უნდა გითხრათ?

— ბრძანეთ, ბრძანეთ.

— რაც ღლეს აქ ჩვენმა პარტორგანიზაციის მდივანმა მოგახსენათ, ძირითადად სიმართლე არ იყო, — ლევანმა გაგნიძეს მიუხედა. — ეს მან თვითონაც იცის და ამიტომ არ ეწყინება, მე მგონია.

ასეთი კატეგორიული განცხადების გამო მერაბ გაგნიძეს დიდი პროტესტი არ გამოუხატავს, მაგრამ მაინც თქვა:

— ეს მოხსენება მე პარტიუროზე განვიხილე და შენც ამიწიე ხელი, სხვათა შორის.

— კი, ბატონო. ჩემი ტყუილიც ურევია შიგ, — იოლად დაეთანხმა ლევანი და განაგრძო: — არც შენ ხარ ბრალში, მერაბ, რაც დაგავალეს, ის დაწერე; პირველს ვათავისუფლებთ ცუდი მუშაობისათვის და ყველა ცოცხა ძირითადად იმას აკიდეთო. კარგი კი იქნებოდა, სანამ იგი უფროსი იყო, მაშინ გეტქვა ის, მაგრამ, არ გვეოფნის, ბატონო, ამის ვაჟბატობა და ამანაა, რომ წაახდინა საქმე. აი, ახლაც, ყველამ შესანიშნავად ვიცით, რანაირად შესრულდა ის გეგმები, ჩვენმა პარტორგანიზაციის მდივანმა რომ მოგახსენათ, მაგრამ ხმას არავინ იღებს, არ იციან, ასეა საჭირო თუ არა, გეწყინებათ თქვენ ეს თუ გესიამოვნებათ.

ხალხმა მდივანს შეხედა, ალბათ, იმის გამოსარკვევად, ლევანის ნათქვამი მოეწონა თუ არაო, მაგრამ ანდრიაძის სახეზე ამის წაკითხვა ძნელი იყო, იგი ყურადღებით ისმენდა.

— როგორ შევასრულებთ, მაგალითად, კვერცხის ჩაბარების გეგმა? ბატონო დიომიდე, თითოთი საჩვენებელი კაცი ბრძანდებით, თქვენს სიტყვას სხვა წონა და ფასი აქვს, ამიტომ ძალიან გთხოვთ, მოახსენოთ პატივცემულ მდივანს, როგორ შევასრულებთ ჩვენ კვერცხის ჩაბარების გეგმა!

— არაა, მგონი, ეს საჭირო, ლევან...

— საჭიროა, ბატონო დიომიდე, ძალიან საჭირო, პატივცემული მდივანი საქმეს იმიტომ კი არ მოვაცდინეთ, ლამაზი სიტყვები ვუთხრათ ერთმანეთს, გულახდილობას, გულისტკივილის გამხელას შევპირდით და გვეპატიება ჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობის ჩარჩოებში თუ ვერ ჩავეტყვით. სჯობს ახლავე ვთქვათ სათქმელი, ეგებ გამოადგეს იმ საქმეში, მას რომ დაავალეს.

დიომიდე წამოდგა, ლევანი დაჯდა.

— არაა ეს იმხელა სერიოზული საქმე... თუმცა, რომ დაუკვირდე, არც მთლად უბრალოა, მოგეხსენებათ, ძირითადად გეგმებს გარდა, როგორიცაა ჩაი, ციტრუსი, სოფელმა სხვა პროდუქციაც უნდა ჩააბაროს — ხორცი, ყველი, კვერცხი. გასაგებია ეს, სჭირდება ქვეყანას... მაგრამ შევიტყვე, მთელ

სოფელს კვერცხის მაგივრად ფული ჩაუბარება, იმ ხუთი ათასი კვერცხის ღირებულება.

დიომიდე გიორგაძემ თავისი სიტყვა რომ დაიწყო, ანდრიაძემ ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, რაღაც დაწერა, ფურცელი ამოხია, მძლოლს თვალებით უხმო და ის ფურცელი გადასცა, მძლოლი ეზოდან გავიდა, საჭეს მიუჯდა და მანქანა დაძრა.

დიომიდეს გამოსვლით და რეპლიკებით გამოცოცხლებულ ეზოში ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

— სხვათა შორის, ყველის ჩაბარების გეგმაც ასე შესრულდა, — წამოიწყო ვილაცამ ახალი თემა.

— კარგი ახლა, ნუ მოვიჭრით სულ თავს! — შეეცადა საჩოთირო საუბრის თემის შეცვლას ბუხუტი.

— 85 პროცენტი ხარისხიანი ჩაი ჩავაბარეთ ფაბრიკასო, — თქვა ლევანმა. — ესაა ვითომ სამართალი? მაინც და მაინც თამარ ყუფუნის უნდა ეთქვა, რას ჰგავს ქართული ჩაიო! ამას წინათ კურსკში ვიყავი, სასტუმროს მორიგეს საპატივცემულოდ ჩვენებული ჩაი რომ მივართვი, ცხვირა აიბუჟა, კრასნოდარის ჩაი ხომ არ გაქვსო.

— სამაგიეროდ დროშა მივიღეთ გარდამავალი! — თქვა გოდერძიმ. — ვალიკო, რა აწერია იმ დროშას, თავმჯდომარეს რომ აქვს გამოფენილი კაბინეტში?

— „სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლმეურნეობას“. — შეუცდომლად წარმოთქვა ბუღალტრის გარეგნობის კაცმა.

— თვითონ პირველმა მდივანმა გადმოგვცა ეს დროშა. — გაიხსენა ვილაცამ.

— რომელმაც, — გააგრძელა ლევანმა, — შესანიშნავად იცოდა, თუ რანაირად შევასრულეთ ეს გეგმები. შეიძლება თქვენ ეს არ იცოდეთ, პატივცემულო.

— ვიცო, — თქვა ანდრიაძემ.

ეს მართლა გაუკვირდათ.

— უნივერსიტეტამდეც მოაღწია ამ ამბავმა, ბატონო? — ჩაერია საუბარში მასპინძელი.

— ყოველ შემთხვევაში, ეკონომისტებამდე მოაღწია.

— ცოტა კი გაგითამამდით, მაგრამ... — როგორც ჩანს, ბატონი დიომიდე ლაპარაკის ეშში შევიდა.

— ბრძანეთ, ბრძანეთ.

— იქ, ზევით, თუ იციან ეს ამბავი?

ეს ცოტა ზოგადად იყო ნათქვამი, მაგრამ ყველა მიხვდა, თუ რას გულისხმობდა დიომიდე გიორგაძე ამ სიტყვებში.

ამას ანდრიაძეც მიხვდა და მოკლედ მოსჭრა:

— იციან.

— გამოვიდა, გამოვიდა. — გაისმა ამ დროს გოგოს გახარებული შეძახილი.

ყველამ იქით მიიხედა და ვილაცამ, — „სუ“, — მიამახა, გოგოც და ბიჭიც მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, შემცბარი გოგო წამოდგა და „კუბიკის“ დაძაღვა სცადა.

— ესენი მარტო აცეკვე და ათამაშე, ამათ ხომ არაფერი აწუხებთ! — ნოუბოლიშა რაიკომის მდივანს ვალიკომ, ბულალტრის გარეგნობის კაცმა. გოგომ დაირცხინა, სამაგიეროდ ბიჭმა გამოიღო თავი:

— რუბიკის კუბიკის აწყობაში მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება.

— ოთხივე მხარე ააწყვეთ? — იკითხა მოულოდნელად ანდრიაძემ.

— არა, ერთი... მიუგო უცხო სტუმრის ასეთი დაინტერესებით გამხსნელებულმა გოგომ.

— ჩემი ქალიშვილი ორ წუთში აწყობს ოთხივე გვერდს, — გაუდიმა ანდრიაძემ.

გოგო და ბიჭი ისევ ჩაუჯდნენ „კუბიკს“.

— რაზე შეეჩერდით? — იკითხა ანდრიაძემ, რათა საუბრის გაწყვეტილი ძაფი გაგვემრთელებინა.

— იქ, ზევით, ამის შესახებ იციანო, — შეახსენა ბატონმა დიომიდეძე.

— თუ ყველაფერი იციან, მტყუანიც და მართალიც უნდა გაარჩიონ! — თქვა ორმოციოდე წლის ქალაქურად ჩაცმულმა კაცმა, რომელიც აქამდე პირქუშად იჯდა და ხმას არ იღებდა.

— ინჟინერი ლაღო სირბილაძე. — უმაღლ მიაწოდა ინფორმაცია მდივანს გაგნიძემ.

— ყველაფერს სხვას ნუ დაეაბრალებთ, ლაღო, — უთხრა ლევანმა.

— რა განდა მაგით თქვა? — პირში შეაფრინდა სირბილაძე.

— ის მინდა ვთქვა, რომ იმ საქმეში, რისთვისაც შენ დაისაჯე, ნამდვილად დაძნელებული იყავი.

— კი, ბატონო, არ უპარვყოფ ამას, მაგრამ მარტო მე?

— პირველ რიგში, შენ.

— რა საქმე იყო ასეთი? — დაინტერესდა ანდრიაძე.

— აგერ, ის ჩაის ფაბრიკა, — სირბილაძემ ხელი გაიშვირა, — ჩემი აშენებულია, მოგესხენებათ მშენებლობის საქმე, ხან ფონდი არაა, ხან მასალა, ხან მუშახელი. ვერ მოვასწართ დადგენილ ვადაზე ჩაბარება. გამომიძახეს რაიკომში და კატეგორიულად მომთხოვეს, სეზონისათვის ფაბრიკა საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცესო. არაფრით არ მოხერხდება-მეთქი; უნდა მოხერხდესო, თუ არა, მშენებლობის გეგმა ჩაგვივარდებაო; მაშინ გამანთავისუფლეთ, ბატონო, იქნებ სხვამ მოახერხოს ეს-მეთქი, არაო, შე-

ნი დაწყებული საქმე შენვე უნდა დაამთავრო, თუ არა, პარტიული ბიუროს
თით აგებ პასუხსო. ერთი სიტყვით, მაგრძნობინეს, დაამთავრებ თუ ვერ
დაამთავრებ მშენებლობას, სამუშაო მაინც შესრულებულად უნდა უჩვენო.
ასეთია აზრი. მართალია, უშუალოდ პირველ მდივანს არ უთქვამს, მაგრამ,
მაგრძნობინეს, ვისი აზრიც იყო ეს. რა უნდა მექნა, დავთანხმდი, ალბათ,
საქმეს ასე სჭირდება-მეთქი... მაღე კომისია ჩამოვიდა სახალხო კონტრო-
ლიდან, შეგვაპოწმეს, სიყალბე გამოარკვიეს და, რა თქმა უნდა, მე აღმოვ-
ჩნდი დამნაშავე. გამიყვანეს ბიუროზე და, პირველ რიგში, იმათ, ვინც
მაიძულა გამეკეთებინა ეს, ტყავი გამაძრეს, მიწერისათვის, კომუნისტისათ-
ვის უღირსი საქციელისათვის, მომარტყეს სასტიკი საყვედური და უკანას-
კნელი გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით. თანაც დამამაძლეს, პარტი-
იდან გარიცხვას და ციხესაც კი იმსახურებო. ერთი კი გავიფიქრე, ყვე-
ლაფერს ვიტყვი- მეთქი, მაგრამ... ერთი სიტყვით, მინდა სიმაართლე დად-
ინდეს. მაქვს ამის უფლება თუ არა?!

— ცოტა ნაგვიანევად ხომ არ დაიწყე სიმაართლის დადგენა, ლადო? —
კითხა ბატონმა დიომიდემ.

— ასეა, სანამ ჩვენ არ შეგვეჩებიან, მანამდე ხმას არ ვიღებთ. — თქვა
ლევანმა.

— წინათაც გვითქვამს, ბატონო, მაგრამ, რა მერე, აყარე ცერცვი კე-
დელს, — ჩაიგუგუნა გოდერძი შავლიძემ. — ოქმშიც კი არ შეჰქონდათ, ზე-
ვით არ შეწუხდნენო.

— მე შენ გეტყვი, დააბარებ რამეს ჩვენს თავმჯდომარეს ან პარტიუ-
როს მდივანს და სიტყვა-სიტყვით ჩაიტანენ რაიკომში! — როგორც იქნა,
ხმა ამოიღო აქამდე უხმოდ მოყურადე კაფანდარა კაცმა.

— ერთხელ მე დაგაბარებ, მიხაკო, რაიკომის მდივანთან და ნახავ, რა-
ნაირი ჩასატანია! — ბოლოს და ბოლოს გული მოუვიდა გაგნიძესაც.

— შენზე არ მითქვამს ეს, — დაიხია მიხაკომ და ისევ დადუმდა.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ანდრიაძის გასა-
გონად იყო ნათქვამი. მაგრამ იგი ხმას არ იღებდა, ამიტომ მასპინძელი შეე-
ცადა მდივნის გამოყვანას უხერხულობიდან:

— მეზობლებო, მაპატიეთ, მაგრამ, რაც უნდა იყოს, პატივცემული
ოთარი სტუმარია ჩვენი და...

— სტუმარი კი არა, მთელი ამ რაიონის პატრონია უკვე. რაც უფრო
ზეტ სიმაართლეს მოიხმენს, მით უკეთესია საქმისთვის, — თავისი გამოსე-
ლა საერთო საქმისათვის გულისტკივილით დაამთავრა სირბილაძემ.

— ამაში კი ნამდვილი ხარ, — დაეთანხმა ლევანი. — თუ არ იცი, შენს
სამწყსოში მართლა რა ხდება, უამისოდ საქმე არ გაკეთდება. თუ რაღაც
უჭდება და ითმენ ამას, ღამე მშვიდად გძინავს ან კიდევ თავს იტყუებ,

ვითომ ვერ ვხედავო, ეს კიდევ უფრო უარესია. იმიტომ ჰქვია მას ხელმძღვანელი, რომ ყველაზე ჰქვია უნდა იყოს, ყველაზე პატიოსანიც, შორსმჭვრეტელიც, თუ გნებავთ, გულთმისანიც; მართო დღევანდელს კი არ უნდა ხედავდეს, ისიც უნდა იცოდეს, ხვალ რა მოხდება.

— მასეთი კაცი ავერ გვყავს, ბატონო, — თქვა ბუხუტი და უკან მოიხედა.

ეს თითქოს ხუმრობით იყო ნათქვამი, მაგრამ ყველა იქეთკენ მიბრუნდა სავსებით სერიოზულად.

კუნძზე ღრმა მოხუცი იჯდა; ყავარჯენის ტარზე ორივე ხელი დაედო, ხელებზე — მთლად გათეთრებული თავი; დაფანქული წარბები გადმოფარვოდა ქუთუთოებზე.

— ყველაზე ხნიერი კაცია ჩვენს სოფელში მირიან ჯიშკარიანი, — გაუკეთა ინფორმაცია მდივანს გაგნიძემ.

ახლა ანდრიაძეც ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა მოხუცს, რომელსაც ალბათ არ ესმოდა, რასაც მასზე ლაპარაკობდნენ, რადგან ისე იჯდა, გაუნძრევლად.

— მართლა ასეთი გულთმისანია? — იკითხა ანდრიაძემ.

რაკი მდივანიც დაინტერესდა, ბუხუტი გამხნევდა:

— ფეხბურთის დღეს ასე წათვლემს ცოტა ხანს, გაიღვიძებს და გამოგვიცხადებს, რანაირად ითამაშებს თბილისის „დინამო“.

— არ მითხრა ახლა, გოლებს ვინ გაიტანს, იმასაც ამბობსო! — გაეღიმა ანდრიაძეს.

— იყო დრო, მაგასაც ვამბობდი, მაგრამ ამ ბოლო დროს გვარებს ვეღარ ვიმახსოვრებ, ბატონო.

ეს თვითონ მირიან ჯიშკარიანმა წარმოთქვა, მაგრამ ისე, რომ არც განძრეულა, არც თვალი გაუხელია, თითქოს არც გაუღვიძიაო.

— სტუმარი გვყავს, მირიან, — შეახსენა ბუღალტერმა ვალიკომ.

— ვიცი ეს მე, — ჩაილაპარაკა მირიანმა და ნელ-ნელა წამოდგომას შეუდგა.

— ბრძანდებოდეთ, ბატონო მირიან, — შესთავაზა ანდრიაძემ.

— მუხლს გავმართავ ცოტას...

იქედან, სადაც გოგო-ბიჭი „რუბიკის კუბიკს“ ჩაჰკირკიტებდნენ, გოგოს შემახილი გაისმა:

— გამოვიდა, გამოვიდა!..

ყველამ იქით მიიხედა.

— გაჩუმდით, ბავშვებო! — წაუსისინა მათ მაყვალამ და ანდრიაძეს მოუბოდიშა: — ბოდიში, ბატონო!..

მაგრამ ანდრიაძემ მხარი არ დაუჭირა მაყვალას და ბავშვებს ჰკითხა:

— რამდენი გამოვიდა?

— ორი, — მიუგო ამაყად ბიჭმა;
— ყოჩაღ! — შეაქო ანდრიაძემ.
— ბოდიში, ბატონო... — კიდეც ერთხელ მოუბოდიშა მდივანს მაყვალამ.

გოგო და ბიჭი ისევ „კუბიკს“ ჩაულრმავდნენ.

მირიანი უკვე ფეხზე იდგა.

— თქვენზე ამბობენ, გულთმისანიაო, — უთხრა ანდრიაძემ.

— ხუმრობით, ბატონო, ხუმრობით... — არ გაუღიმია, ისე თქვა მოხუცმა, — ანდა გულთმისნობა ვილას სჭირდება, როცა რადიო წინასწარ გვიცხადებს, რანაირი ამინდი იქნება ათი დღის შემდეგ, ისიც კი დაუანგარიშებიათ მეცნიერებს, რამდენი ნავთი და ქვანახშირია დარჩენილი სახარჯოდ დელამიწის გულში ორი ათასი წლისათვის.

— მაინც, როგორ დამთავრდება დღევანდელი შეხვედრა თბილისში, ბატონო მირიან? — მართლა დაინტერესდა ანდრიაძე.

— მოვიგებთ, ბატონო, ნამდვილად მოვიგებთ... — ეს მე ძილში კი არ მინახავს, მინდა, რომ მოვიგოთ, ჰოდა, ადამიანს, თუ რამე ძალიან გინდა, ნამდვილად მიაღწევ, მხოლოდ მართლა ძალიან უნდა გინდოდეს, — მოხუცმა თავი ასწია და პირველად გამოუჩნდა დაფანჩულ წარბებქვეშ ღრმად ჩამჯდარი თვალები, — ისე, სწორედ ამ დროს მართლა წავთვლემ ხანდახან, მაგრამ დღეს მართლა ვერაფრით მოვახერხე ეს.

— გესმოდათ, რაც აქ ითქვა?

— კიდეც კარგი, უცხო კაცი არ გვისმენს, თუ არა, იფიქრებს, დაქცეულაო ქვეყანა. არაა მთლად ასე საქმე. არ გვიჭირს ჩვენ ასეთნაირად. მაგრამ გული კი გვტკივა პატარა, ვინაიდან უფრო წესიერად შეიძლება ცხოვრების აწყობა. გუშინ ტელევიზორში ციმბირს უჩვენებდნენ. ვარ მე ნამყოფი იმ მხარეში, მაშინ სხვა სახელი ქვიოდა იმ ქალაქს, ნავთსადენი გაყავთ ახლა იქ. ისეთი ყინვებია, მიწები სკდება თურმე, ხალხი კი მუშაობს, ნამუსიანად აკეთებს მინდობილ საქმეს, ძალიან უჭირს, მაგრამ მაინც აკეთებს, ორმოცგრადუსიან ყინვას ეჯობრება. ჰოდა, ასეთ ხალხს თუ ვერ უპატრონებ, არ გვეპატებია სწორედ!

— გამოდის, რომ ყველა ცოდვა და შეცდომა მაინც ხელმძღვანელობასთან იყრის თავს? — თითქოს იწყინა ანდრიაძემ.

— ძირითადად ასეა ეს, ჩემო ბატონო, ადამიანს იმდენი ძალა და ნიჭი მისცა ბუნებამ, მართო მას რომ არ სჭირდება, მეტი წილი საზოგადოებას უნდა მოახმაროს, ქვეყანას. ჩვენ ამას თანდათან გადავეჩვიეთ. სახალხო საქმე პირად საქმედ აღარ მიგვაჩნია, სულ ჩვენსკენ ვითვლით ეჩოსავით, რომ არ გვჭირდება, იმაზე მეტს; საკუთარ ჭიას ვახარებთ, ქვეყანაზე კი იმან იფიქროს, ვისაც ქვეყანა აბარიაო.

ანდრიაძე ყურადღებით უსმენდა, შემდეგ გაეღიმა.

— ცოტა ახალგაზრდა რომ იყო, ბატონო მირიან, რაიკომში წაგიყვანდით.

— მაშინ ამდენს კი ვეღარ გაგიბედავდით, პატივცემულო მდივანო.

ამ დროს ჭიშკარმა გაიჭრიალა და ყველამ იქეთკენ მიიხედა.

ორნი შემოვიდნენ ეზოში, ქალი და ქალიშვილი, ისინი თითქოს არ გვანდნენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც უმაღლესი შეიცნობდით მათში დედა-შვილს. ქალს თაღის კაბა ეცვა, ქალიშვილს კი ფერადი, ახალგაზრდული, ქალს ღიმილი მწუხარებაგამოვლილი ადამიანის იერი ედო, ქალიშვილსაც ემჩნეოდა ნაღველი, მაგრამ სინორჩე მაინც ძალუმაღ ფეთქავდა მის ტანში, სახეზე, თვალებში... სწორედ თვალებით მიხვდებოდით, რომ ისინი დედა-შვილი იყვნენ, შავი, დიდრონი თვალებით, მიუხედავად იმისა, რომ ქალს გამოღამებულ თვალებში მწუხარება ედგა, ქალიშვილს კი სევდანარევი სიცოცხლის წყურვილი.

მათმა გამოჩენამ მყუდროება ჩამოაგდო ეზოში. მიიწ-მოიწიეს, ადგილი დაუთმეს, ქალმა ჩუმი წარმოთქვა, გამარჯობაო, ჩამოჯდა, ქალიშვილი გვერდით მოისვა, ხელი არ გაუშვია, ისე, და პირდაპირ ანდრიაძეს მიაჩერდა.

ანდრიაძემ იგრძნო მწუხარე სახის ქალის ეს მოულოდნელი და დაუეხებულობა, ერთხანს თვითონაც გაუსწორა თვალი, მაგრამ დიდხანს ვერ გაუძლო და ძალაუხერხურად გაგნიძისკენ მიიხედა, რომელიც აქამდე გამუდმებით აწვდიდა ინფორმაციას, აცნობდა სოფლებებს, მაგრამ ახლა ისიც დუმდა.

— ხომ არაფერს გვეტყვი, თეო? — დაარღვია სიჩუმე დიომიდემ.

თეოს არაფერი უპასუხია, თავი გააქნია მხოლოდ ოდნავ, ისე, რომ ანდრიაძისათვის თვალი არ მოუშორებია.

უხერხულობა რომ გაეფანტა, ანდრიაძე ისევ ჯიშკარიანს მიუბრუნდა;

— კიდევ რას გვეტყვით, ბატონო მირიან?

— რა უნდა ვითხრათ ისეთი, თქვენ რომ არ იცით! ღმერთი არასოდეს მწამდა, მაგრამ აღსარება ნამდვილად კარგი გამოგონება იყო, გულს იოხებდა ადამიანი, ჯავრისგან ითავისუფლებდა, სათქმელი რომ გიგუბდება, იგი იწვევს თურმე გულის სიგანიერეს, ახლა სხვა სახელი რომ ჰქვია.

— ინფარქტი, მირიან, — მიეშველა ბულალტერი ვალიკო.

— რაც აქ ითქვა, ჩემო ბატონო, წინათაც ბევრჯერ გვითქვამს, — წისკვილში, ბუხართან, ღუქანზე... მაგრამ დღეს ეს სხვანაირად ითქვა და, თუ გავიხსენებთ ისეთივე იქნება, ნამდვილად უკეთესად წავა მაშინ ჩვენი საქმე.

ჩამოწოლილ სიჩუმეში ანდრიაძემ საათს რომ დახედა, გაგნიძემ, ალბათ, გაიფიქრა, დროა, შეხვედრა დავამთავროთო და წამოდგა;

— ერთი შეხვედრისათვის საკმაოდ ითქვა აქ, თან კიდევ, პატივცემულ მდივანს ეჩქარება და...

ამ დროს ბიჭის ხმაც გაისმა:

— მესამე გვერდიც გამოვიდა!

ამჯერად მაყვალა აღარ გაწყრომია „კუბიკის“ ამწყობებს, პირიქით ანდრიაძეს თავმომწონედ გაუღიმა კადეც.

— ბარემ ამ ყმაწვილებს დაველოდები, სანამ მთლიანად ააწყობენ. — უთხრა გაგნიძეს ანდრიაძემ.

— კი, ბატონო, — მაშინვე დაეთანხმა გაგნიძე და დაჯდა.

ლევანი წამოდგა და ანდრიაძეზე მიჩერებულ მგლოვიარე ქალს მიუბრუნდა:

— იქნებ მაინც იტყვი რამეს, თეო?

თეომ თვალი კი მოაცილა ანდრიაძეს, მაგრამ თავი დახარა და არაფერი უთქვამს.

— თუმცა არც გვიკვირს ეს ჩვენ, არაფერს რომ არ ამბობ. სიტყვა გამოგვლია შენ და ცრემლიც გაგიშრა უკვე, მიუხედავად იმისა, რომ სათქმელიც ბევრი გაქვს და მოსათქმელიც. ესენი დედა-შვილია, პატივცემულო მდივანო, თეო მშრომელი ქალია, შორენა კადეც — სოფლის თვალი, თითოთ საჩვენებელი... ასე არ არის, ბატონო დიომიდე?

— არა მარტო ჩვენს სოფელში, მთელს რაიონში — ჩაილაპარაკა დიომიდემ.

ქალიშვილი კადეც უფრო მიეკრა დედას.

— ბატონი დიომიდე უფრო უკეთესად მოგახსენებთ მაგათ გასაჭირს, — თქვა ლევანმა.

დიომიდე წამოდგა.

— შორენამ რომ ფრიალოსნის ატესტატი მიიღო, სწორედ იმ დღეს გარდაიცვალა მამამისი. სიკვდილის წინ ამის თქმა მოასწრო ლეო გუბელიძემ, შენი ეჭიმიობა რომ მომსწრებოდა, აღარაფერი მიჭირდაო. ესეც დაუბარა ქალიშვილს ანდრიაძით, დედას მოუარეო. მას შემდეგ მთელი ხუთი წელი გავიდა და შორენას ყოველ წელს ამგზავრებს სოფელი თბილისში, სამედიცინო ინსტიტუტში გამოცდების ჩასაბარებლად. ყოველ წელიწადს თითო ქულა აკლდება... აღარ გათავდა გლოვა თეო გუბელიძის ოჯახში. ყოველი გამოცდის შემდეგ ვანუგეშებთ, ვაისად ნამდვილად მოეწყობათ, მაგრამ არ მორჩათ ის ერთი ადგილი. გაგვანადგურა მავის საცოდაობამ, სხვა ინსტიტუტის გაგონებაც არ უნდა, სამედიცინოზე შესვლა დავპირდი მამაჩემსო. წელს ჩვენი რაიკომის პირველი... ახლა უკვე ყოფილი პირველი მდივნის ვაჟიშვილი რომ მოეწყო სამედიცინოზე, ამ ქალმა ნამდვილად დაკარგა რწმენა, მისთვის აღარ არსებობს აღარც სამართლიანობა და აღარც იმედი, ადამიანი თავის გარშემო უნდა ხელავდეს და გრძნობდეს, რომ საბჭოთა ხე-



ლისუფლება მის მხარეზე, ვინაიდან თეო გულებიძეს ფეხიც არ გაუღებას აქედან და მისთვის მთელი ქვეყანა ეს სოფელია. თქვენ ჩემზე უკეთ მოგესენებათ, ბატონო ოთარ, რომ რწმენა ბადებს რწმენას, ...რაც შეეხება შორენას ცოდნას, შეგიძლიათ ასი პროცენტით მენდოთ, ნამდვილად მომზადებულია...

ამ დროს ჭიშკართან ველოსიპედი შეჩერდა, ფოსტალიონის ჩანთაგადაკიდებული კაცი შემოვიდა ეზოში.

— კაი გამარჯობა თქვენი!

არეულად უპასუხეს.

— რაა ახალი ქვეყანაზე, ბენო?

— ჩვენთვის ყველაზე ახალი აგერ წერია. — ბენო ანდრიაძესთან მივიდა.

— გამარჯობა, ჩემო ბატონო — გაზეთი დაუღო წინ. — აქ წერია გუშინდელი ამბავი.

ანდრიაძემ გაზეთი გაშალა, სხვებმაც, რომლებსაც გენომ გაზეთები ჩამოურიგა.

— აგაშენათ ღმერთმა. კარდაკარ ჩამოტარება რომ არ დამჭირდება.

ანდრიაძემ სხვებზე ადრე დაკეცა გაზეთი.

ყველა მას მიაჩერდა.

სხვებს ისევ ბუხუტიმ დაასწრო:

— რაკი უკვე ოფიციალურად გამოცხადდა ეს ამბავი, ხომ არ მიუუღო ცოთ ჩვენს პატივცემულ...

ბუხუტიმ ანდრიაძეს შეხედა და შეყოყმანდა, რადგან მიხვდა, მისაღოცი ვითარება არ იყო ახლა აქ.

დიომიდე მამარაშვილს სიტყვა:

— ჩვენი დღევანდელი შეხვედრით ხასიათი ხომ არ წაგიხდინეთ, ბატონო ოთარ?

— პირიქით, — ანდრიაძე წამოდგა და ყველა მიხვდა, რომ მას სწორედ ის უნდა ეთქვა გაზეთები ჩვეულებისამებრ რომ სწერენ, „თათბირის მუშაობა პირველმა მდივანმა შეაჯამაო“. — პირიქით, — გაიმეორა მან. — როცა აქეთ მოვდიოდი, ჩემთვის ბევრი რამ ბუნდოვანი იყო. გულიც მეთანადრებოდა. არც ოჯახი მიჭერდა მხარს მაინცდამაინც. თქვენ მართალი ხართ, ძალზე ძნელია ეს, უნივერსიტეტის კათედრა გაცვალო რაიკომის მდივნის საკმაოდ დაუფასებელ შრომაზე, რუსთაველის პროსპექტი — სოფლის ტალახიან ორღობეზე, მაგრამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მითხრეს, საქმეს ასე სჭირდება. საქმე რომ გასაკეთებელია, თანაც ძალიან დიდი საქმე, ამაში თქვენ დამარწმუნეთ და მაღლობა მინდა ვითხრათ ამისათვის, დღეს აქ არც ოქმი დაწერილა და არაფერი დაგვიდგენია. ერთი სიტყვით, ვნახოთ, საქმეში გამოვცადოთ ერთმანეთი.

ამ დროს ჭიშკარს მოტორების თუხთუხით მოადგა მსუბუქი მანქანები, მათ შორის რაიკომის პირველი მდივნის შავი „ვოლგა“.

მანქანებიდან რამდენიმე კაცი და ერთი ქალი გადმოვიდნენ, ჭიშკარი შემოაღეს და დაბარებულებივით წავიდნენ ანდრიაძისაკენ.

— ბატონო ბიქტორ, — მიუბრუნდა ანდრიაძე მასპინძელს. — ბოდიში უნდა მოგიხადოთ, რომ ეს სტუმრები მე დაგიაპტიჟეთ. საქმემ მოითხოვა ასე.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო... — შეეცადა გაოცების დაფარვას ბიქტორი.

ანდრიაძემ საათზე დაიხედა:

— დღეს ოთხ საათზე დანიშნული იყო პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომა, ახლა ზუსტად ოთხი საათია. მასპინძელის ნებართვით, ბიუროს სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

მოსულთაგან ყველაზე ახალგაზრდამ ერთი ფურცელი დაუდო წინ ანდრიაძეს.

— დღევანდელი ბიუროს სხდომის დღის წესრიგი გახლავთ, პატივცემულო ოთარ.

— რამდენი საკითხია? — იკითხა ანდრიაძემ.

— თორმეტი.

— კარგი.

ახალგაზრდა კაცი, ალბათ, პირველი მდივნის თანაშემწე, რომელიც კიდევ ვერ გამორკვეულიყო ამ უცნაური ბიუროს გამო, შორიახლო ჩამოჯდა.

ანდრიაძემ ფურცელი გადაათვალიერა, გვერდზე გადადო და თქვა:

— დღის წესრიგშია ათასი კითხვა და ათასი საკითხი, სიტყვა ეძლევა ყველას.

— გამოვიდა! გამოვიდა!... — გაისმა ამ დროს გოგონას აღტაცებული ხმა.

ყველამ იქით მიიხედა. ფეხზე წამომდგარ გოგოს და ბიჭს ერთად, ცალ-ცალი ხელით, ეკავათ ოთხივე მხარეს აწყობილი „რუბიკის კუბიკი“.

ამ კურიოზულ სიტუაციაშიც კი, როცა ბიუროს სხდომა უკვე გახსნილად გამოცხადდა, არავის მოსჩვენებია ბავშვურ ცელქობად ეს უაღვილო შეძახილი, არავის მოუწოდებია მათთვის წესრიგისაკენ, პირაქით, ეზოში ძყოფთა სახეები თითქოს განათდა იმის გამო, რომ „რადაც გამოვიდა“.

ანდრიაძემ გამამხნეველად გაუდიმა მათ.

გოგო და ბიჭი ეზოდან გაიჭრნენ. ახლა უკვე ორღობიდან გაისმა:

— გამოვიდა! გამოვიდა!

გოგო და ბიჭი გარბიან ტრიალ მინდორში. არე-მარეს წვდება მათი ხმები:

— გამოვიდა! გამოვიდა!..

წინ, რესპუბლიკავ!

წინ, რესპუბლიკავ!
მზის სხივებით ღაღად გაშლილო.
ფირუზისთვალა
საქართველოს ტკბილო მთა-ბარო,
რვაღად შეკრული
თხუთმეტი ძმის დგახარ
კავშირში.

წინ, რესპუბლიკავ!
აზღენილო ყველა ზღაპარო!
რა სიძლიერიოთ
ფეთქავს შენი სისხლი მდუღარი,
უქრობ ჩირაღდნად
გზას გინათებს დიდი ქარტია,
წინ, რესპუბლიკავ!
კვლავ გეძახის სიტყვა მქუხარი.
მშვიდობის დროშად
აღმართული შენი პარტია.
მზე ათასფერად
აენთება მოსკოვის ცაზე,
ვიზილავთ ყველა
იმის სხივთა გამობრწყინებას,
დედაქალაქი მშობლიური,
ღიმილით სავსე,
კვლავ დაუხვდება
დედეგატთა უწყვეტ ღინებას.

გულს გადაუშლის
მოზეიმე ფართო ქუჩები,
ოქტომბრის დროშა
იელვარებს მარად ქებული,
აღამიანებს
მომავლის გზას კვლავაც
უჩვენებს

ლენინის აზრი —
პარტიის მზით განათებული,
ძალა უჩვევი,
მშრომელების ხსნად მოვლენილი,
შეუპოვრობა.
სისპეტაკე, გულგაშლილობა,
ყოველ საკითხზე
სიტყვას იტყვის დიდი ლენინი,
სიბრძნით აავსებს
კომუნისტთა დიად ყრილობას.
მომავლის რწმენა
უდრეკ ძალად შემოგსალტვია,
ამ რწმენით მუდამ
უბრწყინვალეს
წვეერეალს მისწვდება.
— წინ, რესპუბლიკავ!
მოგიწოდებს შენი პარტია,
— წინ, საქართველო!
გეძახიან კომუნისტები.



ბოლავს ბუხარი

შენი სახლ-კარის ხილვა მომინდა,
სოფლისკენ ილტვის ოცნება მალი,
შენი ბუზრიდან წეროებივით
ცად მიილტვიან ბოლქვები კვამლის.

ვხედავ, შრიალი მორთეს ვერხვებმა,
ვაშლის ტოტებში ღურჯი ცა ბრწყინავს,
ზოგჯერ კი ოდის ფანჯრებს ეხლება
წვიმა და თოვლი,
თოვლი და წვიმა.

ზოგჯერ შენს თვალებს დანისლავს ბინდი,
სიკვდილმა ადრე წაგართვა ქმარი.
ცხელი ზაფხული ჩრდილივით მიდის
და ყვითელ ფოთლებს ჩამოყრის ქარი.

ასწრებ სახლ-კარის, შვილების მოვლას,
ვამჭრიახი და მარად მხნე ქალი.
გულს გიხალისებს ზამთარში სკოლა,
ზაფხულში ჩაის ბუჩქებს შეხარი.

გიყვარს დარბაზი ნათელი, სუფთა,
ფანჯრებში დილით ნიავე გრილი,
სტუმრის წინ გაშლილ უბრალო სუფრას
ამღიდრებს შენი დიმილი თბილი.

კვლავ ტანს იყრიან ბაღნარში ხენი,
შვილებს ამშვენებს სილალე ირმის,
ხილნარში ბრწყინავს სახლ-კარი შენი,
ბოლავს ბუხარი და ბავშვი ტირის.

ვხედავ, შრიალი მორთეს ვერხვებმა,
ვაშლის ტოტებში ღაჟუვარდი ბრწყინავს,
ზოგჯერ კი ოდის ფანჯრებს ეხლება
წვიმა და თოვლი,
თოვლი და წვიმა.

ამოზის სიმღერა

ორასი წელი ერთად ვართ,
მარადუამს ერთად ვიქნებით;
ცხოვრებამ შეადუღაბა
ჩვენი აზრი და ფიქრები.
შეერთებული ძალებით
მზე დაეუბნელეთ ჯალათებს
და რაინსტაგის თავანზე
წითელი დროშა აღეშართეთ.
ციმბირის ყინვას ებრძვიან
ჩვენი ლომგული ბიჭვები,
როგორც მიწა და მზის შუქი,
ერთმანეთს ისე ვჭირდებით.
წინათაც ცხარე ბრძოლაში
ერთურთი ბევრჯერ ვინატრეთ.
დღეს ჩვენი ძმობა გვიფარავს —
ჩვენი ციხე და სიმაგრე.

სოფელი ჩაისუბანი

ხევში მწუხრის მზემ ანაზღად ტყეს გაუღიმა ჭირხლიანს,
ჩაქვისწყალი და შარაგზა ორივე ზღვისკენ მიქრიან.
შემოდგომაა, ჰაერში დაფარფატებენ ფოთლები,
ტოტებდახუნძლულ ბაღებში სკისებრ ფუსფუსებს
სოფელი.
ფორთოხლის მწვანე კორომებს გარს უვლის ფერი
ყვითელი,
ტოტებზე სხედან ხურმები, თუ გულწითელა ჩიტები?
ძმობაც იციან სოფელში, შრომაც ხომ კარგად იციან.
ჩაქვისწყალი და შარაგზა ორივე ზღვისკენ მიქრიან.
აქ პლანტაციებს ჩაისას არც თავი უჩანს არც ბოლო,
ბაღნარებს იქით ჩაქვი ჩანს — ქართული ჩაის სამშობლო.

შუალამე... ბინაში ვარ მარტოდმარტო,
 მოგონებებს სქელ წიგნივით გადავშლი.
 ვწევარ წყნარად და ოცნებით დავნავარდობ
 მშობელ ქვეყნის აყვავებულ მთა-ბარში.
 მე ვერ ვამჩნევ, წინ გზაა თუ გზატკეცილი.
 მივჭრი, ვხედავ ალაზნის ველს, ალავერდს,
 ციხეები, დროჟამისგან გაცრეცილი,
 ბრძოლის ამბებს კედლის ხავსში მალავენ.
 მთებს ახურავს, როგორც მწიფე ალუბალი,
 ეარსკვლავებით დახუნძლული ცარგვალი,
 ფშავის მთებში, ვით არწივის ნახუდარი,
 მედიდურად გარინდულა ჩარგალი.
 ბორჯომისკენ მონუსხული ვიცქირები,
 ტყის და ღელის მესმის ჩუმი სიმღერა,
 ბაკურიანს უელვარებს ტყისპირები.
 ნაძვთა ტევრში ცა ღიმილად იღვრება.
 აწყურს გავცდი. შთაგონების ცეცხლად მომდებს.
 თმოგვს და ხერთვისს ვხედავ კლდეზე ჩათვლემილს,
 უკაცრიელ, დაღუძმებულ ციხე-კოშკებს
 ხავსე მოვარე გოცებით დაცქერის.
 შემაჩერებს და შემინთებს ხანძარს ფიქრის
 ტაშისკარი თუ ასპინძის მინდორი;
 ისტორიის უფსკრულებში გადამისვრის
 რძისფერ ნისლში გაღურსული დიდგორი.
 ოცნებით ვჭვრეტ გააფთრებულ ომის ზელებს.
 მოლანდება სასიმღეროდ მაქეზებს;
 ცხენზე წახრილ, ხმაღწაბლუჯულ ქართველ მხედრებს
 ქარიშხალი ახატიათ სახეზე.
 ჩემი ვული ვეღარ უძლებს ლექსის ხანძარს,
 მივიჩქარი ცეცხლიანი სიმღერით
 და ვჩურჩულებ — ამ ომში რომ გაიმარჯვა,
 უძლეველი, უკვდავია ის ერი.
 გზა მოკლდება, შორს კოლხეთი გამოჩნდება,
 ჩანს ბაგრატიის ციხე, ცაში აწვდილი
 და გელათის მაღალ მთაზე გადმოდგება
 უკვდავ მეფის ბუმბერაზი აჩრდილი.



როცა შედეგებს პაჯამებთ

დღევანდელ ეტაპზე, კომუნისტური პარტიის მითითებათა შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აქტუალური სახალხო-სამეურნეო პრობლემების რაციონალურად გადაწყვეტას, წარმოების უნარიანად გაძლიერების გამოცდილების განზოგადებასა და პრაქტიკულად გამოყენებას. ამავე დროს, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სოციალისტური სოფლის წინსვლას ამჟამინდელი დინამიკა თავისთავად ითხოვს პრობლემების ღრმად დამუშავებას, საბჭოთა მეურნეობების შრომითი კოლექტივების ფორმებისა და განვითარების ფუნქციონალურ გამოსახვას.

საბჭოთა მეურნეობის მუშათა კოლექტივების რიცხვის ზრდის, მათი სტრუქტურული ცვლილებებისა და სოციალური აქტივობის ამაღლების კანონზომიერებათა შესწავლა საშუალებას მოგვცემს სათანადოდ გავანალიზოთ დღევანდელ ეტაპზე განხორციელებული ძირეული ძვრები, დავსახოთ განვითარების პერსპექტივები.

აჭარაში ჩაქვისა და სალიბაურის საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბებით იწყება ახალი ხანა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. მართალია, ამ მეურნეობათა ორგანიზაციული და სამეურნეო დონე ჯერ კიდევ დაბალი იყო, მაგრამ პერსპექტივა საკმაოდ საიმედო ჩანდა. სწორედ მის ბაზაზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით განხორციელდა დასავლეთ საქართველოში სუბტროპიკული და სუბტროპიკულ-ტექნიკური კულტურების სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა.

1923 წელს სალიბაურის სახალხო მამული აჭარის მიწსახკომის გამგებლობას დაექვემდებარა. მომდევნო წელს დასრულდა მისი საბოლოო რეორგანიზაცია. ახალშემოერთებული მამულების მეჩხერიანი ფართობები კულტურულ-ტექნიკური ნათესებით შეივსო, გვერანებული ჩაის პლანტაციები აღსდგა. ამის შესაბამისად იმატა მუშათა რიცხვმა. გარკვეული ღონისძიებანი გატარდა მათი მატერიალური პირობების გაუმჯობესების, პროფესიული და კულტურული ღონის ამაღლების, საყოფაცხოვრებო ობიექტების და კულტურული მშენებლობისათვის სათანადო თანხების გამოსაყოფად და სხვ.

1926 წელს გაზეთი „ფუხარა“ აღნიშნავდა: სალიბაურის სახალხო მამულის არსებობის არც ერთ პერიოდში არ ყოფილა წარმოება ისე სწორ ნიადაგზე დაყენებული, როგორც ამჟამად, რაც უნდა მიეწეროს ახლად დაარსებულ სააქციო საზოგადოებას „საქართველოს ჩაის“ და ადგილობრივი ორგანოების ენერგიულ მუშაობას. ამ მუშაობის შედეგი იყო ის, რომ საგრძნობლად გაიზარდა ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, ამაღლდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გაუმჯობესდა შრომის პირობები, ტრანსფორმაცია განიჭადა წარმოების კულტურამ და სხვ.

იმთავითვე გადაიდგა სათანადო ნაბიჯები შრომატევადი პროცესების მექანიზაციის, ხანიტარიულ-პიგენური პირობების, შრომისა და დასვენების რეჟიმის, წარმოებისა და განიზაციისა და მართვის გასაუმჯობესებლად.

სოციალისტური მშენებლობის იმ პირველი ნაბიჯებიდან დღემდე აჭარის საბჭოთა მეურნეობების ცხოვრებაში გრანდიოზული ცვლილება მოხდა. იგი თანაბრად შეეხო როგორც მართვის, ისე მუშათა მატერიალური დაინტერესებისა და კულტურულ-საყოფადოვრებო პირობების გაუმჯობესების პროცესებს.

1962 წელს გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ საგანგებოდ მიუთითებდა, რომ სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის მუშაობაში ბევრი რამ მოსაწონია; შრომის ანაზღაურების ორგანიზაციული, ხასიათი, მუშათა მატერიალური დაინტერესება, პროდუქციის ხარისხიანობა, ნაკვეთების ინდივიდუალური მიმავრება, აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარების ვადების ოპერატიულობა, მოსავლიანობის გადიდების რეზერვების ამოქმედება და ზეგემიური პროდუქციის მიღებასათვის დაწესებული ანაზღაურება, რომელიც მშრომელთა ცხოვრების კეთილდღეობის ამაღლების ნამდვილ წყაროდ იქცა. ამის საილუსტრაციოდ საუკეთესო მაგალითია ერთ-ერთი მოწინავე მუშის, მეჩაიე-მექანიზატორის, ხურიე დავითაძის ოჯახი. იგი მეურნეობაში დიდაჭარიდან საცხოვრებლად გადმოვიდა 1957 წელს. პირველ ხანებში ოჯახს პატარა ქოხი, ჰქონდა, მაგრამ კეთილსინდისიერ შრომით მალე ბევრს მიაღწია. დღეს მათ აქვთ კეთილმოწყობილი სახლი, ხოლო ყოველწლიური ფულადი შემოსავალი 8 ათას მანეთს აღწევს. მეურნეობის ხელმძღვანელობამ გამარჯ და პატიოსან მშრომელს მსუბუქი ავტომანქანა გამოუყო. იგი მრავალ ორდენისა და მედლის კავალერია. კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდებაც მიანიჭეს. მისი სახელი და გვარი მეურნეობის საპატიო წიგნშია შეტანილი. ასეთი ოჯახი მეურნეობაში ბევრია.

1975 წლიდან მეურნეობაში წარმატებით დაინერგა მცირე მექანიზაცია, საგრძნობლად შემსუბუქდა მეჩაიე ქალთა მძიმე შრომა, გაიზარდა მოსავლიანობა, შემცირდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის თვითღირებულება.

1983 წელს მეურნეობის ყველა დარგიდან მიღებულმა ფულადმა შემოსავალმა 1.303 ათას მანეთს გადააჭარბა, სახელმწიფოს 840,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლი ჩაბარდა — გეგმის 105,1 პროცენტით.

უფრო დიდი მიღწევები აქვს მეურნეობას მე-11 ხუთწლიდის დამამთავრებელ წელს. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსავალმა 845 ათას ტონაზე მეტი შეადგინა. ასევე წარმატებით შესრულდა სხვა დარგების გეგმიური დავალებანიც. ამის შედეგად მეურნეობამ უფრო დიდი მოგება მიიღო. კერძოდ, ყველა სახის პროდუქციის რეალიზაციის შედეგად შემოსულია 5 მილიონ 741 ათასი მანეთი, ხოლო მოგება 1985 წლის 1 ნოემბრისათვის შეადგენდა 1 მილიონ 600 ათას მანეთს.

ცხადია, ყოველივე ზემოთქმულის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა თითოეული მუშის საშუალო წლიური გამომუშავებაც, რამაც 7.683 მანეთს მიაღწია.

დარგების სპეციალიზაციამ მეურნეობაში კომპლექსური ხასიათი მიიღო. აქ მეჩაიეობასთან ერთად განვითარდა მეცხოველეობაც. ჯკვე აიგო ფერმის კეთილმოწყობილ შენობა, სასილოსე კოშკი, დანერგილია წყლის მიწოდებისა და ნაკელის გატანის მექანიზაცია, მოეწყო მეღორეობის ფერმა და სხვ. ამ წამოწყებებს საფუძვლად უდევს უნარიანი მართვის სისტემა, რეზერვების ამოქმედება, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერება, სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა.

დიდი ყურადღება ეთმობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებულ სასურსათო პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას.

კოლექტივი მარტო სამეურნეო შედეგებით როდი გამოირჩევა. საგრძნობლად ამაღ-
ლა მეურნეობის მუშაკთა განათლებისა და კულტურის დონე. 9 მუშაკმა წარმოებრიდან
მოუწვევტლად დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. აქედან ერთი სოფლის მეურნეო-
ბის მეცნიერებათა დოქტორია, ერთიც — კანდიდატი.

დღეს მეურნეობის ტერიტორიაზე ცხოვრობს 230 ოჯახი. ბევრს გამოეყო საკარმი-
დამო და საბოსტნე მიწის ნაკვეთები. საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშა-მოსამსახურე-
თა საყოფაცხოვრებო პირობები, დაგეგმილია სკოლის შენობის რეკონსტრუქცია, ამა-
მედლა ციტრუსების ნაყოფის შემფუთავი პავილიონი და სხვ. ფრანგ საგულისხმოა
ერთი ასეთი ფაქტი: მეურნეობის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 6.371 ეკვემპლარს შე-
ადგენს.

მეურნეობის მშრომელებს ემსახურება სამრეწველო-სასურსათო და კოოპერაციის
მაღაზიები, სასადილო, პურის საცხობი, ბიბლიოთეკა, ფოსტა-ტელეგრაფისა და შემნა-
ველი სალაროს განყოფილებანი, 8-წლიანი სკოლა, აბანო, საყოფაცხოვრებო კომბინა-
ტი, საბავშვო ბაგა-ბაღი და სხვ.

რა თქმა უნდა, მეურნეობას აქვს თავისი პრობლემებიც (შემიჩნევა მუშახელის
ნაკლებობა, საცხოვრებელი ბინების სიმცირე და სხვა), მაგრამ სალიბაურელთა მაგალი-
თზე კარგად ჩანს, თუ როგორ განვითარდა და განმტკიცდა საბჭოთა მეურნეობის მა-
ტერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები, ამა-
ღლდა მათი განათლებისა და კულტურის დონე, შეიქმნა ხელსაყრელი ვითარება მეც-
ნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების პრაქტიკაში დასანერგავად, რასაც არ შეე-
ძლო პოზიტიული გავლენა არ მოეხდინა წარმოებრივი შედეგების ეფექტიანობაზე
მთელი სამეურნეო კომპლექსის მასშტაბით. სალიბაურის მეურნეობის მშრომელები,
მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, დიდი შრომითი ენთუზიაზმით ეგებებიან სკკპ XXVII
ყრილობას, რომლის გადაწყვეტილებანი ჩვენი წინსვლის გზაზე გადადგმული კიდევ
ერთი მძლავრი ნაბიჯი იქნება.

ნანა ბაჯელიძე.



სოციალისტური შეჯიბრების ავანბარდში

ვ. ი. ლენინი სტატიაში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება“ წერდა, რომ სოციალიზმი პირველად ქმნის შეჯიბრების გამოყენების შესაძლებლობას ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივად...

სოციალისტური შეჯიბრება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კომუნისტური მშენებლობის სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გახსორციელების გემიური ვადების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მშრომლებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულსკვეთებით აღზრდას.

სოციალისტური შეჯიბრების დამახასიათებელი ნიშნებია მუშების მაღალი შეგნებულობა, მათი სწრაფვა ყოველმხრივ ამრავლონ საკუთარი წვლილი საერთო საქმეში, შეჯიბრების მონაწილეთა რიგების ზრდა. ყოველივე ეს განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა კომუნისტური შრომის დამკვერელის წოდების მოპოვებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში.

სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ბათუმისა და მომხმ რესპუბლიკების ქალაქების მონათესავე საწარმოთა კოლექტივებს შორის, ერთმანეთს ეჯიბრებიან მენავთობეები, მანქანათმშენებლები, მეკრაეები, მეთამბაქოეები და სხვა. ისინი უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ცვლიან დელეგაციებს, ამაში გამოიხატა სოციალისტური შეჯიბრების ისეთი თვისებები, როგორიცაა ამხანაგური დახმარება, ინტერნაციონალური კავშირი და მშრომელთა მეგობრობა.

სსრ კავშირის მუშათა კლასის სახელოვან ტრადიციად იქცა დამატებითი ვალდებულებების აღება, ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება ჩვენი ქვეყნის

ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების აღსანიშნავად. ამაში პოულობს გამოხატულებას მშრომელთა აქტიუობა და ენთუზიაზმი. ამჟამად მთელს ჩვენს ქვეყანაში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. მეტად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ამ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს აჭარის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს მე-11 ხუთწლედის დავალებანი.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა შევიდა განვითარების თვისობრივად ახალ, უფრო მაღალ სტადიაში. გაჩნდნენ არა მარტო კომუნისტური შრომის საამქროები და ბრიგადები, არამედ, კომუნისტური შრომის საწარმოები. მნიშვნელოვნად გადიდა მუშათა კლასის კონცენტრაცია, მისი ერთიანობა ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა პოლიტიკური სიმწიფე და შეგნებულობა. დიდი ღირსება და პასუხისმგებლობა იყო კომუნისტური შრომის კოლექტივის წევრი. ეს კი მაღალმწარმოებლური შრომის ერთ-ერთი სტიმულია, რომელიც არეგულირებს მუშის ქცევას, როგორც ყოფაცხოვრებაში, ასევე საწარმოშიც. შემთხვევითი როდია, რომ ბათუმის მექანიკურ ქარხანაში „კომუნისტური შრომის დამკვერელის“ წოდების მინიჭების დროს ითვალისწინებენ მუშის ტექნიკურ მომზადებას, ოჯახისადმი დამოკიდებულებას, ყოფაქცევას. ყოველწლიურად გაფართოებულ სხდომაზე ამტკიცებენ მინიჭებულ წოდებას (დამკვერელის წლის ნამუშევრის მიხედვით).

სტახანოვერი მოძრაობის 40 წლისთა-
ვთან დაკავშირებით, ბათუმის საწარ-
მოებში მოეწყო მუშათა პროფესიული
ოსტატობის კონკურსი. ბათუმის სამკერ-
ვალო-საწარმოო გაერთიანების კონკურ-
სში — „საუკეთესო მკერავი“ მონაწი-
ლეობდა 300-ზე მეტი მუშა. ბევრ საწარ-
მოში გაიმართა შეხვედრები შრომის ვე-
ტერანებთან. ამ მოძრაობის ტრადიციე-
ბი კვლავ გაგრძელდა. სოციალისტური
შეჯიბრების ფართოდ გაშლაში დიდი
როლი შეასრულა პარტიის XXVI ყრი-
ლობის გადაწყვეტილებებმა. კერძოდ, ხა-
ზი გაესვა შეჯიბრების კონკრეტულობას,
ეფექტიანობას, დამაჯერებლობას, მო-
რალურ და მატერიალურ სტიმული-

რებას, მშრომელთა შეჯიბრებაში აქ-
ტიურ ჩაბმასა და სხვ.

თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური
შეჯიბრება თავისი განვითარების ახალ
საფეხურზე ავიდა. შეჯიბრების პროცე-
სში კიდევ უფრო გაიზარდა იმ საწარ-
მოთა რიცხვი, რომელთაც მინიჭებული
აქვთ კომუნისტური შრომის წოდება,
რაც მუშათა კლასის შრომითი აქტივო-
ბის, წარმოების კულტურისა და ეფექ-
ტიანობის ამაღლებისა და პოლიტიკური
შეგნებულობის ზრდის მაჩვენებელია,
ყოველივე ეს ხაზგასმითაა აღნიშნული
სკკპ წროგრამის ახალი რედაქციის
პროექტში.

იური გორიკი.



რაც დაპინყებით პრ იზინდება

საქართველო
ზოგადი ინფორმაცია



სვალინგრაღუი დაფერფლილი სიხოსხლე

გასული 1985 — სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების წელი ბევრი ღირს-
სახსოვარი მოვლენით აღინიშნა. საბჭოთა ხალხმა მთელ პროგრესულ კაცობრიო-
ბასთან ერთად იზეიმა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავი, კიდევ
ერთხელ მოიგონა სამშობლოსათვის დაღუპულ გმირთა წმინდა სახელები.

ერთ მათგანზე ამ წერილში გიამბობთ.

მრისხანე 1942 წელი იდგა. სკდებოდა ნაღმები და ყუმბარები. საარტილერიო დი-
ვიზიონის მეთაურმა მძიმე ჭრილობა მიიღო. კომისარი გაბრიელ უნგიაძე არ დაიბნა,
ღივიზიონის სათავეში ჩაუდგა და ვაჟკაცურად მოიგერია მტრის გააფთრებული იერიში.
გერმანელმა ფაშისტებმა საბჭოთა არტილერიისტების წინააღმდეგობა რომ ვერ გატეხეს,
ახლა მარცხენა და მარჯვენა ფრთაზე დაიწყეს მოძალეზა, არტილერიისა და ნაღმსატყორ-
ცნების განუწყვეტელ ცეცხლს ამოფარებული მტრის მეავტომატეები მოწინავე რაზმებს
უტყვედნენ. ბრძოლა თანდათან მძაფრდებოდა. მარჯვენა ჩასაფრებული არტილერიისტები
ჯვარედინი სროლით ცელავდნენ მოწინააღმდეგის რიგებს და წარმატებებსაც აღწევდ-
ნენ. გერმანელები მსხვერპლს არ ერიდებოდნენ, ახალ-ახალ ქვედანაყოფებს აბამდნენ
ბრძოლაში. იერიში იერიშზე მიჰქონდათ. მტრის ჭარბ ძალებთან შეერკინების დროს
მიღებული მძიმე ჭრილობის შედეგად ბრძოლის ველზე გმირთა სიკვდილით დაეცა
კომისარი გაბრიელ უნგიაძე.

ამასთან დაკავშირებით, საბჭოთა არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველო იუწყ-
ებოდა:

„ცალკე საარტილერიო დივიზიონის სამხედრო კომისარი, პოლიტხელი გაბრიელ
ვლადიმერის ძე უნგიაძე მძიმედ მიყენებული ჭრილობის შედეგად, 1942 წლის 11 სექ-
ტემბერს გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე და დასაფლავებულია „ვოლგოგრადის
ოლქის კრასნოსლობოდსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „პოტნიომენში“.

სამშობლოსათვის დაფერფლილი ვაჟკაცის გულისთქმას გამოხატავს მისი ფრონ-

ტულა წერილები. ისინი გვიამბობენ, თუ რა გატაცებით უყვარდა გაბრიელს სამშობლო, პარტია, როგორ ეთაყვანებოდა მშობელ დედას, ახლობლებს.

ბრძოლის ცეცხლსა და გრივალში, მიწურსა თუ სანგარში იწერებოდა გაბოს თიოფული ბარათი, როგორც გულწრფელი აღსარება ყველაზე ახლობელი ადამიანის წინაშე. წავიდა და აღარ დაბრუნებულა... რამდენი ნღველი, დარდი და ვარამია ჩაქსოვილი გიორგი ლეონიძის ამ სტრიქონებში:

არ დაიდარდო დედაო,

რაც მე სიკვდილით გაწყენე,

მე შენი ძუძუს ნათელი

საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.

მართლაც რომ გამომბრწყინების ღირსია თავდადება ჩვენი სახელოვანი თანამემამულეს გაბრიელ უნგიაძისა. რომლის ლამაზი სიცოცხლე სტალინგრადისათვის ბრძოლაში დაიფრულა.

* * *

როდესაც პოლიტბელ გ. უნგიაძეზე სტატიის დაწერა გადავწყვიტე, პირველად დავუკავშირდი ქ. წყალტუბოში მცხოვრებ მის დას ვალენტინა უნგიაძე-ბასილაძეს, რომელიც 1941 წელს ქუთაისის რადიოგადაცემათა რედაქციაში მუშაობდა, ახლა კი წყალტუბოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარეა. ვალენტინასა და საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პარტიული არქივის მეშვეობით შემდეგი შევიტყვე:

საბჭოთა არმიის რიგებში გ. უნგიაძე 1937 წელს გაიწვიეს და 1939 წლის დეკემბრამდე შორეულ აღმოსავლეთში იმყოფებოდა, მონაწილეობდა ხასანის რაიონში, როგორც პოლიტბელი, საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით. 1939 წლის ნოემბერში საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრად მიიღეს. ბათუმში ჩამოსვლისთანავე, 1940 წლის თებერვალში, გ. უნგიაძე მუშაობას იწყებს კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტში ინსტრუქტორად. 1940 წლის ოქტომბრიდან კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივნად გადაყავთ. მალე ირჩევენ კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად. 1940 წლის 22 სექტემბერს გ. უნგიაძეს ირჩევენ საქართველოს კომკავშირის XV ყრილობის დელეგატად.

1942 წლის 3 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გ. უნგიაძე 18 ახალგაზრდასთან ერთად სასწავლებლად გაგზავნეს მოსკოვის სამხედრო აკადემიაში, რომელიც 1942 წლის მაისში ექსტერნად დაამთავრა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-სახლგო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს საგზურით ფრონტზე გაიგზავნა. ძალიან მოკლე აღმოჩნდა მისი საბრძოლო გზა. როგორც ზემოთ ითქვა, 1942 წლის 11 სექტემბერს 28 წლის ვაჟკაცი გმირულად დაცა ბრძოლის ველზე.

* * *

1970 წლის ივლისში ვოლგოგრადის ოლქის კრასნოსლობოდსკის რაიონის სამხედრო კომისარიატის მუშაკებმა, საბჭოთა მეურნეობა „პოტიომკინისა“ და საშუალო სკოლის დირექციებმა, რაიონის მოსახლეობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს გაბრიელს

ახლობლებს. მასპინძლებმა სტუმრებთან ერთად პატივი მიაგეს სტალინგრადში დაღუპულ ლი ჯეჟეკაცის გაბრიელ უნგიაძის ზსოვნას.

იქ, სადაც ახლა „პოტიომკინის“ საბჭოთა მეურნეობა, საშუალო სკოლა და მუშათა სასადილოა, ჰოსპიტალი იყო, რომელშიც გარდაცვლილა გაბრიელი. მაშინ იგი მეურნეობის ეზოში დაასაფლავეს. 1953 წელს კი სამშო საფლავზე გადასვენეს — კრასნოსლობოდსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „პოტიომკინის“ ტერიტორიაზე. აქ ყოველთვის თავს იყრიან მშრომელები, ახალგაზრდობა, სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომელთა შვილები სტალინგრადში განისვენებენ.

— სამშო საფლავზე, — იგონებს გაბრიელის და — ვალენტინა, — ჩემი ძმის საპატივცემულოდ გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, რომელთა მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მუდამ ემახსოვრებათ ქართველი მეომრის გმირობა... შემდეგ მის საფლავზე ახლობლებმა საქართველოდან წამოღებული მიწა მოაპანეს..

სასიხარულოა, რომ რაიონის საშუალო სკოლის ერთ-ერთი რაზმი მამაცი კომისარის გაბრიელ უნგიაძის სახელს ატარებს.

დაუვიწყარი იყო აგრეთვე შეხვედრა სტალინგრადში 1971 წლის 9 მაისს — გამარჯვების დღის აღსანიშნავად, გ. უნგიაძის ახლობლები კვლავ ეწვივნენ გმირთა სისხლით მორწყულ წმინდა მიწას.

დასანანია, რომ საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებას ვერ მოესწრო უშიშარი კომისარი გაბრიელ უნგიაძე, რომელსაც ყოველთვის ახსოვდა საყვარელი დედის სიტყვები, ასე შესანიშნავად რომ გამოხატა პოეტმა ილო მოსაშვილმა:

წადი, ქვეყანა გეძახის

და დედის გული გაცილებს;


ასი რომ გქონდეს სიცოცხლე, —

სამშობლოს გაუნაწილე.

გაუნაწილა კიდეც! — სტალინგრადის მასაღგომებთან თავი გასწირა ჩვენი საყვარელი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

იასონ ცერცვაძე,

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების წევრი,
გადამდგარი მაიორი



ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 40 წლისთავის საიუ-ბილეოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა საქართვე-ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სსრ უმაღ-ლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პროფესორ დავით ჩხიკვი-შვილის წიგნი „მტრის ღრუბლიან ცაში“.

დავით ჩხიკვიშვილი ჩვენი ქალაქის მკვიდრია. ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის № 1 საშუალო სკოლაში წარჩინებით სწავლობდა — სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო. 1939 წელს, ფრიაღზე დაამთავრა სკოლა და მოსკოვის ენერგეტიკის ინს-ტიტუტში შევიდა.

...პაერში დენტის სუნი ტრიალებდა, ქვეყანა თავდაცვისუნარიანობას განამტკიცებ-და. როგორც დავით ჩხიკვიშვილი წერს, 1939 წლის ნოემბერში მოსკოვის ოცდაათი ათასი სტუდენტი სამხედრო სასწავლებლების კურსანტი გახდა. მათ შორის ბათუმელი ჭაბუკი იყო.

ომი რომ დაიწყო, დავითი სმოლენსკში იმყოფებოდა. ომის პირველივე დღიდან მტერთან სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ჩაება და ჩვენს მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე მამაცურად ურტყამდა ფაშისტებს.

ბათუმელებს ასოვთ გაზეთების „საბჭოთა აპარისა“ და „ბატუმსკი რაბოჩის“ ომის-დროინდელ ნომრებში გამოქვეყნებული დავით ჩხიკვიშვილის ფოტოსურათები და წერილები. გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ გადავხედოთ მათ და ჩვენი კომენტარები დავუერთოთ წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით.

„მტრის ღრუბლიან ცაში“: „ომი მოულოდნელად დაიწყო. პირველ დღესვე მონი-ხდა გაფრენა ვარშავის დასაბომბად...“

რვა საათის ფრენის შემდეგ უკან გამარჯვებულები დავბრუნდით, პოლკის მეთაურ-მა მადლობა გადმოცა. საღამოს გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ კორესპონდენტი მოვიდა და ინტერვიუ ჩამომართვა. შემდეგ ეს ინტერვიუ მრავალ გაზეთში დაიბეჭდა მათ შორის საქართველოშიც“.

„საბჭოთა აპარის“ 1941 წლის 7 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია ამ ინტერვიუს ნაწყვეტი და კაპიტონ რუსიძის ლექსი „დედის წერილი მებრძოლს“:

გულის სიღრმიდან გილოცავ პირველ საბრძოლო ნათლობას,
სამშაგი დარტყმით რომ შეხვდი შმაგი მტრის მუხანათობას,
ვაშა შენს რკინის შევარდენს, ვაშა შენს გამგებლობას,
ვაშა შენს ღელა-სამშობლოს და მის ვაჟკაცურ თაობას!
ჩემო ძვირფასო, დედის რძეს გაფიცებ შენი მშობელი,
შემუსრე მტერი ავგული, იყავ გმირობის მშობელი,
შენი სიცოცხლით დაიცავ ხალხთა მზე ჩაუქრობელი,
შორიდან კოცნას გიგზავნი და გამარჯვებულს მოგელი!

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს რესპუბლიკურ გაზეთებში „საბჭოთა აპა-რისა“ და „ბატუმსკი რაბოჩისი“ სამშობლოს ღირსეულ შვილთა — აპარის წარგზავნი-ლთა შესახებ პირველი პუბლიკაცია იყო.

„მტრის ღრუბლიან ცაში“: „1941 წლის ოქტომბერი ყველაზე ძნელი თვე გამო-დგა ჩვენი ქვეყნისათვის... მიიღეს დადგენილება მოსკოვის ევაკუაციის შესახებ. მოსა-ხლეობა ქალაქს ტოვებდა... ოცდაორი ოქტომბერს პოსპიტალში ჩვენი პოლკიდან გამო-

გზავნილმა ავტომანქანამ მომავითხა, რათა ქალაქში ჩავყევანე...

...მეგობარი, რომელსაც დავალეხული ჰქონდა ჩემი ჩაყვანა, ახალი გაზეთების საყიდლად წავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ვხედავ: იგორ ღურცოვს გაზეთი ხელში აუფრიალებია და ცეკვა-ცეკვით მორბის, მორბის და რაღაცას გაჰყვრის.

მოირბინა მანქანასთან და გაზეთი ხელში შემომამჩეჩა: აბა წაიკითხე რა წერია მაგ გაზეთში, მომილოცავს, მომილოცავს!

გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული იყო ათი მფრინავის ორდენებით დაჯილდოების შესახებ. ჩემს მეგობარს მოლოდინის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, ხოლო მე და კაპიტანი პონომარენკო ლენინის ორდენებით დაჯილდოვდით. საოცარი, ჩემთვის დღემდე გაურკვეველი გრძნობა დამეუფლა, სიხარულის ცრემლები მომადგა, შემდეგ შემრცხვა ამ ცრემლებისა და სახეზე ხელები ავიფარე“.

„საბჭოთა აჭარის“ 1941 წლის 31 ოქტომბრის ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნდა შემდეგი ინფორმაცია.

ამხ. დ. ი. ჩხეიშვილის და ვ. ტ. მაჩაიძის დაჯილდოება“.

მოსკოვი. („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). 23 ოქტომბერს გაზეთები აქვეყნებდა წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი შემადგენლობისა და რიგითი შემადგენლობის იმ პირთა ახალ სიებს, რომელნიც გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

დაჯილდოებულთა შორის არიან უმცროსი სერჟანტი დავით იოსების ძე ჩხიკვიშვილი და კაპიტანი ვლადიმერ ტიმოთეს ძე მაჩაიძე. ამხანაგი ჩხიკვიშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ხოლო ამხანაგი მაჩაიძე — „წითელი დროშის ორდენით“.

გაზეთის იმავე ნომრის მეორე გვერდზე („საბჭოთა აჭარა“ უკვე ორგვერდიანია გამოდის). გაჩნდა ახალი რუბრიკა „სამშობლოს მამაცი შვილები“. ამ რუბრიკით პირველი დაიბეჭდა ვაჟა ანათიძის წერილი „უმცროსი სერჟანტი დავით ჩხიკვიშვილი“. აქ არა გვაქვს საშუალება მთლიანად გავაცნოთ მკითხველს ეს წერილი და მხოლოდ რამდენიმე ამონაწერით დავამყაროთ დავითი:

„სასიხარულო ამბავმა მოიცვა ოღლა და იოსებ ჩხიკვიშვილების ოჯახი. მათი შვილი, მსროლელი-რადისტი, უმცროსი სერჟანტი დავით ჩხიკვიშვილი... დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

20 წლისა ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ მამაცი მებრძოლი ამხანაგი დავით ჩხიკვიშვილი... იგი პატრიოტულ და გულთბილ წერილებს უგზავნის მშობლებს. იო, სტრიქონები ამ წერილიდან:

„სალამი საყვარელო მშობლებო! 24 წელია, რაც მთელი ძალ-ღონის დაძაბვით ასე გულმოდგინედ აშენებს საბჭოთა ხალხი ჩვენი სამშობლოს. კაცუკამა ფაშისტებს სურთ დაანგრეონ ჩვენი საყვარელ სამშობლო, დაიმონონ ჩვენი ხალხი. მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება. ფაშისტებს ცუდ დღეს ვაყენებთ. მე არ შეგარცხვნი არასოდეს. ყოველთვის ვიქნები მოვალეობის სისახელოდ შემსრულებელი“.

და არის კიდევ.

„მტრის ღრუბლიან ცაში“: ...1942 წლის ზაფხულში... უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაწესდა ახალი „სამამულო ომის ორდენი“. იმავე დღეს გამოქვეყნდა ბრძანებულება ამ ორდენით ასამდე სამხედრო მფრინავის დაჯილდოების შესახებ. ჩვენი ღვიზიდან ამ სიაში რამდენიმე მფრინავი მოგვხვდით. მეორე დღეს კალინინმა ორდენები დაგვირიგა კრემლში...

...შორსმფრენი ავიაციის სარდლის — ალექსანდრე გოლოვანოვის სამუშაო ოთახში შემოვიყვანეს:

— ხვალ ჩემი თვითმფრინავით წახვალ თბილისში, ერთი კვირის შევებულებას გაძლევ. მშობლები მოინახულე“.

„საბჭოთა აჰარის“ 1942 წლის 11 ოქტომბრის ნომერი: „...მამაც, გმირ მებრძოლეთა შორის არის ბათუმელი დავით იოსების ძე ჩხიკვიშვილი, რომელიც სამამულო ომის პირველივე დღიდან საბჭოთა პატრიოტის მთელი მრისხანებით ურტყამს პირისხილიან ფაშისტ დამპყრობლებს. ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოსათვის მას მოსპობილი ჰყავდა მტრის შვიდი თვითმფრინავი. საბრძოლო დამსახურებისათვის ამხანავი დავით ჩხიკვიშვილი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

ამხანავი ჩხიკვიშვილი მონაწილეობას იღებდა საბჭოთა ავიაციის თავდასხმებში მტრის დიდმნიშვნელოვან ობიექტებზე. აგვისტოში ის დაჯილდოებულ იქნა მეორე ხარისხის სამამულო ომის ორდენით. 100-ზე მეტი საბრძოლო გაფრენის დროს მისმა თვითმფრინავმა მრავალი სასიკვდილო ტვირთი დააყარა მტერს.

სიხარულით, ბედნიერებით აივსო გუშინ ამხანავ ჩხიკვიშვილის მშობლების — ოლღასა და იოსების ოჯახი. მათთან ჩამოვიდა მებრძოლი შვილი, რომელსაც მეგობრებმა, სკოლის ამხანაგებმა და კომკავშირელებმა გულთბილი შეხვედრა გაუმართეს. ის მოკლე ხნის შევებულებაში ღარჩება მშობლებთან“.

გამარჯვების საიუბილეოდ „მერანმა“ დავით ჩხიკვიშვილის წინასიტყვაობით გამოცა ვ. ი. ლენინის სახელობის ბათუმის № 1 საშუალო სკოლის მეორე აღზრდილის, დიდი სამამულო ომის ეტერანის, შორსმოქმედი ბომბდამშენი ავიაციის პილოტის, ამჟამად პროფესორ რევაზ ჩხაიძის წიგნი „უკანასკნელი საბრძოლო გაფრენა“. თავის მოკლე წინათქმაში დ. ჩხიკვიშვილი აღნიშნავს: „მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ამ ავიაციის მფრინავთა საპაერო ბრძოლების აღწერა მტრის ღრმა ზურგში. ღამით, კენიგსბერგის, ბუდაპეშტის, ბერლინის ცაში. ავტორმა სიმართლით წარმოაჩინა რიგით მფრინავთა სიმამაცე, სამშობლოსადმი თავდადება, საზრიანობა, გონებაშეხილობა, ერთსულეობა, საბრძოლო თანამეგობრობის მაღალი თვისება. წიგნში მრავალადაა საინტერესო, დამაფიქრებელი ეპიზოდები, როგორც შორსმოქმედი ავიაციის ყოფილი მფრინავი, ბევრი მათგანის მოწმე უშუალოდ ვყოფილვარ და შემიძლია დავარწმუნო მკითხველი, რომ ამ პატარა მოგონებაში ყველაფერი მოთხრობილია უზადო გულწრფელობით და ზგირინავის პროფესიული კეთალსინდისიერებით“.

იგივე სიტყვები თვითონ დავით ჩხიკვიშვილის წიგნზეც შეგვიძლია გავიმეოროთ.

მიხეილ მუვილოვაძე



3. ი. ლენინი ლიტერატურის შესახებ

1924 წლის სუსხიანი თებერვალი იდგა. ბულგარეთში რეაქტია მძინვარებდა. ბულგარული ჟურნალის „პლამკის“ ნომერი უკვე იბეჭდებოდა, როცა მისმა რედაქტორმა გეორგ მილევმა მიიღო ცნობა ლენინის გარდაცვალების შესახებ. მან შეაჩერა ბეჭდვა და ჟურნალში მოკლე გამოსათხოვარი წერილი გამოაქვეყნა: „ლენინი მოკვდა... „სიტყვა „მოკვდა“ უაზრობაა, როცა ლაპარაკობ ამ განუზომლად დიდ ადამიანზე, რომელიც გახდა მარად უკვდავი თვით სიცოცხლეშივე... ახლა საჭირო არ არის არც სიტყვები, არც ბიოგრაფია, არც მის საქმეთა შეფასება. მას შეაფასებს თვითონ მომავალი. დღეს კი, მისმა თანამებრძოლებმაც და მისმა მტრებმაც იციან: ლენინი იყო ერთი იმ ადამიანთაგანი, ისტორიის ტიტანი, რომლებიც ათასწლეულებში ერთხელ მოვევლინებიან ხოლმე ქვეყნიერებას. იგი იმდენად დიდი იყო, რომ ჩვეულებრივი ადამიანის თვალი უძლურია ერთბაშად დაინახოს ეს სიდიადე; იმდენად ძლიერია შუქი მისი იდეებისა, რომ იგი სწვდება მთელ სამყაროს“.

ჟურნალის გამოსვლის შემდეგ გეორგ მილევმა წამებით მოკლეს ციხეში...

არაიან ადამიანები, რომელთა ღვაწლს, რევოლუციისა და მშრომელი მასების საქმიანობის თავდადებას, თეორიულ მეშვიდრეობას, ცხოვრების, შრომისა და მომავლის განჭვრეტის გენიალურ ნიჭს პროგრესული კაცობრიობა, არასოდეს დაივიწყებს. ასეთ ადამიანთა პლადას განეკუთვნება და თანამედროვე ეპოქის მღელვარე სუნთქვას განსაზღვრავს ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, მისი ყოვლისმძლე გენია;

3. ი. ლენინის რევოლუციური მსოფლმხედველობის, მისი მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი მოღვაწეობის ფილოსოფიური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური შეხედულებების ორგანული, შემადგენელი ნაწილი ლიტერატურა და ხელოვნება, ესთეტიკური კონცეფცია იყო. მართალია, 3. ი. ლენინს ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის შესწავლა სპეციალურად კვლევის ობიექტად არ გაუწდია, მაგრამ მის გენიალურ ნაწარმოებებში გადმოცემულია ლიტერატურის ფუძემდებლური ზოგადთეორიული, მეთოდოლოგიური პრინციპები. ბელადი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრულ ლიტერატურას, იგი არა მარტო კითხულობდა, არამედ ფართოდ იყენებდა მხატვრულ ლიტერატურას თავისი მოსაზრებების დასასაბუთებლად. მის ფილოსოფიურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ხასიათის შრომებში გვხვდება ათასამდე ლიტერატურული ციტატა, მოტანილი რუსული და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურიდან. იგი იყო რუსული და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე და დამფასებელი.

5. კრუჰსკაია იგონებდა: ციმბირში ლენინს ჩავუტანე პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის ნაწარმოებები, იგი საღამოობით კვლავ და კვლავ კითხულობდა მათ. ყველაზე მეტად პუშკინი უყვარდა. დიდად აფასებდა ჩერნიშევსკის, გერცენის, პისარევს. მიუნხენში ყოფნისას იმ წიგნებიდან, რომლებიც ლენინს მოსწონდა, იყო ჰერგარდის

რომანი „დედასთან“ და პოდენცის „გლეხი“. იგი კითხულობდა ჰიუგოს ლექსებს, გატაცებული იყო ბარბიუსის წიგნით „ცეცხლი“. შემდეგ, დასძენს ნაღვედა კონსტანტინეს ასული, — მას გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე საღამოს ვუკითხავდი ჯეკ ლონდონის მოთხრობებს „სიცოცხლის სიყვარულს“, იგი ახლაც დევს მაგიდაზე მის ოთახში.

მ. გორკი, როდესაც ლენინთან შეხვედრას იგონებს, წერს: ამ ძლიერმა ადამიანმა მაშინვე დამიწყო ლაპარაკი ჩემი წიგნის „დედის“ ნაკლავანებზე. თურმე ეს წიგნი მას წაეკითხა ი. პ. ლადენიკოვისაგან წამოღებულ ხელნაწერში. იგი ერთ ხელს ისვამდა სოკრატისებურ შუბლზე, მეორეთი სწევდა ჩემს ხელს, ალერსით უბრწყინავდა საოცრად ცოცხალი თვალები. ვუთხარი, მეჩქარებოდა ამ წიგნის დაწერა-მეთქი, მაგრამ ვერ მოვასწარი ამეხსნა, თუ რატომ მეჩქარებოდა. ლენინმა დასტურის ნიშნად დამიქინა თავი და თვითონ ამიხსნა, ძალიან კარგი. რომ აჩქარებულხარო, საქირო წიგნია, ბევრი მუშა იღებდა მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში შეუგნებლად, სტიქიურად და ახლა ისინი დიდი სარგებლობით კითხულობენ „დედას“. „სწორედ თავის დროზე გამოსული წიგნია“. ეს იყო მისი ერთადერთი, მაგრამ ჩემთვის მეტისმეტად ძვირფასი კომპლიმენტი. შემდეგ საქმიანად გამომეკითხა — ითარგმნება თუ არა „დედა“ უცხო ენებზე, რამდენად დაამახინჯა წიგნი რუსეთისა და ამერიკის ცენზურამ და როცა გაიგო, რომ გადაწყვეტილია ავტორის სამართალში მიცემა, ჯერ მოიღუშა, მაგრამ შემდეგ თავი მაღლა ასწია, თვალები დახუჭა და რაღაც არაჩვეულებრივი სიცილით გაიცინა...

მხატვრული ლიტერატურა ადამიანის სიხარულისა და შთაგონების, ოცნებისა და გატაცების წყაროა, დადებითი გმირის, გამოჩენილი ადამიანის ცხოვრების, შრომისა და მოღვაწეობის, სიმართლისათვის ბრძოლის მაგალითზე ზრდის და აწრთობს ადამიანს, ამოღობს მის სულიერ სამყაროს, აყალიბებს ადამიანში სიამაყის, პატრიოტიზმის, შეუპოვრობის, პატიოსნების გრძნობას, იგი ხელს უწყობს ადამიანს იდეურ, ზნეობრივ ამაღლებას, კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას. მაგრამ მხატვრული ლიტერატურის ფუნქცია მარტო ამით როდი ამოიწურება. იგი აახლოებს ხალხებს, ერთიანობის მიზნისაკენ წარმართავს ადამიანების კეთილშობილურ საქმიანობას.

ა. ჩეხოვი, რომლის მოთხრობების შესახებ ლენინი წერდა, „ნიჭიერად არის დაწერილი, ჩემზე დიდი შთაბეჭდილებები მოახდინა“, ერთ-ერთ წერილში წერდა: მწერლებს, რომლებსაც ჩვენ უკვდავებს, ან უბრალოდ, კარგებს ვუწოდებთ და რომლებიც ასე გვხიბლავენ, აქვთ ერთი საერთო და მეტად მნიშვნელოვანი ნიშანი: ისინი საღამო მილიან და თქვენც გიწვევენ იქითკენ და თქვენ გრძნობთ არა გონებით, არამედ მთელი თქვენი არსებით, რომ მათ აქვთ რაღაც მიზანი... საუკეთესო მათ შორის რეალისტები არიან და აღწერენ ცხოვრებას ისეთად, როგორიც არის, მაგრამ, იმის გამო, რომ ყოველი სტრიქონი გაქვნილია იმ მიზნის შეგნებით, თქვენ, გარდა ცხოვრებისა, როგორც არის, გრძნობთ აგრეთვე ისეთ ცხოვრებას, როგორიც უნდა აყოს და თქვენ ეს გაჯადოებთ.

1888 წლის აპრილში ფრ. ენგელსი იხვლისეღ მწერალ ქალს მ. ჰენკენსს წერდა, რომ ფრანგი რეალისტი მწერლის ბალზაკის ნაწარმოებებიდან უფრო მეტი გავიგე, ვიდრე იმ პერიოდის ყველა სპეციალისტ-ისტორიკოსების, ეკონომისტების, სტატისტიკოსების წიგნებიდან, ყველა ერთად აღებული.

მ. გორკის გამოთქმით „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გვერდით, არა ნაკლებ, თუ მეტად არა, ადამიანის გრძნობას და ნებისყოფაზე ზემოქმედების მძლავრ საშუალებას წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურა“. ბელისკის შეფასებით, მხოლოდ რეალისტურ ლიტერატურას შეუძლია ადამიანთა სწავლება და აღზრდა. ნ. ჩერნიშევსკი



კი მიუთითებდა: მხატვრული ლიტერატურა ერთნაირად კეთილმოქმედი და ბელია ადამიანთა ჭეშმარიტი განათლებისა და ბედნიერებისათვის.

ვ. ი. ლენინი ყველაზე მეტად აფასებდა, კითხულობდა და ძალად შეფასებას აძლევდა რუსული ლიტერატურის დიდებასა და სიამაყეს ლევ ტოლსტოის. ვ. ი. ლენინს არც ერთ მწერალზე არ დაუწერია იმდენი სტატია, რამდენიც ტოლსტოის შესახებ. ბელადმა მას მიუძღვნა: „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“ (1908 წ.), „ლ. ნ. ტოლსტოი“ (1910 წ.), „ლ. ნ. ტოლსტოი და თანამედროვე მუშათა მოძრაობა“ (1910 წ.), „ტოლსტოი და პროლეტარული მოძრაობა“ (1910 წლის დეკემბერი), „ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა“ (1911 წ.) და ა. შ.

ვ. ი. ლენინის წერილებსა და შრომებში ნაჩვენებია ტოლსტოის შემოქმედების მაღალი იდეური, მხატვრული და პოლიტიკური დონე, მისი შეფასებით, ტოლსტოის ბადალი არ ჰყავდა მისი დროის მწერალთა შორის. ლ. ნ. ტოლსტოი აღწერდა რა რუსეთის ძველ, რევოლუციამდელ პერიოდს, „რუსეთის ისტორიული ცხოვრების ამ ხანის დახატვისას ლ. ტოლსტომ შესძლო თავის ნაშრომებში დაეყენებინა იმდენი დიდი საკითხები, შესძლო ამდლებულიყო ისეთ მხატვრულ ძლიერბამდე, რომ მისმა ნაწარმოებებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 401).

ტოლსტოის ნაწარმოებები, მისი მხატვრული ტილოები გასული საუკუნის 60-იანი წლებისა და მეოცე საუკუნის დამდეგის ბოლოქარ ეპოქაში იქმნებოდა, როცა ძველი, ფეოდალური პატრიარქალური ინგრედა და ისახებოდა ახალი ეპოქა, ეპოქა კლასობრივი ბრძოლისა, როცა ისტორიის სარბიელზე ახალი კლასი — მუშათა კლასი გამოდიოდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის მოწინავე ადამიანებს არ შეეძლოთ ყოველი მოვლენა პროგრესულის პოზიციებიდან აეხსნათ. ასეთი შეცდომებისა და ნაკლოვანებებიდან ვერც ტოლსტოი განთავისუფლდა და სწორედ ვ. ი. ლენინმა მოგვცა ტოლსტოის ლიტერატურული მემკვიდრეობის, მისი ნაწარმოებებისა და შემოქმედების მარქსისტული შეფასება. „ტოლსტოის მოძოვრება უსათუოდ უტოპიურია და, თავისი შინაარსით, რეაქციულია, ამ სიტყვის უადრესად ზუსტი და უადრესად ღრმა მნიშვნელობით, მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს არც ის, რომ ეს მოძვრება არ იყოს სოციალისტური, და არც ის, რომ მასში არ იყოს კრიტიკული ელემენტები, რომელთაც შეუძლიათ მოგვცენ საგულისხმო მასალა მოწინავე კლასების გასათვითცნობიერებლად“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 43).

ვ. ი. ლენინმა, ლ. ნ. ტოლსტოის ნაწარმოებების წინააღმდეგობრივი ხასიათი მეცნიერულად მარქსიზმის პოზიციებიდან ახსნა წერილში „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“.

ლ. ნ. ტოლსტოის ნაწარმოებები გლეხური აჯანყებებისა და მისი ნაკლოვანებების სარკეა, რუსული პატრიარქალური სოფლის დაბეჩავებულობის, პროტესტანტი გლეხის სარკეა, მაგრამ მასში არ ჩანს ბრძოლის როგორი ფორმებით უნდა მოიპოვოს გლეხმა თავისუფლება.

ასეთი გაორების, ნაკლოვანებათა მხილების მიუხედავად, ვ. ი. ლენინი აფასებს ლ. ნ. ტოლსტოის შემოქმედებაში კარგს, პროგრესულს, იგი დასძენს, რომ ტოლსტომ არა მარტო მოგვცა მხატვრული ნაწარმოებები, არამედ შესძლო შესანიშნავი ძალით გადმოეცა დაჩაგრულთა ფართო მასების სულიერი განწყობილება.

მ. გორკი ივრობს: „როგორღაც შეიკარე მასთან და ვხედავ: მაგიდაზე დევს „ომისა და მშვიდობის“ ტომი.

— ჰო, ტოლსტოის ნადირობის სცენის წაკითხვა მინდოდა, მაგრამ გამახსენ-

და, რომ ამხანაგს წერილი უნდა მივწერო. სრულიად არ მრჩება დრო კითხვისათვის. მხოლოდ წუხელ წავიკითხე თქვენი წიგნი ტოლსტოიზე.

გაიღიმა, თვალები მოჭუტა, სიამოვნებით გაიჭიმა სავარძელში, ხმას დაუწია და ჩქარა განაგრძო.

— რა ბუმბერაზია, ა! რა უზარმაზარი ადამიანი! აი, მხატვარი, ბატონო ჩემო... და იცი, კიდევ რა არის საკვირველი? ამ გრაფამდე ნამდვილი გლეხი ლიტერატურაში არ ყოფილა.

შემდეგ მიღულა თვალები, შემომხედა და მკითხა:

— ევროპაში ვინ შეიძლება მის გვერდით იქნას დაყენებული?—და თვითონვე უბასუხა თავის თავს.

— არაგინ.

ხელების ფშვნეით გაიცინა კმაყოფილმა.

ბუნებრივია, მწერალი არა საზოგადოებისაგან განცალკევებული, იზოლირებული პიროვნება, ე. წ. პასიური მკვრეტელია, არამედ საზოგადოების აქტიური წევრი, აქტიურად მოქმედი პიროვნება, რომელსაც გააჩნია გარკვეული მსოფლმხედველობა, გარკვეული კლასის, სოციალური ფენისადმი ინტერესი, მრწამსი, მისწრაფება, ტენდენცია. მწერალი ასახავს არა მარტო ამა თუ იმ კლასის ინტერესებს და მისწრაფებებს, ამასთან თავისი იდეალით იბრძვის კლასის, პარტიის, საზოგადოების სასარგებლოდ.

გ. ი. ლენინმა თავისი მარქსისტული კონცეფცია ლიტერატურის პარტიულობის შესახებ ბრწყინვალედ ჩამოაყალიბა მთელ რიგ შრომებსა და გამოსვლებში, მაგრამ ყველაზე კონკრეტულად და რელიეფურად სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“.

ვ. ი. ლენინი წერდა: „...სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პარტიული ლიტერატურის პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და განახორციელოს იგი რაც შეიძლება უფრო სრული და მთლიანი სახით“. და შემდეგ: „რაში მდგომარეობს პარტიული ლიტერატურის ეს პრინციპი? ეს პრინციპი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ სოციალისტური პროლეტარიატისათვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა თუ ჯგუფთა მოგების იარაღი იყოს, იგი საზოგადოდ არ შეიძლება ინდივიდუალური საქმე იყოს, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი. ძირს უპარტიო ლიტერატურები, ძირს ზეკაცი ლიტერატორები! ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო-პროლეტარული საქმის ნაწილი, „პატარა ბორბალი და ხრახნი“ ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმისა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მთელი მუშათა კლასის მთელ შეგნებულ ავანგარდს. ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი ორგანიზებული, გეგმამოწონილი, გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობისა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 36).

სრულყოფილად რომ წარმოვიდგინოთ ვ. ი. ლენინის შეხედულებები გასული საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დამდგმის მწერლებზე, მოცემული პერიოდის მხატვრულ ლიტერატურაზე, საჭირო იქნება რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლენინისეული პერიოდიზაციის მოტანა. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი პერიოდი ეს არის თავდაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825 წლიდან 1861 წლამდე, მეორე — რაზნოჩინული ანუ ბურჟუაზულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861 წლიდან 1895 წლამდე და მესამე, პროლეტარული პერიოდი, რომელიც 1895 წლიდან იწყება და ვითარდება.

განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი პერიოდის მწერლებიდან ვ. ი. ლენინმა გამოთქვა თავისი საფუძვლიანი მოსაზრება რადიშჩევის, დეკაბრისტების, გერცენისა და თავდაზნაურთა წრიდან გამოსული სხვა მწერლების შესახებ.

1912 წლის მაისში გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია გერცენის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო. ბელადი მოუწოდებს პროლეტარიატს, მშრომელ მასებს შეენჯღვრონ გერცენი, იცნობდნენ მის ბიოგრაფიას და ნაწერებს, „მუშათა პარტიამ უნდა მოიხსენიოს გერცენი არა ობიექტურად, არამედ თავისი ამოცანების გასარკვევად, იმ მწერლის ნამდვილი ისტორიული ადგილის გასარკვევად, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის რევოლუციის მომზადებაში“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 11). შემდეგ ლენინი მიუთითებს, გერცენი, დეკაბრისტებმა გამოადვიესო. და შესძლო რუსეთში ასულიყო ისეთ სიმაღლეზე, რომ თავისი დროის უდიდეს მოაზროვნეებს გატოლებოდა. აქვე ლენინი ახილავს გერცენის სექტეციზმს, მის კრახს, შემოქმედებით გაორებას და იძლევა მის მეცნიერულ ახსნას. გერცენმა გაიგო მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი, მაგრამ შეჩერდა ისტორიულ მატერიალიზმთან, იგი სოციალიზმის ჩანასახს ხედავდა რუსულ გლეხურ თემში. პუნებრივია, გერცენის კრახი ეს იყო ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრახი სოციალიზმის მიმართ, გერცენის ბრალი კი არ იყო, რომ მან 40-იან წლებში ვერ შესძლო დაენახა რუსეთში რევოლუციური ძალები. 60-იანი წლებიდან იგი დადგა რევოლუციური დემოკრატიის მხარეზე.

ვ. ი. ლენინის სიტყვებით. პროლეტარიატი გერცენის მაგალითით სწავლობს იმის გაგებას, რომ რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთგულება და რევოლუციური ქადაგებით ხალხისადმი მიმართვა მაშინაც კი არ ჩაივლის ამაოდ, როცა მთელი წლები ამორებს თესვას მკისაგან, სწავლობს რუსეთის და საერთაშორისო რევოლუციაში სხვადასხვა კლასთა როლის განსაზღვრას. ამ გაკვეთილებით გამდიდრებული პროლეტარიატი გზას გაიკაფავს ყველა ქვეყნის სოციალისტურ მუშებთან თანისუფალი კავშირისაკენ, გასრესს იმ ქვეყარმავალს, მეფის მონარქიას, რომლის წინააღმდეგ გერცენმა პირველმა აღმართა ბრძოლის დიდი დროშა მასებისადმი მიმართული თავისუფალი რუსული სიტყვით.

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე პერიოდთან ვ. ი. ლენინი ჩერნიშევსკის რუსეთში მარქსიზმ-ლენინიზმის წინამორბედად მიიჩნევდა. ბელადი მას ახასიათებს, როგორც გენიალურ პუბლიცისტსა და მწერალს, ფილოსოფოსსა და ეკონომისტს. იგი აღასვებდა ჩერნიშევსკის თეორიულ მეგვიდრეობას და პრაქტიკულ მოღვაწეობას, რევოლუციურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობას, პატრიოტიზმს, ხალხისათვის თავდადებას, მის შეურიგებლობას ლიბერალიზმთან. ვ. ი. ლენინის შეფასებით, ჩერნიშევსკი იყო არა მარტო სოციალ-უტოპისტი, არამედ აგრეთვე რევოლუციონერ-დემოკრატი, იგი რევოლუციურ ზეგავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობაზე.

ნ. კრუპსკაია სტატიაში „ლენინი და ჩერნიშევსკი“ მიუთითებდა, რომ როგორც პიროვნებამ, ჩერნიშევსკიმ გავლენა მოახდინა ვლადიმერ ილიას ძეზე თავისი შეურიგებლობით, თავისი სიმტკიცით, იმიტომ, თუ რა სიამაყით იტანდა იგი თავის უმაღალითო მძიმე ხვედრს. ჩერნიშევსკიმ ჩაუნერგა ლენინს შეურიგებლობა ლიბერალიზმისადმი, უნდობლობა ლიბერალური ფრაზებისადმი.

საყოველთაოდაა ცნობილი ვ. მაიაკოვსკის ლექსის „სხდომასგადაყოლილნი“ ლენინისეული შეფასება: „მე დიდი ხანია არ განმიცდია ასეთი სიამოვნება პოლიტიკური და ადმინისტრაციული აზრით, როგორც ამ ლექსმა განმაცდევინა“. ჩვენ ისეთი აღამიანები გვყავს, დასძენს ლენინი, რომელნიც სულ თაობირობენ, კომისიებს ადგენენ, დაუსრულებლად ფუსფუსებენ. ბელადი იქვე იკონებს რუსული ცხოვრების ერთ ტიპს — ობლომოვს, რომელიც სულ იწვა და გეგმებს ადგენდა... ჩვენ, კომუნისტები, ასეთ ტიპებს არ უნდა დავემსგავსოთ. მისმა მოწინავე კლასმა, პროლეტარიატმა სამი რევოლუცია მოახდინა, რევოლუციებმა ბევრი რამ გვასწავლა, ამიტომ დადგა დრო გავიზ-

რომ, ვისწავლოთ, მოვემზადოთ ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის, ვისწავლოთ თუ როგორ უნდა ჩავატაროთ სხდომები, როგორ ვიმუშაოთ კომისიებში, ხალხში და ა. შ.

მრავალსმეტყველია ის ფაქტიც, რომ იმ პირთა სიაში, ვისი მონუმენტებიც უნდა დადგმულიყო მოსკოვსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში, 1918 წელს ლენინმა შეიტანა ტოლსტოი, დოსტოევსკი, ლერმონტოვი, პუშკინი, გოგოლი, რადიშჩევი, ბელინსკი, იგაროვი, ჩერნიშევსკი, მიხაილევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, გლებ უსპენსკი, სალტიკოვ-შჩედრინი, ნეკრასოვი, შევჩენკო, ნიკიტინი, ნოვიკოვი, კოლცოვი და სხვები.

ლიტერატურასთან ერთად ბელადს იტაცებდა ხელოვნების ისტორია, მან ერთხელ ა. ვ. ლუნაჩარსკისთან საუბარში გულისტყვილით თქვა: „რა წარმტაცი დარგია ხელოვნების ისტორია. რაოდენი სამუშაოა აქ კომუნისტისათვის... გულს დამაკლდა, რომ არ მქონია და არც მექნება დრო ხელი მოვკიდო ხელოვნებას“.

საეურნალო სტატიაში, ცხადია, შეუძლებელია ამ მდიდარი მემკვიდრეობის გადმოცემა, რაც ვ. ი. ლენინმა ლიტერატურის შესახებ დაგვიტოვა. ეს მემკვიდრეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღევანდელ ეტაპზე, როდესაც მოსახლეობის კულტურის დონის ამაღლება, ესთეტიკური აღზრდის სრულყოფა, უპირველესი ამოცანა გახდა. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, ნათქვამია სკვპ პროგრამის ახალ რედაქციაში, რომ მშრომელმა მასებმა უფრო სრულად და ღრმად აითვისონ სულიერი და მატერიალური კულტურის საგანძური, აქტიურად ეზიარონ მხატვრულ შემოქმედებას“.



სტოპრების მხარდამხარ

საბჭოთა ადამიანების იდეურ გამდიდრებასა და ზნეობრივ აღზრდაში დიდ როლს ასრულებს ლიტერატურა და ხელოვნება. პარტიამ მკაფიოდ განსაზღვრა მათი როლი და განვითარების ძირითადი მიმართულებანი. სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში ნათქვამია: „ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მთავარი გეზია ხალხის ცხოვრებასთან კავშირის გაღმტკიცება, სოციალისტური სინამდვილის მართალი და მაღალმხატვრული ასახვა, ახლის, მოწინავეს შთაგონებული და ნათელი გახსნა და ყოველივე იმის მგზნებარე მხილება, რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას“.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების, კერძოდ, აჭარის მწერალთა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედების ანალიზი ომისშემდგომ წლებში იმის ნათელი დასტურია, თუ როგორ იღვწოდა შემოქმედებითი ინტელიგენცია პარტიის წინასწარდასახულებათა შესასრულებლად, ნაწარმოებთა იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული დონის ასამაღლებლად.

1946 წლის 8-9 ოქტომბერს ბათუმში გაიმართა აჭარაში მომუშავე ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების საერთო კრება, რომელმაც განიხილა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებიდან გამომდინარე ავტონომიური რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციის ამოცანები. მოუთრდებლად ამხილეს ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთი ნაწარმოების დაბალი მხატვრული და იდეური დონე, განსაზღვრეს მომავალი მუშაობის კონკრეტული ამოცანები.


აჭარაში ომისშემდგომ წლებში მოსახლეობის კომუნისტურ აღზრდაში განსაკუთრებული ადგილი მხატვრულმა ლიტერატურამ დაიკავა.

პროზაში განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო პარმენ ლორიას წვლილი. იგი იმ თაობის მწერალთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე გამოვიდა.

პ. ლორიას რომანებსა და მოთხრობებში, რომლებიც 1946-1965 წლებში შეიქმნა, ასახულია მუშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობა და რევოლუციური მოძრაობა, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დაარსება და საქმიანობა საქართველოში, კერძოდ, აჭარაში. საინტერესოა წარმოდგენილი დიდი სამამულო ომის ეპიზოდები. ისინი გამსჭვალულია ღრმა პატრიოტიზმით, პარტიული სულისკვეთებით.

პ. ლორიას სამი რომანი „ჩაი“, „განთიადი ხევში“, „მეველდი“ ომამდე დაისტამბა. ომისშემდგომ კი მისი მეოთხე რომანი — „საუკუნის დაბადება“ გამოქვეყნდა, რომელშიც მხატვრულად გაუმჭებელია ბათუმის მუშათა რევოლუციური მოძრაობა 1901-1903 წლებში. 1918-1921 წლების რევოლუციურ მოძრაობას ასახავს რომანი „ტალღები“. მისი მთავარი გმირები ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლები არიან.

სახელოვანი მუშათა კლასის ცხოვრებას, რევოლუციურ ბრძოლას და შემოქმედებით შრომას ასახავს პ. ლორიას რომანები „მალაროვში“, „შვილები“. პირველ მათგანში ავტორი გვიხატავს ჭიათურის მალაროვლთა ყოფას, „შვილებში“ მწერალი მხატვრულად გვესურათებს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მუშათა კლასის გმირულ შემოქმედებით შრომას.



საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდის ცალკეული საინტერესო ეპიზოდები მწერალმა მხატვრულად ასახა რომანში „ალისფერი დილა“ და მოთხრობებში „დაბრუნებული“, „წერილი ფრონტადან“, „ქარიშხალი“ და სხვა. ახალგაზრდობის თანამედროვე ცხოვრებას ეხება რომანი „საიმედო მომავალი“. პარმენ ლორიას ეკუთვნის აგრეთვე ავტობიოგრაფიული ხასიათის რომანები „დაზვიან დაზგამდე“ და „ჩემი პატარა ოჯახი“, რომლებშიც გადმოცემულია მწერლის მიერ განვლილი ცხოვრების ისტორია. ამ რომანების აღმზრდელობითი და შემეცნებითი მნიშვნელობა უაღრესად დიდია.

პარმენ ლორიას დრამატული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „დინარა“, „ნაირა“, „მეგობრობა“, „მეველდი“ და სხვ. ისინი წარმატებით იღვმებოდა საქართველოს თეატრებში.

დიდი სამამულო ომის თემაზე კაპიტონ რუსიძემ რამდენიმე რომანი დაწერა. — „იწერებოდა სისხლით“, „ყვდიო დედე“, „გამარჯება“ და სხვ. ომის შემდგომ პერიოდს ეხება რომანები „მოუსვენარი ადამიანები“, „ბეწვის ხიდზე“, „ნაზიბროლა“, „ჭიდილი მთებში“, მოთხრობების კრებული „კაჟის ნატეხი“, რომლებიც 50-იან წლებში გამოქვეყნდა.

პროზასა და დრამატურგიაში ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა ალექსანდრე ჩხაიძე, რომელმაც 50-იანი წლებიდან მოყოლებული, რამდენიმე მოთხრობა და პიესა გამოაქვეყნა. მათგან აღსანიშნავია „როცა ბავშვობა მთავრდება“, „მეგობრობა“, „ზღვისპირა ქალაქი“, „ზღვის შვილი“, „გზაჯვარედინთან“, „სიბრძნე სიკვდილისა“, „მომავალ შეხვედრამდე“ და სხვ. პირველი ორი გამოცემლობა „ნაკადულის“ პრემიით აღინიშნა.

50-იანი წლების ბოლოს გამოქვეყნდა იუსუფ ფაღავას, ჯემალ ჯაყელის, შოთა როყვას, გიორგი ლორთქიფანიძის და სხვების ნაწარმოებები. ი. ფაღავას რომანებში „ჩაუთქმარი კვრა“ და „ქედმოუხრელი“ ასახულია თავგანწირული ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ ქართული ეროვნული ყოფისა და კულტურის შენარჩუნებისათვის და გამსჭვალულია ღრმა პატრიოტიზმით. გ. ლორთქიფანიძის პირველი რომანი „უკანასკნელი ცრემლი“ გვისურათებს დიდი სამამულო ომის დროს საკოლმეურნეო ცხოვრებას. ჯ. ჯაყელის რომანი „გულის საუნჯე“ ასევე ღრმა პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული. შ. როყვას „მამის ღიმილი“ ასახავს ომგადახდილის ცხოვრებას.

1946-1965 წლებში აჭარის პოეტებმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში. სამოღვაწეო ასპარეზზე ახალი ნიჭიერი თაობა გამოჩნდა. მრავალფეროვანი გახდა მათი ნაწარმოებების თემატიკა. ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებას მნიშვნელოვანი ამაგი დასდეს ნესტორ მალაზონიამ, პარმენ რურუამ, მამია ვარშანიძემ, ფრიდონ ხალვაშმა, გიორგი სალუქვაძემ, ნანა გვარამიშვილმა და სხვებმა.

მამია ვარშანიძის პირველი ლექსები 30-იანი წლების შუახანებში გამოქვეყნდა, მაგრამ პოეტის ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა ომის შემდგომ პერიოდში გაიშალა. 1946 წელს, ფრონტადან დაბრუნების შემდეგ, მ. ვარშანიძემ გამოაქვეყნა ლექსების კრებული „მებრძოლის სიმღერები“, რომელიც მიძღვნილია დიდი სამამულო ომისა და საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომისადმი.

1946 წლიდან 1966 წლამდე მ. ვარშანიძემ ლექსებისა და პოემების ათამდე კრებული დაბეჭდა და ყველა ისინი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულითაა გაჟღერითი. აღსანიშნავია ისტორიული პოემა „ხიხანის არწივები“, რომელიც 1958 წელს გამოქვეყნდა. მასში პოეტი გადმოგვცემს თურქი ასიმილატორების წინააღმდეგ აჭარაში გაჩაღებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც სელიმ ხიმშიაშვი-

ლი ხელმძღვანელობდა. სამშობლოსადმი ასევე დიდი სიყვარულითაა ამტკიცებული მ. ვარშანის ლექსებისა და პოემების კრებულები „ჩემო სამშობლო“, „ჩემი ტყე“, „უუუუნა წვიმა“ და სხვ.

ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა. იგი სამოღვაწეო ასპარეზზე დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში გამოვიდა და პირველი ლექსით „სიმღერა ისრაფილ ჭინჭარაძეზე“ თავიდანვე მკითხველთა ფართო წრის ყურადღება მიიქცია. 1945-1965 წლებში პოეტმა ოცამდე წიგნი გამოსცა და ყველა მათგანი გამსჭვალულია მშობლიური ქვეყნის, მისი სახელოვანი მშრომელების სიყვარულით. ფრ. ხალვაშმა პროზაული და დრამატული ნაწარმოებებიც დაწერა, მაგრამ ძირითადად იგი მაინც ლირიკოსი პოეტია, უმღერის მშვიდობას, მეგობრობას, სიყვარულს. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ლექსები „ომი იქნება?“, „ვიეტნამო, ვიეტნამო“, „სიტყვა მთავარი“ და მრავალი სხვა.

ფრ. ხალვაშის დრამატული ნაწარმოებებიდან უნდა გამოვყოთ „ხიხანის ძახილი“, „ვანის ტირილი“, „გადარჩენილი უკვდავება“, აგრეთვე, პროზაული კრებული „დათვის ხაფანგი“ და სხვ.

1945-1965 წლებში აქარაში ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ უფროსი თაობის პოეტები ნესტორ მალაზონია და პარმენ რურუა. ნესტორ მალაზონია, რომელიც მხატვრულ ლიტერატურაში პირველად 1921 წელს შემოვიდა, თავის პოეზიაში წარსული და თანამედროვე ცხოვრების მრავალ სფეროს ეხებოდა. პოეტი გატაცებით უმღეროდა დიდი სამამულო ომის გმირებს, მშობლიურ ქვეყანას, კომუნისტურ პარტიას, დიდ ლენინს.

სამამულო ომის წლებში ნ. მალაზონიამ არაერთი პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღერთილი ლექსი გამოაქვეყნა. ომის შემდგომც ამ დიდმნიშვნელოვან თემას პოეტის ყურადღება არ მოკლებია. მაგალითად, 1946 წელს ნ. მალაზონიამ გამოაქვეყნა „გმირების საღდეგრძლო“, რომელშიც აღიღებს სამშობლოსათვის ფრონტზე დაღუპულ მებრძოლეს, მეტად შთამბეჭდავია 1951 წელს გამოქვეყნებული ლექსები სამგორზე.

მ. 60-იან წლებში ნ. მალაზონიას პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი მშვიდობის, ლენინის, პარტიისადმი მიძღვნილმა ლექსებმა და პოემებმა დაიკავეს. ამ მხრივ აღსანიშნავია პოემა „კმარა“, ლექსები „უპარტოო კაცის სიტყვა“, „უკვდავი ძმობა ჩვენი“, „ლენინი“, „ლენინის ძეგლი ბათუმში“, „პირისპირ ეზვდები ლენინს“, „მარად ცოცხალი“, „თვითონ ლენინი“. არაერთი ლექსი მიუძღვნა პოეტმა მომავალ თაობას („სკოლაში გაცილებ“, „ხვალის იმედი“, „კედლის საათი“, „ბავშვის ხმა“).

პარმენ რურუას შემოქმედება ყველაზე უფრო ომის შემდგომ პერიოდში გამოირჩეოდა. მან ბევრი ლექსი და პოემა გამოაქვეყნა, რომელთაგან აღსანიშნავია „სიმღერა თბილისზე“, „ღრუბელი ლურჯ ცაზე“, „ცისკარაზე“, „შემოდგომა“, „ახალი მთვარე“, „ღამე ბაღში“, „ვარსკვლავები“, „პომეი კოსმონავტებს“, „ციხისძირის ნანგრევებთან“, პოემა „ნაცარქექია“, „უტუტ მიქავა“ და სხვა.

ნანა გვარიშვილის პოეტური მოღვაწეობა 1940 წლიდან იწყება. თავისი შემოქმედებით იგი ახალი ცხოვრების მშენებლობის მოწინავე რიგებში ჩადგა. 1945-1965 წლებში ნანა გვარიშვილის ნაწარმოებები რამდენიმე კრებულშია შესული, მკითხველი საზოგადოების დიდ სიბოძას და სიყვარულს იმსახურებს ლექსები „აპარელი ქალიშვილები“, „ოჰიადრონი“, „ჩადრების ჰაიკოკონა“, „უკრიანელი სტუმრები“, „ახლა“, „მშვიდობის დიდ ნათელ გზებზე უნდა გავიმარჯვოთ“, „მეიკენე“, „ცოცხლობს ზოია“, „საბავშვო პოემები: „თითისტოლა“, „მელა და წიწილა“, „ოროი კოჭი“, „დედა ენა“ და მრავალი სხვა. ნანა გვარიშვილმა თავი გამოიჩინა მთარგმნელობითაც. მან თურქულიდან ქართულად ააქდერა ნაზიმ ჰიქმეთისა და სხვა პოეტების ლექსები.

თეატრისათვის გიორგი სალუქვაძის წვლილი ქართული მხატვრული სიტყვის განვითარებაში. მან პირველი ლექსი 1937 წელს გამოაქვეყნა. 1945 წელს დაიბეჭდა გიორგი სალუქვაძის პირველი კრებული, ხოლო 1946 წელს მცირე — „დაბრუნებულან“, რომელიც შესულია 1937-1946 წლებში დაწერილი ნაწარმოებები, 1950-1965 წლებში პოეტმა ლექსების ახალი კრებულები გამოსცა — „აყვავებული აჭარა“, „მშვიდობა უნდათ პატარებს“, „თოჯინების ნაამბობი“, „რა ხანი გათენდა“.

გ. სალუქვაძემ თავი გამოიჩინა როგორც კარგმა მთარგმნელმა. საყურადღებოა პუშკინის, ლერმონტოვის, კრილოვის, გამზათოვის, ესენინის, ევტუშენკოსა და სხვათა პოეზიის მისეული თარგმანები.

დიდი სამამულო ომის თემაზე და ომისშემდგომ აღმშენებლობით შრომაზე ბევრი ლექსი დაწერა ომგადახდილმა პოეტმა იაკობ მელიამ.

50-60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ პოეტები ჯემალ ჯაყელი, შოთა როყვა, ლადო სეიდიშვილი, ჯემალ ქათამაძე, შოთა ზოიძე, ზურაბ გორგალაძე, რევაზ ართილაყვა, ბორის მეტრეველი და სხვები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დრამატურგიის წარმოჩენა. ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ ამირან შერვაშიძე, ვალერიან კანდელაკი, პარმენ ლორია, ფრიდონ ხალვაში, შოთა როყვა, ალექსანდრე ჩხაიძე. მრავალი პიესის ავტორია ა. შერვაშიძე, რომელმაც ზოგიერთი მათგანი ომამდე გამოაქვეყნა („ოქროს სამაჯურები“, „მზე“, „პატარა შეცდომა“, „ქრავჩუკის ცრემლები“). განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა ა. შერვაშიძის მიერ ომისშემდგომ დაწერილ დრამატულ ნაწარმოებებს „სიმღერა შევარდნაზე“, „სიმღერა დედაზე“, „პროვინციელი“, „ვივა, კუბა“, და სხვა.

ქართული დრამატურგია ახალი ნაწარმოებებით გაამდიდრა ვალერიან კანდელაკმა, რომლის პირველი პიესა „ბაბუა თევდორე“ ბათუმის თეატრში ჯერ კიდევ 1944 წელს დაიდგა. აჭარაში მუშაობის პერიოდში ვ. კანდელაკმა არაერთი დრამატული ნაწარმოები დაწერა, რომელთა შორის გამოირჩევა „ამალღებულო სოფელი“, „მაია წყნეთელი“, „რევაზ პირველი“, „გარდატეხის გაზაფხული“ და სხვა.

თანამედროვე ცხოვრების საჭირობო საკითხები გაშუქებულია შ. როყვას დრამატულ ნაწარმოებებში „დედა“, „მინდვრის დედოფალი“, რომლებიც საქართველოს ბევრმა თეატრმა დადგა.

ბათუმელმა კინოდრამატურგმა სულიკო ჟღენტმა შექმნა სცენარი „ჯარისკაცის მამა“, რომლის მიხედვით ამავე დასახელების კინოფილმი დაიდგა და იგი მსოფლიოს ასზე მეტი ქვეყნის კინოთეატრში უჩვენეს.

მწერლობასთან ერთად მოსახლეობის კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თეატრალურმა, მუსიკალურმა და სახვითმა ხელოვნებამ.

ბათუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი მოღვაწეობა მეტად ნაყოფიერი იყო 1946-1965 წლებში. თეატრში წარმატებით განახორციელა როგორც ქართული, ასევე საბჭოთა რესპუბლიკების, აგრეთვე მსოფლიო დრამატურგიის არაერთი ნიმუში. ამ წლების დადგმებიდან გამოირჩეოდა ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი“, ლ. მალიუგინის „ძველი მეგობრები“, ვ. კანდელაკის „რევაზ პირველი“ ბ. ლავრენტიევის „მეზღუდურები“, გ. შატბერაშვილის „რკინის პერანგი“, კ. სიმონოვის „რუსეთის საეთხი“ და სხვა.

აჭარის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის კულტურულ მომსახურებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ხულოს რაიონული თეატრი. 1945-1950 წლებში კოლექტივმა წარმატებით დადგა ვ. დარასელის „კიკვიძე“, კ. კალაძის „როგორ“, პ. კაკაბაძის „მომღერლის ქორწინება“, დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის

გასაჭირო“, ვ. კანდელაკის „ამაღლებული სოფელი“, ი. მოსაშვილის „ჩაძირული მკვდარი“ და სხვა პიესები.

ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით აჭარაში 1953 წელს შეიქმნა თოჯინების თეატრალური ანსამბლი. 50-იანი წლების ბოლოს იყო მისი თეატრად გადაკეთების ცდა, მაგრამ ეს მოგვიანებით მოხერხდა.

საგარეო მხარეებზე მომზადებული მუსიკალურმა ხელოვნებამ. მოსახლეობის მუსიკალურ განათლებასა და აღზრდას ემსახურებოდა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, სახელმწიფო ფილარმონიაში გაერთიანებული ორკესტრები და კოლექტივები, მუსიკალური სასწავლებლები და სკოლები. თვალსაჩინოა მ. კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დამსახურება. ამ ანსამბლს საფუძველი 1921 წელს ჩაეყარა, 1925 წლიდან ცნობილია აკადემიური გუნდის სახელწოდებით, ხოლო 1939 წელს აჭარის სახელმწიფო კაპელა ეწოდა, ხოლო 1944 წელს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლად გარდაიქმნა.

დიდი სამამულო ომის შემდეგ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა საფუძვლიანად გადაამუშავა თავისი რეპერტუარი. იგი უფრო მრავალფეროვანი და სრულყოფილი გახდა. ანსამბლი მაღალ დონეზე ასრულებდა როგორც ხალხურ ცეკვებსა და სიმღერებს, ისე ქართველი, ასევე მოძვე რესპუბლიკების კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

აჭარის ასრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი საინტერესო კონცერტებს მართავდა არა მარტო ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრებსა და სოფლებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

აჭარაში მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სახელმწიფო ფილარმონია.

მაყურებელთა მოწონებით სარგებლობდა მუსიკალურ სასწავლებელთან არსებული სიმფონიური ორკესტრი, რომელიც მაღალ პროფესიულ დონეზე ასრულებდა როგორც ქართულ ისე მსოფლიოს გამოჩენილ კომპოზიტორთა სიმღერებს.

ომისშემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი წარმატება აღინიშნა სახვით ხელოვნებაში. მხატვართა რიგები შეიცვალა ნიჭიერი ახალგაზრდებით, რომლებიც პროფესიულ დაოსტატებას თბილისის სამხატვრო აკადემიაში ეზიარნენ. გამრავალფეროვანდა მათი შემოქმედებითი თემატიკა, ხელოვნების შემეცნებითი და აღმზრდელობითი ფუნქცია საგრძნობლად გაძლიერდა.

აჭარის მხატვრები ნიჭიერ მუშაობას ეწეოდნენ სახვითი ხელოვნების ყველა ძირითად დარგში. მაგრამ უფრო ფერწერა და გრაფიკა დაწინაურდა. ამ დარგში თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდათ შ. ხოლუაშვილს, დ. იმანაშვილს, გ. მეგრელიძეს, ჯ. ტრიფმოვს, ა. ფილიპოვს, ს. ართმელაძეს და სხვებს. მოქანდაკეებიდან გამოირჩეოდნენ ვ. ჭანტურია და მ. ბოლქვაძე.

აჭარის მხატვრებმა თავიანთი ნამუშევრები არაერთ გამოფენაზე წარმოადგინეს. აჭარაში ომისშემდგომ პერიოდში ასეთი გამოფენები მოეწყო 1947, 1949, 1954, 1959, 1965 წლებში, რომლებზედაც წარმოდგენილი იყო სახვითი ხელოვნების ყველა ძირითადი დარგი. აჭარის სახვითი ხელოვნების მიღწევების თვალსაჩინო დემონსტრაცია იყო 1957 წლის იანვარში თბილისში გამართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკლამაციური აჭარის მხატვრებმა 110 ნამუშევარი გაიტანეს და მათ მხახველთა და სპეციალისტების მოწონება დაამსახურეს.


დიდი ლენინის, მისი თანამებრძოლების სახე, აჭარის რევოლუციური მოძრაობის წარსულის საინტერესო მომენტები ასახულია შოთა ხოლუაშვილის მხატვრულ ტალოებზე „ვ. ი. ლენინი“, „ვ. ი. ლენინი და მ. ცხაკაია რსდმპ მესამე ყრილობაზე“, „1921 წე-

ლი აჭარაში“ და სხვა. მაღალი ოსტატობითაა შესრულებული ტერენტი ჰანტურიას და
მამუდ ბოლქვაძის, კ. მარქსის, ფრ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის, გამოჩენილი რევოლუ-
ციონერების ბარელიეფები და პორტრეტები, მომხიბვლელი და მრავლისმთქმელია ნი-
კოლოზ იაკოვენკოს ტილო „პროფკავშირების ხელმძღვანელების დაპატიმრება ბათუმში
1919 წელს“. 1946-1965 წლებში დიდი სამამულო ომის თემას არაერთი ნამუშევარი
მიუძღვნეს დ. იმნაიშვილმა, გ. სეჩენიანმა, ნ. იაკოვენკომ, მ. ბოლქვაძემ და სხვებმა.

ინდუსტრიული პეიზაჟი და საბჭოთა ადამიანების შრომითი საქმიანობა საინტერე-
სოდაა გადმოცემული შოთა ზამთარაძის მხატვრულ ტილოებში „სატვირთო ნავსადგუ-
რი“, „ცისტერნების დატვირთვა“, „ტანკების დატვირთვა“, „ამწე ნავსადგურში“.
აღსანიშნავია ვ. ტრიფომოვის „ჩაის კრეფა“, გ. მეგრელიძის „ჩაქვის ჩაის პლანტაჟი-
ები“, „შესვენება“, „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი“, დ. იმნაიშვილის
„მივცეთ სამშობლოს მეტი ყურძენი“, მ. ბოლქვაძის „შენების პორტრეტი“ და სხვა.
ნაყოფიერად მუშაობდა ბათუმის თეატრის მთავარი მხატვარი ა. ფილიპოვი, რომელმაც
ბევრი სპექტაკლი გააფორმა.

აჭარის სახვითი ხელოვნების განვითარება დაჩქარდა 60-იანი წლების დასაწყისი-
დან, როდესაც მხატვართა რიგებს ნიჭიერი შემოქმედნი შეემატნენ ხ. ინაიშვილის,
ს. ართმელაძის, გ. ტულუშის, გ. მესხის, ი. ჩხაიძის, ი. მარტინოვის, და სხვათა სახით.

ამრიგად, 1945-1965 წლებში აჭარაში ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარე-
ბა არსებითი ხასიათის რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებებით აღინიშნა, ამაღლ-
და მათი ისტორიულ-შემეცნებითი, კულტურულ-საგანმანათლებლო და იდეურ-
აღმზრდევლობითი მნიშვნელობა. ლიტერატურა და ხელოვნება დიდმნიშვნელოვან როლს
ასრულებდა ახალი ადამიანის აღზრდაში.



ახალი ტრადიციების დამკვიდრება- ბანკოტარების ზოგიერთი საკითხი

ცული ჩვეულებანი, ისევე სრულიად უნდა განვდევნოთ, როგორც
ცული ადამიანები, რომლებიც დიდხანს დიდ ზიანს გვაყენებდნენ.

მ პ ი კ შ რ ა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას — „მავენე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ — მიზანია, ჩვენი ყოფა-ცხოვრებიდან ამოძიკვოს ის მავენე გადმონაშთები და ტრადიციები, რომელთა მიღმაც ხშირად იმალება „კეთხური შეზღუდულობა და კარჩაყეტილობა, აღმავლობელი პროვინციალიზმი და მომძლავრებული მეშინაობა“ (14).* ცხადია, თუ მის ნაცვლად ჩვენს ყოველდღიურობაში არ დამკვიდრდება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პრინციპში გარდატეხილი ახალი, საბჭოური ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი, ეს იქნება, როგორც ლენინი იტყოდა, „მხოლოდ ადგილის გასუფთავება შენობის ასაგებად და არა თვით შენობის აგება“ (3.502).

1975 წლიდან მოყოლებული დღემდე, ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად ცოდნის საფუძველზე ჩამოყალიბებული ახალი, საბჭოური ტრადიციები ამართლებენ თავიანთ მიზანს, ისინი არა მხოლოდ სცვლიან და ეწინააღმდეგებიან ძველს, არამედ თანამედროვე და მომავალი საზოგადოების ღირსეული წევრების აღზრდის სკოლასაც წარმოადგენენ. ტრადიციის ერთ-ერთი ნიშანი ხომ სწორედ თაობათა აღზრდაა (1.61). მაგრამ სამწუხაროდ, ეს ყველა ახალ ტრადიციას, არ ითქმის. ზოგიერთი მათგანი ნუცბათევედ მოფიქრებულის შთაბეჭდილებას სტოვებს, მათი ანალიზი ნათელყოფს ტრადიციების საკითხში მარქსისტული პოზიციის, ტრადიციების განვითარების დიალექტიკის ცოდნის ზედპირულობას, ტრადიციების ნიშნების მხოლოდ ნაწილობრივ გათვალისწინებას და სხვა, რაც თავის მხრივ ამცირებს მოცემული ტრადიციების სიცოცხლისუნარიანობას. (10.210).

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე დაყრდნობით განვიხილოთ ტრადიციების დამკვიდრება-განვითარების დიალექტიკის ზოგიერთი საკითხი და ჩამოვყალიბოთ რამდენიმე მეთოდური ხასიათის რეკომენდაცია.

საბჭოთა სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც ახალი, სოციალისტური ტრადიციების დამკვიდრება-განვითარებას ეხება, ორი ერთმანეთის საპირისპირო შეხედულება არსებობს. ერთნი, უარყოფენ ტრადიციების შექმნაში ყოველგვარ „ადმინისტრირებას“, „ზემოდან მოქმედებას“, კომისიების, ინსტრუქციებისა და სახელმწიფო ცენტ-

* აქაც და ქვემოთაც ფრჩხილებში ჩასმული პირველი რიცხვი მიუთითებს გამოყენებული ლიტერატურის რიცხვს, მეორე და მომდევნო — გვერდს.



რალური ორგანოების ჩარევას ამ საქმეში. მათი არგუმენტაციით „ახალი ჩვევები“ დღესასწაულები არ მოიფიქრება ხელოვნურად, ზემოდან, არამედ ვითარდება და ემყარება მასების შემოქმედებით პროცესში, თვითონ ცხოვრებით“ (12.58), ზოგი ავტორის აზრით, ორგანიზებული დღესასწაულები არაა სახალხო დღესასწაულები, ისინი მხოლოდ ინსცენირებას წარმოადგენენ და ზოგი კი მათ „ქაღალდის ყვავილებს“ უწოდებს (11.275-277), რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ სანამ კვირტი გაიშლებოდეს და ნამდვილ ყვავილს მივიღებდეთ, მოუთმენელი ბავშვებივით ქაღალდის ყვავილებს ვაკეთებთ, რომელნიც შეიძლება ლამაზნიც და საინტერესონიც გამოდგნენ, მაგრამ ისინი არაბუნებრივნი არიან, ასევე „ხელოვნური“ ტრადიციებიც შეიძლება მიმზიდველი იყოს, მაგრამ იგი არ იქნება ხალხური, ტრადიციული.

მეორენი, პირიქით, მიზანშეწონილად მიიჩნევენ სახელმწიფო კომისიების არსებობას, ამართლებენ მეთოდურ ადმინისტრირებას, მოჰყავთ მაგალითი პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიისა, სადაც არსებობს სახელმწიფო კომისიები ახალი, სახალხო წეს-ჩვეულებებისა და ცერემონიების დასამუშავებლად. (4.127). იმოწმებენ ისტორიაში ცნობილ ისეთ ტრადიციებს, რომლებსაც პიროვნება, ჯგუფი თუ კლასი წამოაყენებდა, ხოლო შემდეგ კი ისინი საყოველთაოი ხდებოდნენ, როგორც ცნობილია, მართლმადიდებელთა ეკლესიის ბევრი წესი და ჩვევა შექმნილია ბიზანტიელი ღვთისმსახურის იოანე დამასკოელის მიერ (5-26).

რატომ უნდა, „შიშველი ადმინისტრირება“, ანუ ისეთი „ადმინისტრირება“, რომელიც მხოლოდ ოქმისთვის, ან მხოლოდ ტრადიციათა სიუხვისათვის ქმნის „ახალ“ ტრადიციებს, ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს საერთო საქმეს. თუ ტრადიციას, მხოლოდ ფორმალურ-ბიუროკრატიული ხასიათი აქვს, თუკი მასში უარყოფილია ხალხური გამოცდილება, შესაძლებელია, ისეთ სატირულ-კომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, როგორსაც ილფი და პეტროვი გადმოგვცემენ სტატიაში „ღელა“, (4.383-384). მაგრამ ეს როდი ნიშნავს ყოველგვარი „ადმინისტრირების“, „ზემოდან ჩარევის“ უარყოფას: ისეთი ჩარევა, რომლის მიზანიც იქნება ცხოვრებაში არსებული, ფასეული, უჩინარი, მზარდი, თანამედროვე და მომავალი საზოგადოებისათვის ღირსეული მოქალაქის აღზრდისათვის საჭირო ელემენტების დაფიქსირება, პოპულარიზაცია თუ გათვალსაზიროება, საჭირო და აუცილებელია. ისტორიული მატერიალიზმი ასაბუთებს, რომ „მოწინავე სოციალისტური იდეები, რომლებიც გარედან უნდა შევიტანოთ მუშათა მოძრაობაში, უდიდეს გარდამქმნელ ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, მის დაქარბებით შეცვლა-განვითარებაზე“ (7.61-62).

ყოველმა ახალმა ტრადიციამ, თუ სურს გაამართლოს თავისი ტრადიციულობა, მთლიანად, როგორც ფილოსოფოსები იტყვიან, მექანაკურად კი არ უნდა უარყოს ძველი, არამედ ძველიდან უნდა შეინარჩუნოს დადებითი ელემენტები, ისეთი ელემენტები, „რომლებიც გამოხატავენ ახალ იდეურ შინაარსს, (ან ყოველ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგებიან მას“ (9.153), ისინი თავის მხრივ ახლის აღმოცენების ბაზად უნდა იქცნენ. მღვდელნიან მას“ (9.153), ისინი თავის მხრივ ახლის აღმოცენების ბაზად უნდა იქცნენ. აქ საქმე გვაქვს დიალექტიკური მოხსნა-შენახვის პროცესთან. აქვე აუცილებელია განვასხვაოთ ძველიდან მოხსნა-შენახვის წესით შენარჩუნებული ძველიდან გადმონაშთის სახით გადმოსულისაგან. მათ შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ მოხსნა-შენახვის წესით შენარჩუნებული შესაძლებელს ხდის განვითარებას, გადმონაშთი კი, პირიქით, ებრძვის ახალს, ხელს უშლის მის განვითარება-განმტკიცებას (8.283). რადგანაც მსოფთაობის ახალს, ხელს უშლის მის განვითარება-განმტკიცებას (8.283). რადგანაც მსოფ- დიო კაპიტალისტური სისტემა ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუშალოს სოციალისტური ცხოვრების წესის განმტკიცებას, ამიტომ არ უნდა იყოს მართებული დებულება, რომ „ის, რაც არის ძველში კეთილშობილური და გამძლე, ატავისტურად გადაეცემა ახალ,

ოცხალ ორგანოს“ (13). საჭიროა სწორედ ამ „კეთილშობილურისათვის“, „გამქდესათვის“ ბრძოლა, ჩარევა, ადმინისტრირება და განვითარება.

ახალი ტრადიციების ჩამოყალიბებისას არ უნდა დავივიწყოთ მისი ე. წ. „უკუდარტემის“ ძალაც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თუ შედეგები, რომლებიც ტრადიციას უნდა მოჰყვეს, სხვა ტრადიციებთან კავშირში არ იქნება გათვალისწინებული, თუ მასზე არასწორი აქცენტი იქნება გაკეთებული, შესაძლებელია, რომ შედეგი არასასურველი, უფრო მეტიც, საწინააღმდეგო იყოს. მაგალითისათვის ავიღოთ რომელიმე ახალი ტრადიცია (რიტუალი, ცერემონიალი), რომელმაც უნდა შეცვალოს რელიგიური წეს-ჩვეულებანი. მორწმუნეს, რომელსაც წინასწარ ეცოდინება, რომ ამ რიტულზე დასწრებით მისი რწმენა შეილახება, როგორც იტყვიან, „ქუდიც რომ შეუდგოთ“, ცერემონიაზე ვერ შეიყვანთ, ამიტომ რიტუალის პროგრამამ ისეთი მოქნილი ფორმა უნდა მიიღოს, თითქოს მისი მიზანი სულაც არაა ათეისტური პროპაგანდა, ასეთი პრაქტიკა გაზრდის, როგორც მორწმუნე მონაწილეთა რიტუალებზე დასწრების ზრდის ალბათობას, ასევე თვითდარწმუნების ალბათობასაც. თვითდარწმუნების გზით მორწმუნე თვითონ მივა დასკვნამდე, რომ სულაც არაა საჭირო, ვთქვათ, მიცვალებულთა მოსახსენებლად ღმერთის მოშველიება, ამას მოცემული ცერემონიალიც კარგად აკეთებსო. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ რიტუალის არსებითად ათეისტური ხანიათი.

ღმრთისათვის ჩვენ ვცხოვრობთ ტრადიციების ე. წ. „ორხელისუფლებიანობის“ პერიოდში. ერთმანეთის გვერდით არსებობენ ძველი და ახალი ტრადიციები. არც ძველი სთმობს თავის პოზიციებს და ჯერც ახალი ჯერ-ჯერობით იმ სიმაღლეზე, რომ მდგომარეობის ბატონ-პატრონი გახდეს. როგორც ცნობილია, ახალი ტრადიციები უფრო მომავლის ტრადიციებია და ბუნებრივია, მით უფრო ძველია ძველი ტრადიციების დამცველებთან ბრძოლა, ამ ბრძოლაში წარმატების მოსაპოვებლად აუცილებელია ვაჩვენოთ ძველის კლასობრივ-გნოსეოლოგიური ფესვები და ახლის უპირატესობა. როგორც ლენინი მიუთითებს, „ძველის დამცველები ყოველთვის გააბრყიებენ რევოლუციას და გაუმჯობესებათა მომხრეებს, ვიდრე ისინი (ახლის დამცველები — მ. გ.) ვერ მიხვდებიან, რომ ყოველი ძველი დაწესებულება რაღაც ველური და დამპალიც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი, ამა თუ იმ გაბატონებულ კლასთა ძალებს ემყარება“ (2.9).

ახალი, საბჭოური ტრადიციების სწორ, მიზანმიმართულ ჩამოყალიბებაზე ბევრადაა დამოკიდებული თანამედროვე და მომავალი საზოგადოების აქტიური წევრის ფორმირება, რადგანაც, კომუნისტურ—უკლასო და უსახელმწიფო — საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობების მარეგულირებელი და საზოგადოების კანონებისა და ნორმების გამომხატველი სწორედ ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი იქნება (6.296-297), ამიტომ საჭიროა თანდათანობით შევიტანოთ მასში კომუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ყოველივე ეს ერთი-ორად ზრდის სოციალისტური ტრადიციების მნიშვნელობას და აყენებს მათი ჩამოყალიბების, განვითარებისა და მომსახურებისათვის მაღალკვალიფიცირებული კადრების მომზადების პრობლემას.

მიუთითებული ლიტერატურა

1. ვ. ი. ლენინი, რუსეთის რევოლუციის/შეფასებისათვის, თხზ., გამ. IV, ტ. 15.
2. ვ. ი. ლენინი, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, თხზ. გამ. IV, ტ. 19.
3. ვ. ი. ლენინი, დიადი თაოსნობა, თხზ., გამ. IV, ტ. 29.
4. И. Ильф, Е. Петров, собр. соч., т. 3, М., 1961.
5. Г. Геродкин. Дорогами новых традиций. М., 1964.

6. И. Сарсенбаев. Обычаи и традиции в развитии. Алма-Ата, 1965.
7. ბ. ლუტიძე, ვ. ი. ლენინი ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიების შესახებ, თბ., 1969.
8. ისტორიული მატერიალიზმი, თბ., 1970.
9. Д. Угринович. Обряды за и против. М., 1975.
10. В. Маликин. К диалектике традиций в общественном сознании. — В кн. Диалектика материальной и духовной жизни общества. М., 1966.
11. А. Петухов. Бумажные цветы. — В журн. «Новый мир», 1969, № 6
12. Журн. «Наука и религия». 1961, № 5.
13. გაზ. „ქართული სიტყვა“, 1924, 24 თებერვალი.
14. გაზ. „კომუნისტი“, 1975, 24 ნოემბერი.

გამუშაა ქემხაძე

მხოლოდ ჩვენს სინამდვილეში

კოლხეთი, ისტორია და დღევანდლობა

დასავლეთ საქართველოში, დიდი და მცირე კავკასიონის ცაღ აზიდულ ქედებს შორის, სამკუთხედისმაგვარ ვაკე-დაბლობს უძველესი დროიდან კოლხეთი ეწოდება.

ცნობეზს კოლხეთის შესახებ ვხვდებით ანტიკური პერიოდის ბერძნულ მითებში—საყოველთაოდ ცნობილია არგონავტების ლაშქრობა ოქროს საწმისისათვის.

კოლხეთი ეკონომიურად ძლიერი სახელმწიფო ყოფილა. კოლხეთის მეფეს, გარდა სახმელეთო ჯარებისა, საზღვაო ფლოტიც საკმაოდ დიდი და ძლიერი ჰქონია.

კოლხეთის სიძლიერასა და ძლიერების მიზეზს ბერძნები ოქროს საწმისში ხე-დავდნენ და დარწმუნებული ყოფილან, თუ საწმისს ხელში ჩაიგდებდნენ, თვითონაც მდიდარი და ძლიერი გახდებოდნენ. როგორც ფიქრობენ, საწმისი ვერძის ტყავზე დაწერილი ოქროს მოპოვების წესები უნდა ყოფილიყო.

არგონავტების მოგზაურობით არ ამოიწურება ცნობები ძველ კოლხეთზე, რომელიც წარსულში თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო უნდა ყოფილიყო. მოსახლეობა ჭაობიანი დაბლობის მოსაზღვრე გორაკ-ბორცვებსა და მთებს ეტანებოდა, სადაც ჰავა ჯანსაღი და საცხოვრებლად უფრო მოსახერხებელი პირობები იყო.

უძველესი დროიდან კოლხეთში მიწათმოქმედებას მისდევდნენ. საბრძოლო და საწერეთლო-საოჯახო ნივთების დამზადებისათვის იყენებდნენ რკინას, სპილენძსა და ბრინჯაოს.

სტრაბონის თქმით, სიმდიდრით სახელგანთქმული კოლხეთი, მრავალ უცხოელს იზიდავდა. იმ დროს კოლხეთზე გადიოდა ორი სავაჭრო გზა. მდინარე რიონზე გადებული ყოფილა 120 ხიდი, რაც, უდაოდ, კოლხეთის სიძლიერეზე მეტყველებს.

მომდევნო საუკუნეებში თანდათანობით ბათილდება წარმოდგენა კოლხეთის და-სავლეთი ნაწილის სიმდიდრეზე. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პეროდოტე-სიშნავდა, რომ „კოლხეთი — ეს არის გაუვალი ქაობებისა და მალარიის სამეფო, სა-დაც ადამიანის ცხოვრება შეუძლებელია“. პეროდოტეს სიტყვები სწორი იყო კოლ-ხეთის დაბლობის ქაობიანი ნაწილის მიმართ, მაგრამ შავი ზღვის სანაპირო ღიუნებზე ასპარიდან (გონიოდან) დიოსკურიდამდე (სოხუმი) გაშენებული იყო რამდენიმე სანავსადგურო ქალაქი, რომელთა შორის სიდიდით, მნიშვნელობითა და აკადემიით (III-IV საუკუნე) გამოირჩეოდა ქალაქი ფაზისი (ფოთი).

ისტორიის მსვლელობამ იმ პერიოდში წინა პლანზე წამოსწია კოლხეთის სამხედ-რო-სტრატეგიული მნიშვნელობა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მომდევნო საუკუნეების მანძილზე ერთ დამპყრობელს ცვლიდა მეორე და მეორეს კიდევ სხვა.

უნებლიედ ისმება კითხვა: როგორ მოხდა, რომ კოლხეთის დაბლობი თავისი ბუნებრივი პირობებით სრულიად გამორჩეულია საქართველოს სხვა, და თუ გნებავთ, ნეზობელი ტერიტორიებისაგან? რა არის მისი დაქაობების მიზეზი?

არც თუ ისე შორეულ გეოლოგიურ წარსულში კოლხეთის ვაკე-დაბლობის ადგი-ლას შავი ზღვის თავთხელი ყურე მდებარეობდა, რომელსაც კავკასიონისა და ჭარა-იმერეთის ქედებიდან ჩამომდინარე დიდი და პატარა მდინარეები ერთვოდა. ყველა ისი-ნი მთის მდინარეები იყო და უამრავი ნაშალი მასალა ჩამოჰქონდათ სილისა და ქვა-ლორღის სახით, რასაც ყურის სანაპირო ნაწილში ლექავდა. ნაშალ მასალას ტალღები და ღინელები ნაპირის გასწვრივ გადაადგილებდა და აგროვებდა. ასე წარმოიქმნა მე-ჩიჩები, თავთხელები და სხვა აკუმულაციური ფორმები, რომლებმაც დასაბამი მისცეს ზმელეთის წარმოქმნას ჯერ ყურის აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო შემდეგ სხვაგანაც, უფრო მეტად კი მდინარეთა შესართავთან.

აკუმულაციურ პროცესებს დეამბა ყურის მეზობელი მთიანი ტერიტორიების აზვევებით მოძრაობები, რომლებმაც ყურის ფსკერის ტერიტორიაც ჩაითრიეს და ზღვა იძულებული შეიქნა უკან დაეხია.

მაგრამ დედამიწის ქერქისთვის დამახასიათებელია, როგორც აზვევებით, ისე და-ძირვითი პროცესები — ისინი ხშირად ერთმანეთს მონაცვლეობენ და ახლად წარმოშო-ბილმა ზმელეთმა ტექტონიკური მოძრაობებისა და მასზე დაღეჭილი ნაშალი მასალის სიმძიმის გავლენით იწყო თანდათანობითი დაძირვა. ამ პროცესს ზღვის დონეს საერთო ზატებაც დაერთო და დაიწყო დაქაობების პროცესი. ამაზე მეტყველებს არა მარტო გეოლოგიური, არამედ ისტორიული ფაქტებიც, კერძოდ, დაბლობზე ქაბურღილებით ამოღებულ ქანებში კარგად გამოირჩევა ტორფის ფენები. როგორც ცნობილია, ტორ-ფი ზედაპირზე წარმოიშვება და თუ ის ზღვის დონეზე დაბლა, დანამარხის საბითაა — ექვს გარეშეა, რომ დაძირვით პროცესებთან გვექონია საქმე.

ამავეს მიუთითებს ის ფაქტიც, რომ დაბლობზე მდინარეები შესართავთან მნიშე-ნელოვნად კარგავენ ღინების სიჩქარეს, უგანივრდებათ კალაპოტები და მათ მიერ როტანილი ნაშალი მასალა ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს.

ზმელეთის დაძირვის მაჩვენებელია უძველესი ნასახლარების ხელოვნური ბორც-ვების ზღვის დონეზე 3-5 მეტრით დაბლა მდებარეობა, ქ. სოხუმთან, ზღვის ფსკერზე აღმოჩენილი უძველესი ქალაქის კედლებისა და სხვა ნაგებობათა ნანგრევების აღმო-ჩენა, მდ. მალთაყვაში ეკლესიის ნანგრევების პოვნა და სხვა.

დაძირვითი პროცესები კოლხეთში ახლაც მიმდინარეობს, რომლის სიჩქარეც, სა-შუალოდ, 1,5-2 მილიმეტრის ტოლია წელიწადში. ბუნებრივია დაისვას კითხვა, თუ და-ძირვითი პროცესები გაგრძელდა 100, 200 და მრავალი ასეული წლების მანძილზე, ხომ

არის შესაძლებელი, რომ ზღვამ კვლავ შემოუტეოს და თუ მთლიანად არა, ნიწლობი.
რეე მაინც დაფაროს დაბლობი?

ცხადია, რომ თუ მხოლოდ დაძირვით პროცესთან გვექნა საქმე, შედეგიც ასეთი უნდა იყოს, მაგრამ მდინარეებს დაბლობზე მოაქვთ და ლექავენ დიდი რაოდენობის ნაშალ მასალას. მხოლოდ მდ. რიონს, ყოველწლიურად, 15 მლნ. ტონა ნაშალი მასალა მოაქვს. მას ცოტათი ჩამორჩება მდ. ჭოროხი. ასევე უხვი ნაშალი მოაქვთ სხვა მდინარეებსაც — ენგურს, კოდორს, ზუაფს, სუფსას, კინტრიშს და სხვ.

ამრიგად, თუ კოლხეთის დაბლობს ზღვის შემოტევა არ ემუქრება, ეს იმიტომ, რომ უხვია ნაშალი მასალის რაოდენობა, რომელიც მის ზედაპირზე ილექება. მაგრამ ნაშალი მასალის უმეტესი ნაწილის დალექვა თვით მდინარეთა კალაპოტებში და მასთან ახლო მდებარე ტერიტორიაზე უფრო მეტია, ვიდრე სხვაგან. ასეთმა მდგომარეობამ მდინარეთა კალაპოტის სიმაღლის მატება გამოიწვია, რის შედეგადაც თითქოსდა მდინარეები მრწყაროვანზე მიედინებოდნენ, რადგან კალაპოტებს შორის არსებული სივრცე, ე. ი. ის ადგილები, სადაც წყალგამყოფები უნდა იყოს, ჩაზნექილი ფორმისა და მდინარეთა დონეზე დაბლა მდებარეობს. აქედან კი ცხადია, რომ წყალდიდობის დროს ჭარბი წყალი ტბორავდა მდინარეთა შორის მდებარე უზარმაზარ სივრცეებს, რაც საბოლოოდ, რის დაჰაობებსაც იწვევდა (ასეა მდ. მდ. რიონისა და ხეობის, რიონისა და ფიჩორას და სხვა მდინარეთა კალაპოტებს შორის).

დაბლობის დაჰაობებს პროცესში არანაკლებ როლს თამაშობს ატმოსფერული ნალექები. დაბლობზე წლის მანძილზე 1500-1700 მმ ნალექი მოდის, ხოლო მდინარეთა სათავეებში კიდეც უფრო მეტი.

ზემოაღნიშნული ბუნებრივი პირობების შედეგად კოლხეთის დაბლობზე 220 ათასი ჰექტარი ფართობი გაუჩნდა ჭაობებს ეჭირა, რაც დღევანდელი საქართველოს ფართობის დაახლოებით 3,2 პროცენტს შეადგენდა.

კოლხეთის ბუნებრივი სიმიდრე უძველესი დროიდან შემინია ადამიანმა, მაგრამ დასახლებისათვის ყველაზე ხელსაყრელი იყო მდინარეთა სანაპიროები. გამოუყენებელი არ რჩებოდა რამდენადმე მაინც ხელმისაწვდომი ფართობები, სადაც თესდნენ მარცვლეულ კულტურებს, ტყეში ამზადებდნენ შეშას, თიბედნენ ბალახს, ნადირობდნენ. პალიასტომის ტბაში და მდინარეებში იჭერდნენ თევზს.

ჭარბტენიანი ნიადაგები მიწათმოქმედებისათვის გამოუყენებელი იყო და სწორედ ასეთი მიწების ათვისების მიზნით, პირველად დაიწყეს კვლების გაყვანა. ამ წესით ნიადაგის მომზადებამ თესვისათვის კარგი შედეგი გამოაღო.

წყალდიდობებისაგან თავდასაცავად აგებდნენ ჯებირებს, მაგრამ სტიქიასთან ბრძოლა ერთიანი ძალით არ ხდებოდა, იგი სუსტი და ლოკალური იყო...

თბილმა კლიმატმა, ჭაობებმა და უხვმა მცენარეულმა საფარმა ხელი შეუწყო მალარიის გავრცელებას. ამ უკანასკნელმა კი ჯანი და ღონე გამოაცალა ადამიანს. ხანმოკლე იყო მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა. განსაკუთრებით დიდი იყო ბავშვების სიკვდილიანობა.

გასული საუკუნის პირველ ნახევარში, მეფის მთავრობამ ბრინჯის პლანტაციის გასაშენებლად შორეული აღმოსავლეთიდან კორეელები ჩამოასახლა, მაგრამ სულ მალე ისინი მალარიით დაავადდნენ. ბევრი ავადმყოფობამ შეიწირა, ბევრმაც დატოვა კოლხეთი და გადაიხვეწა.

კოლხეთის ჭაობიან დაბლობზე ტყე უმეტესად მდინარეთა სანაპიროებზეა. ტყეში ბუჩქნარი და ხე-მცენარეები ისეა ერთმანეთთან ჩახვეულ-ჩახლართული მხეიარა მცენარეებით, რომ ხშირად ძნელად გასავლელია და გზის გაყაფვაა საჭირო.

მდინარესთან დაშორებით ტყე მეჩხერი ხდება, ხოლო ნიადაგი სულ უფრო ჭარბ-

ტენიანი, თანდათან გუბურები, ხოლო შემდეგ საკმაოდ ვრცელ ფართობზე დამდგარე წყლის ლაპლაზი მოგჭრის თვალს. ასეთ ადგილებში უმეტესად ისლი და ლაქაშა იშვიათად შეგხვდებით ხე-მცენარე და ისიც მურყანი (თხმელა). ასეთია, დაახლოებით, კოლხეთის ქაობების განაპირა ნაწილები, რომლებიც შემდეგ გაუვალ ქაობებში გადაიზრდება.

მდინარის კალაპოტთან მიახლოებასთან ერთად მცენარეთა რაოდენობა თანდათანობით მატულობს, ვიდრე, ბოლოს, ნამდვილ კოლხურ ტყედ არ წარმოგვიდგება. კოლხური ტყისათვის დამახასიათებელია ისეთი მცენარეები, როგორიცაა რცხილა, ლაფანი, თელა, იფანი, ნეკერჩხალი, წიფელი და სხვა. თითქმის ყველგან გვხვდება მურყანი. გარეგნულად ტყე უსისცოცხლოდ მოგეჩვენებათ, მაგრამ ზოგჯერ, ხშირ ტყეში რომელიმე ცხოველი გაიშლივინებს და კვლავ იღუშალება დაისადგურებს.

მდინარეებსა და გუბურებში ბევრია ქვეწარმავლები, ხოლო ტყეში — მწერები, კოლხეთის ქაობიანი სივრცე ზამთრობით რამდენადმე ცოცხლდება, როდესაც აქ გამოსაზამთრებლად ცივი ქვეყნებიდან ფრინველები მოფრანდებიან.

როგორც აღვნიშნეთ, კოლხეთის მთავარი მდინარე რიონია. სხვა მდინარე, გარდა ერთისა, სათავეს დაბლობის საზღვრებს გარეთ, მთებში იღებს. ერთი ასეთი მდინარე ფიჩორაა, სათავიდან შესართავამდე დაბლობზე მიედინება. ფიჩორა კოლხეთის სხვა მდინარეებისაგან განირჩევა რეჟიმის ხასიათით, მუდამ ინარჩუნებს თავის დონეს.

ადამიანი უძველესი დროიდან ებრძოდა ბუნებას ჭირვეულობას, ებრძოდა და თანაც ეგუებოდა მას. უთუოდ ამიტომ არის, რომ კოლხეთის ტენიან და ჭარბტენიან ნიადაგზე თავისუფლად დადიოდნენ კამეჩებშებმული ურმები. დიახ, ურმები, მაგრამ ისეთი კი არა, როგორიც ჩვენ გვინახავს, არამედ განიერჭორობლებიანი (40-50 სმ სიგანის), რომელთა მეშვეობით ისინი ქაობში არ ეფლოზოდნენ.

კოლხეთის დაბლობზე თოვლი იშვიათია და თუ მოვიდა, რამდენიმე დღეს გაძლებს, მაგრამ არც თუ იშვიათად შეგხვდებით მარხილს. დიახ, ნამდვილ მარხილს, მაგრამ თოვლის ნაცვლად ისინი ქაობების ხავსსა და ბალახებზე მისრიალებენ — სწორედ რომ მოხერხებული და საიმედო ტრანსპორტია.

ზემოთქმული — უფრო გუშინდელი დღეა. ახლა ტრაქტორებიც ბევრია. მექანიზაციამ მკვეთრად მოიკიდა ფეხი კოლხეთში.

წლების მანძილზე ამაოდ ეჭიდებოდა ადამიანი კოლხეთის ქაობებს, წყალიდობას, უგზოობას, ეამთა მსვლელობა ოდნავდაც ვერ უცვლიდა სახეს კოლხეთს — ვერა და ვერ აყენებდა მას ადამიანის სამსახურში. ისევ მაუვალი რჩებოდა თავისი გაუვალ ქაობებით, ეკალ-ბარდებით, მალარით.

მხოლოდ სოციალისტურმა სინამდვილემ მისცა დასაბამი კოლხეთის ქაობების ამოშრობას.

30-იან წლებში დაიწყო მშრომელი კაცის მრავალსაუკუნოვანი ოცნების აღსრულება — დაარსდა „კოლხეთმშენი“ და ქაობებს ფართო ფრონტით შეუტეეს. წინასწარ ჩატარდა მსხვილმასშტაბიანი და, ცხადაა, დეტალური, ტოპოგრაფიული სამუშაოები, რაც დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, სხვა მრავალი მოსამზადებელი სამუშაოც ჩატარდა, გაყვანილ იქნა დიდი და პატარა წყალსაწრეტი არხები.

მთელი ჩვენი ქვეყანა მონაწილეობდა კოლხეთის ქაობების ამოშრობაში: იგზავნებოდა ტრაქტორები, ექსკავატორები, ბულოდოზერები, მანქანები და, საერთოდ, ყველა სახის ტექნიკა.

ახალი ფართობების ათვისებაში იყენებდნენ არა მარტო მანქანებს, არამედ თვით დაქაობების გამომწვევ მდინარეებსაც. ამ წესით ქაობის დაშრობას კოლმატიცა ეწოდება და მისი არსი შემდეგში მდგომარეობს:

წინასწარ შერჩეულ ფართობზე მიუშვებდნენ სილა-შლამით მდიდარ რიონის წყალს, რომელსაც აცლიდნენ დაწდომას და შემდეგ სპეციალური არხებით უშვებდნენ პალიასტომის ტბაში. ასე მეორედებოდა მრავალჯერ და ასათვისებელ ტერიტორიაზე ყოველთვის რჩებოდა სილა და შლამის ახალ-ახალი ფენა. ამ ხერხით კოლხეთის ქაობებს მრავალი ჰექტარი ფართობი გამოსტაცეს და ახლა ზედ სასარგებლო კულტურებია გაშენებული.

მეცნიერულად დამუშავდა და ფართოდ არის გამოყენებული კვლების სისტემა, მდინარეთა გასწვრივ აიგო დამბები და სხვა ჰიდროსანიტარო ნაგებობები.

დღეისათვის კოლხეთში უკვე დაშრობილია 91 ათასამდე ჰექტარი მიწა, რომელთაგან 65 ათასი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მისი პერსპექტივა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი დაახლოებით 140 ათას ჰექტარს მიაღწევს. ათვისებულ მიწებს ძირითადად სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაისთვის გამოიყენებენ; გაშენდება ბალ-ბოსტნები, ღაითესება მარცვლეული, გამოიყვანა საძოვრები და სხვა.

მეტად რთულ ბუნებრივ პირობებში დიდი შრომატევადი სამუშაოების ჩატარებისათვის, შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის გაზაფხულზე „კოლხეთმშენი“ ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოვდა. ეს იყო ჯილდო მამაცობისა და გმირობისათვის, ჯილდო ადამიანებისა, რომლებმაც გამოავლინეს და შექმნეს ისეთი საუნჯე, რომელიც თავისი ღირებულებით მნიშვნელოვნად აღემატება ძველად ამ შესანიშნავი მხარიდან გატაცებულ ლეგენდარულ „ოქროს საწმისს“, რომ ახლო მომავალში „კოლხეთის“ ცნება ასოციაციით უნდა უკავშირდებოდეს არა სიძნელებებსა და გაჭირვებას, არამედ კახეთის ბარაქიან ზვრებსა და ქართლისა და სამხრეთ ოსეთის დაზღუნძლული ზეხილის ბაღებს, თუშეთის ნოყიერ საძოვრებსა და აფხაზეთისა და აჭარის ნარინჯოვან ბაღებს, რომ კოლხეთი მთელი ჩვენი დიდი ქვეყნის ახალი მშვენიერი მარგალიტი გახდეს.



«ცისფერი მთების» სიმაღლა

ელდარ შენგელიას ახალ ფილმზე — „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ ბევრიც ითქვა და ბევრიც დაიწერა, და ალბათ, ძნელია ახალი კუთხის გამოძებნა მის შესაფასებლად. აქვე იმასაც გავიხსენებთ, რომ კიევის საკავშირო ფორუმზე ფილმს ფესტივალის მთავარი პრიზი ერგო, მაგრამ მისი საყოველთაო აღიარების დასტური იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია, რომელიც „ცისფერმა მთებმა“ ამ რამდენიმე ხნის წინათ დაიმსახურა.

სანამ „ცისფერი მთების“ შესახებ ვიტყვოდეთ, მანამ ე. შენგელიას „კინოწარსული“ გვინდა გავიხსენოთ, რამდენადაც „ცისფერი მთები“ რეჟისორის აღზინდელი შემოქმედების ლოგიკურ გაგრძელება-განვითარებად და კანონზომიერ შედეგად გვესახება. „არაჩვეულებრივი გამოფენა“ და „შერეკილები“ ის სურათებია, რომელთა წვლილაც თანამედროვე ქართული კინოს თვითმყოფადი და გამორჩეული სახის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესია. აღნიშნულმა კინოფაღვებმა დამსახურებული სახელი მოუტანა ე. შენგელიას და თავისი ადგილი დაუშვეკიდრა ქართულ კინემატოგრაფიაში. „არაჩვეულებრივი გამოფენაში“, განსაკუთრებით კი „შერეკილებში“ ე. შენგელაამ მთელი სიღრმით, საფუძვლიანად და რაც მთავარია, საოცარი ტაქტით გვიჩვენა ქართველი კაცის ბუნება ისტორიულად არცთუ ისე შორეული ამბების ფონზე. „შერეკილებში“, რ. გაბრიაძესთან თანამშრომლობით, შთამბეჭდავადაა ნაჩვენები ქართული ხასიათი. როცა ფილმის მთავარი გმირები — ქრისტეფორე მგალობლიშვილი და ერთაოზ ბრეგვაძე მათ მიერ აგებული „ცათმფრენით“ მიწას მოწყდებიან, მაყურებელი გრძნობს, რომ დასახული მიზნის მისაღწევად უბირველესად საკუთარ თავს უნდა დაემყაროს და საკუთარი ფუძიდან უნდა ამოხვიდეს თუ ამოიზარდოს. რეჟისორისა და სცენარის ავტორის მიზანიც ხომ ასეთი იყო და ფილმის გმირების მთავარი მიზანის განხორციელება, გარკვეული ზრით, მათი მიზნების ხორცშესხმად გვევლინება. ასე რომ „შერეკილებმა“ სამართლიანად დაიმკვიდრა გამორჩეული ადგილი ქართული კინოს ისტორიაში.

ამ ფილმების შემდეგ ერთგვარ მოულოდნელობას წარმოადგენდა „სამანიშვილის დედინაცვლის“ ე. შენგელაისეული ვარიანტი თუ ინტერპრეტაცია. ჩვენი აზრით, ამ ფილმში მთელი სიღრმით ვერ იქნა ნაჩვენები სამანიშვილების ტრაგედია და ვერც ერთ-დაგვარ თეატრალურობას ასცდა იგი (მხედველობაში გვაქვს სადედინაცვლოს გატაცების სცენა). ფილმის შესახებ ბევრი დადებითი და საქებარი მოსაზრებები ითქვა, მაგრამ, არა გვგონია, საკუთრივ რეჟისორისათვის ეს ყოფილიყოს დამამშვიდებელი და მოესხნას მისთვის გარკვეული უკმარობის გრძნობა. ამას მოჰყვა გარკვეული დროით ღუმილი და შეძგომი კი ამ ღუმილის სასიამოვნო დარღვევა.

„ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ ზოგ შემთხვევაში კომედიად მოინათლა. ასე, მაგალითად, უფრონა „სოვეტსკი ეკრანის“ მთავარი რედაქტორი დალ ორლოვი ამბობს: „საერთოდ, ეს ფილმი-ირონიაა, იუმორი. მე შემძლია მას კომედიად



ეწოდო. დიახ, ეს არის კიდევ კომედია!!!“. ამგვარი მოსაზრება სხვებმაც გამოთქვეს. საკუთრივ კინორეჟისორი ე. შენგელაია ამ საკითხზე ცოტა სხვა აზრისაა: „...მაუხნავალ იმისა, რომ მე დავდგი ფილმები „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ და ეს დღევანდელი კინოსურათი, და ვუცქერი მაყურებლის რეაქციას, რომელიც გულიახად იცინის, თავს მაინც სულ არ ვთვლი კომედიაგრაფად“. სრული სიმართლე! მართლაცდა, არც ერთ ფილმში ე. შენგელაია არაა კომედიაგრაფი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ყველა თავის ფილმში რეჟისორი ჩვენი ხალხის დიდ სატივარსა თუ საფიქრალზე გვიზიარებს თავის აზრს. ამიტომაცაა, რომ მისი ფილმები ერთი შეხედვით სასაცილო და ზოგჯერ დაუჯერებელ ამბებს გადმოგვცემენ, მაგრამ არსებითად სრულიადაც არაა სასაცილო.

უკვე ითქვა, რომ „ცისფერი მთები“ ე. შენგელაიას შემოქმედების ლოგიკური გაგრძელება-განვითარებაა. ამასთანავე, თუკი აღრუელ ფილმებში მოქმედება ძირითადად გარდასულ დროთა ფონზე მიმდინარეობდა, „ცისფერი მთებში“ განსჯის საგნად რეჟისორს დღევანდელობა გაუზღია. ეს ფილმი მთელი თავისი არსებობა და მიზანდასახულობით თანამედროვეობას ემსახურება. სამართლიანადაა შენიშნული: „...სწორედამიმჩნია, რომ ამ ქართულ ფილმში მოცემულია ჩვენი საზოგადოებრივი ყოფიარებობის ძალიან თანამედროვე საზომი“ (დ. ორლოვი). ვფიქრობთ, ეს უბრალო მინიშნებაც იმის მაჩვენებელია, თუ რა აქტუალური და ცხოვრებისეულია „ცისფერი მთები“, რაც ერთი უპირველესი ღირსებათაგანია ფილმისა.

„ცისფერი მთების“ ღირსება მარტო თანამედროვე ქართული სატკივარისა და საფიქრალის ასახვა როდია. ამ ფილმში ნათლად და დამაჯერებლადაა ნაჩვენები საერთო მანკიერებანი: ადამიანების ერთმანეთისადმი გულგრილობა, უდარდლობა, გაუცხოება და ა. შ. სწორედ ამიტომაც ეს ფილმი სცილდება ქართული სინამდვილის ჩარჩოებს და არსებითად ზოგადადამიანურ საფიქრალსა და სატკივარისადმი მიძღვნილი. ქართული სინამდვილე და ფილმში წარმოდგენილი სხვა სიტუაციები ძირითადად სცენარის ავტორისა და კინორეჟისორისათვის გარკვეული ფონია საერთო ადამიანური გაჭირვების წარმოსაჩენად, და სწორედ ეს უნდა იყოს ამ კინოფილმის უპირველესი ღირსება და ამ საზომით უნდა შეფასდეს იგი.

ფილმში წინა პლანზეა წამოწეული ადამიანებისათვის დამახასიათებელი მანკე პრიციპები: ბუროკრატიაში, გულგრილობა, თანაგრძნობას მოკლებული ყალბი ურთიერთობანი და ა. შ. ნიშანდობლივად მიგვაჩნია ისიც, რომ კინოფილმის ნახვისას მხოლოდ გაუჭირდება დადგინოს, თუ რა დაწესებულებაში, — რედაქციასა თუ გამომცემლობაში ხდება მთავარი ამბები. აკი ე. შენგელაიაც შენიშნავს: „ჰოდა, აა, რას წარმოადგენს ეს რედაქცია თუ გამომცემლობა, თქვენ რომ გიჩვენეთ?“. დიახ, კინოფილმი სწორედ იმაზე მოგვითხრობს, რომ ამ საერთო გულგრილობაში, უდარდლობასა და თანაგრძნობას მოკლებულ ყალბ ურთიერთობებში არა მხოლოდ ჰეშმარიტ-ადამიანური მიმართებებია გაყალბებული, არამედ საკუთრივ დაწესებულებასაც დაუკარგავს თავისი ნამდვილი სახე, და ეს გასაგებიცაა: ყველაფერს ზომ ადამიანები აძლევენ სახეს და თუ საკუთრივ ადამიანთა ურთიერთობა მოშლილია, მაშინ ამგვარი ადამიანებით წარმოდგენილი დაწესებულება ისევე სახედაკარგული იქნება, როგორებიც ეს ადამიანები არიან. ყველაფერი ეს ურთიერთგაწეობა და ასეთ შემთხვევაში ადამიანები ერთმანეთს, და ამის საფუძველზე საკუთრივ თავსაც, კარგავენ, რამდენადაც ადამიანი, ბირთვება, სხვა ადამიანებისა და, საერთოდ, საზოგადოების გარეშე არ არსებობს.

ზემოთაღნიშნული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოსდა ამ რედაქცია-გამომცემლობაში საქმეს არ აკეთებენ. საქმეს კი აკეთებენ, მაგრამ ისეთს, ამ დაწესებულების კედლებში რომ არ უნდა კედლებოდეს: — ფრანგულის შესწავლიდან დაწყებული, ქსოვი-თა და მარკშეიდერის (!) მიღებით დამთავრებული. აქ. ამ დაწესებულებაში, კინოფილ-

მის თანახმად, საოცარი გულგრილობისა და ბიუროკრატიზმის გამო, უმთავრესად უსახელო კმურობა გადაცემა ნამდვილ საქმედ. ამის კარგი მაგალითია დაწესებულების მთავარი რედაქტორისა და შენობის კომენდანტის — გრიშას გაუთავებელი დავა სურათის ერთი კედლიდან მეორეზე გადატანის თაობაზე. თუკი ბატონ ვასოს რაღაც საფუძველ მაინც აქვს (ეშინია სურათი არ ჩამოვარდესო), მოითხოვოს სურათის გადატანა, კომენდანტს გაჯიუტების არავეითარი მიზეზი არა აქვს. ესეც ამ დაწესებულებაში დამკვიდრებული და გამეფებული ატმოსფეროს უტყუარი მაჩვენებელია, რომელსაც საფუძვლად უდევს თანამშრომელთა ურთიერთგულგრილობა და უპატივისცემლობა, არაკოლეგიალობა და ა. შ.

საერთოდ, ამ რედაქცია-გამომცემლობაში დამკვიდრებული სტილი კარგად მდგენდება ფილმის ერთერთ ფინალურ სცენაშიც. თანამშრომლები შეკრებილან, რათა წინასწარ განიხილონ მათი კოლეგის — სოსოს ნაწარმოები და აქ შედგენდება საოცარი გულგრილობა ყველას მხრიდან: განხილვისას ყველანი ერთმანეთს ეთანხმებიან, იწონებენ, იზიარებენ გამოთქმულ შენიშვნებსაც კი, ასე რომ თვით სოსოს გარდა, ეს ნაწარმოები არავის არ წაუკითხავს, უფრო ზეტიც — ნაწარმოების ყველა პირი დაკარგულია.

ზემოთაღნიშნული ეპიზოდი ფილმის საერთო სულისკვეთებას გამომხატველია, და მაინც მთავარი სათქმელი დაწესებულების დირექტორის — ბატონ ვაჟას სახელთანაა დაკავშირებული. ფილმში დირექტორი ის ფიგურაა, ვისშიც, თუ შეიძლება ითქვას, ერთბაშადაა მოცემული ყველა ის მანკიერებანი თუ ნაკლოვანებანი, რომლებიც ამ დაწესებულებაშია დამკვიდრებული. იგი სარკეა იმ ორომბრაალისა და ქაოსისა, მის ირგვლივ რომ გაბატონებულა და ისეა ჩართული ამ ფერხულში, რომ არსებითად არავეითარ სიძნელეს არა გრძნობს. დირექტორი, ბატონი ვაჟა საოცრად საქმიანია ერთი შეხედვით, მაგრამ მაყურებელს გაუჭირდება იმის დადგენა, თუ რა შედეგი მოსდევს მის გამოუღებელ ფაცი-ფუცს. მას ურეკავენ გამუდმებით დათბობიერებზე იწვევენ, გარბის და გამორბის, მუდამ გზაშია, მაგრამ, რაც მთავარია, იმ საქმისათვის, რისთვისაც იგი დაწესებულების ხელმძღვანელია, მუდამ არ სცალია!

დირექტორი, ერთი შეხედვით, საოცრად მზრუნველია თანამშრომლებისადმი: ყველას ესალმება, ყველას ამბავს კითხულობს, ხშირად ბრაზობს ბიუროკრატიზმზე, ბევრჯერ გაიკვირვებს, სურათი რომ ჯერ კიდევ არ ჩამოუხსნიათ და დადგენილებაც (!) კი მიუღია ამის თაობაზე, რომელიც როგორც წესი, შეუსრულებელი დარჩენილა. ერთი სიტყვით, დირექტორიც იმ ცხოვრებით ცხოვრობს, როგორც მისი თანამშრომლების აბსოლუტური უმრავლესობა. ბატონი ვაჟას — დაწესებულების ხელმძღვანელის სახით ფილმის შემქმნელებმა ისეთი ადამიანი გვიჩვენეს, ვისთვისაც დამახასიათებელია ყალბი ურთიერთობანი ადამიანებს შორის, როცა ურთიერთობის ძირითად ფორმად ნიღაბი დამკვიდრებულა. ყველაფერი ეს კარგად ჩანს ბატონ ვაჟას ავტობიოგრაფიულ აკვანოლ დაზეპირებულ ფრაზებში: „ძალიან კარგი“, „აბა, რისთვის ვარ აქ მე“, „აბა, მე რას ვაკეთებ“, „რა საჭიროა ორი სათაური“ (იმის მიუხედავად, რომ სოსო არაერთხელ აუხსნის — ეს არაა ორი სათაური!) და ა. შ.

ფილმში ეს დაზეპირებული ფრაზებიც ერთ მიზანს ემსახურება: უჩვენოს კომუნიკაციების მოჩვენებითობა და საკუთარ თავში ჩაქეტვას დიდი წადილი. დირექტორს ეს დაზეპირებული ფრაზები ძირითადად გარკვეულ წინაღობად აქვს გამოყენებული, რათა ვინმე ახლოს არ მიიკაროს და კარგადაც აღწეეს ამ მიზანს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ კადრი, როცა შენობის ჰერის ჩამონგრევის შემდეგ ბატონ ვასოს სწორედ ის სურათი დაეცემა თავზე, რომლისაც ასე ეშინოდა, და ცოცხალმკვდარი წევს. ამ დროს დირექტორი სხვათაშორის ჰკითხავს



რედაქტორს — „რამე ხომ არ გეტყვინათ?“. მაყურებელმა უკვე ისე კარგად იცის ბატონი ვაჟის „კიკიცობა“ და „მზრუნველობა“, რომ ყოველგვარი განსჯის გარეშე გრძნობს: ეს სიტყვები თუ ფრაზა რაიმე შინაარსსა და მნიშვნელობას მოკლებულია და უფრო დროის შესავსებად, არსებული სიტუაციიდან გამოსასვლელადაა ნათქვამი. იგივე შეიძლება ითქვას, როცა ფინალში ჰერჩამოქცეული შენობიდან უწყსრაგოდ გამოვლიან დაწესებულების თანამშრომლები, უფროსს უკვე მოუწვრია მანქანაში ჩაჯდომა და ამ დროს წამიერად, ღირეპტორისათვის მოსაწყენი სიტუაცია შეაქმნება. კვლავ დაზვიერებული ფრაზები გაისმის: „სოსოს უთნაზოთ, არაა საჭირო ორი სათაური“. არც აქაა ძნელი გასაგები, რომ ღირეპტორის ეს ფრაზა, ისე როგორც ბევრი სხვა ამის მსგავსი ფრაზა, შინაარსისაგან დაცლილი და არადანიშნულებისამებრაა ნახმარი.

დაწესებულების ხელმძღვანელი — ბატონი ვაჟა თავისთავს არ ეკუთვნის, უინაციატივოა და, გარკვეულად, მთელი მისი გულგრილობაც აქედან მომდინარეობს. ამ ტიპის ხელმძღვანელი, რავინდ განათლებული და საქმიანიც არ უნდა იყოს გარეგნულად, საბოლოოდ უპრინციპო და უხერხემლოა. როდესაც აუწყებენ, „ყუფარაძემ დარეკაო“, ღირეპტორი თანამშრომლად აიყვანს მარკშეიდერს ისე, რომ არც დაფიქრებულა — სჭირდება თუ არა ამ დაწესებულებას მარკშეიდერი. თუმცა, მან არც ის იცის, ვინაა ყუფარაძე. ამ ტიპის ხელმძღვანელისათვის ხომ მთავარია „ზემოდან რომ დარეკეს!“.

დაწესებულებაში გამეფებული ქაოსის, უღარდულობისა და უსაქმიანობის ფონზე გარკვეული დისონანსი შეაქვს „შტატიან“ მუშას, რომელიც ერთადერთია აქ, რომელიც კითხულობს სივს ხელნაწერებს, მთავარი რედაქტორის გამუდმებული შენიშვნა — საყვედურების მიღებადვად. სინამდვილეში ეს კადრებიც ფილმის საერთო მიმართულებას გამოხატავს და უფრო ცხადს ხდის სათქმელს, რამდენადაც მუშის ეს გამუდმებული კითხვაც ძირითადი საქმიანობისაგან თავის არიდებად აღიქმება.

კინოფილმი ასე მთავრდება: ჰერჩამოგრეულის ნაცვლად, დაწესებულება ახალ შენობას მიიღებს. მაგრამ არც ამ შენობამ უშველა და ისევ გაისმის ბატონი ვასოს ყვირილი: „გათარიეთ აქედან ეს სურათი“. ამ ფინალს აზრთა სწავდასხვაობა გამოუწვევია. მოვუსმინოთ თვით ე. შენგელიას: „...ასე გამოვიდოდა, თითქოს ამ პატარა დაწესებულებაში მხოლოდ ეს პრობლემა არსებობდა, მან უკვე წაიღო თქვენი ჰირი, და ამით დამთავრდა კიდეც საწუხარი საქმე, მაგრამ ფინალში ამ კადრის დაყენებით ჩვენ ხაზი გავუსვით იმას, რომ ეს პრობლემა კვლავ არსებობს და, მაშასადამე, მოდით პირდაპირ შევხედოთ მას და ვიფიქროთ კიდევაც, თუ როგორ მოვიცილოთ თავიდან“. ძნელია არ დაეთანხმო ამ აზრს. ჩვენი მხრიდან დავამატებდით: თუკი აღამიანებს შორის გულგრილობა, უღარდულობა და სხვა ამგვარი ბანკიერება არ აღმოიფხვრება, მაშინ საქმეს სასიკეთოდ ვერ შემოაბრუნებს ვერც წელოწადის დროთა ცვლილებანი (ფილმი წელოწადის დროთა თანმიმდევრული ცვლის ფონზე იშლება), ვერც ახალა შენობა და ვერც სხვა ამგვარი მოვლენები.

ხელოვნების ყოველი ჰეშმარიტი ნაწარმოები თავის არსებაში გარკვეული გზა-მკლევის ფუნქციას შეიცავს, ამ მხრივ არც „ცისფერი მთებია“ გამონაკლისი. თუ რის ჩვენება უნდოდათ მის ავტორებს, ე. შენგელიას შემდეგი სიტყვებიდანაც კარგად ჩანს: „...რას წარმოადგენს ეს რედაქცია თუ გამომცემლობა, თქვენ რომ გიჩვენეთ? ჩვენ თვითონ არ ვიცით. ეს არის უზრალოდ სრული გულგრილობა ერთმანეთის მიმართ, როდესაც აღამიანები კარგავენ ერთმანეთს და აღამიანი საკუთარ პიროვნებას კარგავს“. საკუთარ პიროვნებას მოკლებული და დაშორებული აღამიანი კი სინამდვილეში აღარცაა პიროვნება, და ამიტომაც ხელოვნების ამოცანაა დაეხმაროს აღამიანს დაკარგულის საპოვნელად, რაც თვითდამკვიდრების ერთადერთი პირობაა: „ჩემი აზრით, ყოველი ჩვენთაგანი საკუთარ თავს უნდა ეძიებდეს და უნდა პოულობდეს საკუთარს —



პიროვნებას. და აი, სწორედ მხოლოდ მაშინ პოულობს ადამიანი თავის ადგილს საზოგადოებაში, ახლობელთა შორის... და მისი მოვლენა ამქვეყნად უკვე იძენს მნიშვნელობას“. მშვენიერადაა ნათქვამი და ფილმიც გარკვეული მოწოდებაა, რათა ადამიანებმა ზურგი აქციონ უსულგულობასა და გულგრილობას, რომელთა გადალახვის გარეშე ვერ ავცდებით ადამიანურ ტრაგედიას.

ფილმში პროფესიონალ და არაპროფესიონალ მსახიობთა შესანიშნავი ანსამბლია გაერთიანებული, რომელთა კარგმა თამაშმაც ყოველმხრივ შეუწყო ხელი ფილმის ავტორების ჩანაფიქრის ბოლომდე გახსნას. მათგან მაინც უნდა გამოვყოთ დაუვიწყარი სესილია თაყაიშვილი. მისი ეპიზოდური გამოჩენა ეკრანზე თათქმის ერთიდაიგივე ფრაზებით — „რალაც ირყევა“, „რალაც ტრიალებს“, „არ გამეკაროს ეს კაცი“ — გარკვეული საკმაზია ამ შესანიშნავი ფილმისათვის და დაღად ეხმარება მაყურებელს მის სრულყოფილ აღქმასა და განცდაში.

დასასრულს კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფილმში ყველგან, განსაკუთრებით დახვეწილ დიალოგებში, იგრძნობა სცენარის ავტორის — დიდი გემოვნებისა და უბრეტენზიო, გამორჩეული ქართველი მწერლის რეზო ქეიშვილის „ხელი“. ასევე თვალსაჩინოა კომპოზიტორ გია ყანჩელისა და ოპერატორ ლევან პაატაშვილის წვლილი ფილმის წარმატებაში. საერთოდ კი „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ ქართული კინოს, ქართული ხელოვნების და, საერთოდ, ქართული კულტურის დიდი გამარჯვებაა. ყოველივე ამის გამო კი, ფილმის წარმატება ყველას კანონზომიერი სიამაყის განცდას გვანიჭებს.



რუსული საბჭოთა დრამატურგია ბათუმის თეატრის სცენაზე

წიგნი II

ოცდაათიან წლებში ბათუმის თეატრის სცენაზე რუს საბჭოთა დრამატურგთა ბევრი პიესა დაიდგა. ამ პერიოდში მთავარი ყურადღება კვლავ ისტორიულ თემას აქვს დათმობილი. ს. კარტაშვილის „ჩვენი ახალგაზრდობა“ შორეული აღმოსავლეთის რევოლუციური ბრძოლის ფონზე იშლება. რეჟისორ გ. ლვინაშვილს სპექტაკლი საინტერესო აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ მასში გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობები. ამას პრესაც აღნიშნავდა: „ჩვენი ახალგაზრდობის“ დადგმამ მრავალი ახალგაზრდა მსახიობი წამოსწია წინ... მატვევის როლის შესრულება მოხერხებულად შესძლო ნ. ხორავამ. მან შესაფერისად დასახა მეტრძოლი კომკავშირელის ტიპი. კარგი იყო გ. ჩახავა ბეზისის განსახიერებაში. ამ როლის მოხდენილად შესრულებით მან ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა... თეატრის ახალგაზრდა მსახიობებს შორის...“ („საბჭოთა ავანტიურა“, № 49, 1931 წ.).

ამ პერიოდში დადგმული პიესების ავტორები ძირითადად რევოლუციის პირველი პერიოდის მასალას ეყრდნობიან, რაც ისტორიული ამბების წარმოსახვაში გამოიხატებოდა. ამიტომ თეატრის იდეოლოგიური ორიენტაცია ცალმხრივად იყო წარმოდგენილი, რადგან რევოლუციური ქრონიკა ვერ შესძლებდა თანამედროვე ცხოვრების მაქსიმუმის გადმოცემას. თეატრმა ყურადღება გაამახვილა გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის თემაზე, რაც ნაწილობრივ აკმაყოფილებდა თანამედროვე თეატრის ამოცანას.

ამ თვალსაზრისით იყო გაპირობებული ვ. კირშინის „პურის“ დადგმა (რეჟისორი ნ. გოძიაშვილი). პიესა სოფლად კლასობრივ ბრძოლას ასახავდა და ნათლად გამოკვეთდა კომუნისტური პარტიის პოლიტიკურ კურსს აგრარული რეფორმის საკითხში, თუმცა, როგორც პრესა აღნიშნავდა, შ. დადიანის მიერ პიესის გადმოქართულებას სათანადო შედეგი არ მოჰყოლია და ვერც მსახიობებმა შესძლეს საინტერესო სახეების შექმნა.

ბათუმის თეატრის ახალი შემოქმედებითი წარმატებები 1936-1937 წლის სეზონიდან იწყება, როცა რუსთაველის თეატრის დრამატულ სტუდიაში აღზრდილი ახალგაზრდა მსახიობები შეუდგნენ მუშაობას ცნობილი ქართველი რეჟისორის ა. ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით. გამოიკვეთა თეატრის იდეოლოგიურ-მხატვრული სახე. დიდი ყურადღება დაეთმო თანამედროვე შინაარსის ნაწარმოებების შერჩევას, სადაც გარკვეული წვლილი შეიტანა რუსულ საბჭოთა დრამატურგთა პიესებშიც.

ამ მიმართულებით სხვადასხვა სეზონში განხორციელდა ძეგლის ტურებისა და შეინინის „პირისპირ“ (რეჟისორი შ. ინსარიძე), სადაც პოლიტიკური დეტექტივის ჟანრში ასახულია იდეოლოგიურ მტრებთან ბრძოლა, პიესის მნიშვნელობა ის იყო, რომ უჩვენა საბჭოთა ადამიანთა დარაზმულობა, მტკიცე ხასიათი მტერთან ბრძოლაში, ხოლო გერ-

გელისა და ლიტოვსკის პიესაში „ჩემი შვილი“ (რეჟისორი გ. მრავლაძე), მოცემულია იყო რევოლუციური მოძრაობის ჩასახვა უნგრეთში.

დასახელებული პიესებში თეატრმა შეძლო თანამედროვე ცხოვრების პრობლემათა დამაჯერებელი ასახვა, პრესა აღნიშნავდა: „თავისი იდეოლოგიურ-მხატვრული სიძლიერით ამ სეზონის დადგმებიდან პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს ვოიტეხოვისა და ლენჩის ცნობილ პიესა „პაველ გრეკოვს“, რომელიც დადგა რეჟისორმა შ. ინასარმა, დადგმა უთუოდ კარგადაა განხორციელებული“... შემოქმედებით წარმატებებს მიღწიეს მსახიობებმა: ზ. ლონტა (პაველ გრეკოვი), ე. ცივაძემ (სორკინი), ბ. ზაქარიაძემ (ნარზულავეი), ა. მგელაძემ (კოვალიოვი)“ („საბჭოთა აჭარა“, № 74, 1940 წ.).

30-იანი წლების ბოლოსათვის თეატრმა რთული და საინტერესო გზა განვლო. გამოიკვეთა მისი შემოქმედებითი სახე. თეატრის ეს მნიშვნელოვანი წინსვლა ძირითადად განაპირობა ქართული და რუსული კლასიკის, აგრეთვე თანამედროვეობის ამსახველი საბჭოთა პიესების დადგმამ. თეატრისათვის დამახასიათებელი იყო სპექტაკლების ანსამბლურობა, რეპერტუარის ღრმა იდეურობა და მრავალფეროვნება. სადაც სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს თანამედროვეობის ამსახველი პიესები, რომლებშიაც ნაწილები იყო საბჭოთა ადამიანის ბუნება, მათი მტკიცე ხასიათი და გმირული შრომის პათოსი.

დიდი სამამულო ომის წლებში თეატრმა რეპერტუარში ადგილი დაუთმო ისეთ პიესებს, რომლებშიც აისახა საბჭოთა ადამიანების მორალური სიმტკიცე, სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნა. მათ შორის იყო: კ. ტრენოვის „ლუბოვ იაროვია“, კაცისა და რეჟისორის „ოლეკო ღუნდიჩი“, კ. სიმონოვის „მელოდე“, ვ. როკის „ინჟინერი სერგევი“ და სხვ.

ომის შემდეგაც არ შენელებულა თეატრის ინტერესი რუსული საბჭოთა დრამატურგიისადმი. სხვადასხვა სეზონში იდგმებოდა კ. სიმონოვის „რუსეთის საკითხი“, ბ. ლავრენიოვის „მეზღაურები“, ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, ა. სოფრონოვის „მოსკოვური ხასიათი“ და „ერთ ქალაქში“, ა. შტეინის „პერსონალური საქმე“ და სხვა ბევრი საინტერესო პიესა, რომელთაგან გვინდა გამოვყოთ 60-70-იანი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი დადგმები.

1961-62 წლების სეზონში დაიდგა კ. სიმონოვის „მეოთხე“. მასში აისახა მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის თემა, რომელიც იშლებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სინამდვილის ფონზე.

რეჟისორმა მ. ხინიკაძემ და დამდგმელმა კოლექტივმა შესძლეს შეექმნათ სოციალური ელერადობის საინტერესო სპექტაკლი, რომლის შთაფარი გმირია მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი. კომპოზიციურად დადგმა ასახავდა მორალურ მსჯავრს მთავარ გმირზე, მის სინდისზე. რაც სპექტაკლს პუბლიცისტურ ელერადობას, ხოლო მოვლენებს პოლემიკურ ელფერს აძლევდა.

მთავარი მოქმედი პირის — ომის ვეტერანის საინტერესო სახე შექმნა გ. გოგიბერიძემ. ღრმად ხსნიდა რა გმირის ხასიათს, დრამატიზმით გადმოცემდა იმ შინაგან ბრძოლას, რომელიც მის სულიერ სამყაროში ხდებოდა, კრიტიკულ მომენტში კი საბოლოოდ უნდა გარკვეულიყო, თუ რომელ სოციალურ ბანაკს ეკუთვნოდა.

ფაზისზე გამარჯვების 30 წლისთავს მიეძღვნა შ. ვასილიევის პიესის „განათიადი კი აქ წყნარია“ დადგმა; იგი რეჟისორმა მ. ფვანიამ განახორციელა. სპექტაკლში ზემდგმვასკოვის დასამახსოვრებელი სახე შექმნა ი. ცანავამ. მსახიობი საინტერესოდ გადმოსცემდა გმირის შინაგან ტრაგედიას. მებრძოლი ქალების ანსამბლი: ც. აბზიანიძე (რიტა ბრიჩკინა), ლ. ჯიბლაძე — (ყენია კომალკოვა), ქ. ასანიძე — (ლიზა ბრიჩკინა), ლ. ლომთათიძე — (გალია ჩეტვერტაკი) საინტერესო და საყურადღებო იყო.

თანამედროვე დრამატურგთა პიესათაგან თეატრმა განახორციელა ვ. როზვიცის „სალამოდან შუადღემდე“. სპექტაკლში გამოირჩეოდა მსახიობი ზ. შილაკაძე; აქ შესრულებული ალბერტის როლით ნათლად გამოვლინდა ახალგაზრდა მსახიობის ოსტატობა. პრესაში ღრმა ფსიქოლოგიურობით აღინიშნა ა. ტაკიძის კიმი ჟარკოვი და გ. გოგიბერიძის ანდრეი ჟარკოვი, რომელიც ბოლო წლების მანძილზე მსახიობის შემოქმედებაში საუკეთესო აღმოჩნდა.

ბათუმის თეატრი თანამედროვე ავტორთა პიესების გვერდით დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა კლასიკოსებსაც. მნიშვნელოვან მოვლენად იქცა მ. გორკის „ეგორ ბულიჩოვისა და სხვების“ დადგმა. (რეჟისორი გ. აბესაძე).

თეატრისათვის დიდი შემოქმედებითი გამოცდა იყო მ. ბულგაკოვის „სრბოლის“ დადგმა, რომელიც ერთ-ერთი ურთულესი ნაწარმოებია საბჭოთა დრამატურგიაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართული თეატრის სცენაზე „სრბოლა“ პირველად განხორციელდა, რაც დამდგმელ კოლექტივს ორმაგ პასუხისმგებლობას აკისრებდა.

სპექტაკლში 20-იანი წლების ძალთა საბედისწერო ჭიდილი დანახული იყო თანამედროვეობის პოზიციიდან. რეჟისორმა დ. ხინიკაძემ წარმოდგენაში გამოკვეთა პოლიტიკური და ზნეობრივი პრობლემების აქტუალობა.

სპექტაკლმა დიდი შემოქმედებითი წარმატება მოუტანა თეატრს და გამოამყვანა სამსახიობო ოსტატობის მაღალმხატვრულობა. განსაკუთრებით უნდა გამოვეყთ ა. ტაკიძის, გ. გოგიბერიძის, ნ. საკანდელიძის, ი. ცანავას, ლ. ჯიბლაძის, ნ. მესხიძისა და სხვათა მიერ განხორციელებული როლები.

თეატრი კვლავ განაგრძობს რუსულ საბჭოთა კლასიკურ დრამატურგიაზე მუშაობას და რეჟისორი გ. აბესაძე დგამს ბ. ლავრენიოვის „რდვევას“.

ბათუმის თეატრის რეპერტუარში რუსულმა საბჭოთა დრამატურგიამ, ქართულ დრამატურგიასთან ერთად დიდი როლი ითამაშა ისტორიულ-რევოლუციური თემატიკის სცენაზე მხატვრულად ასახვის საქმეში. იგი გამოხატავდა საზოგადოებრივი ცხოვრების შემოქმედებათ განვითარებას. შეიქმნა მაღალმხატვრული სცენური სახეები, რომლებმაც თავისი მნიშვნელობით საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ქართულ საბჭოთა თეატრის ისტორიაში.



„საბჭოთა აჭარა“ გამოცემა

საქართველოს ტყეებში გავრცელებულ მდიდარ სამკურნალო მცენარეთა შესწავლასა და მათს პოპულარიზაციას ეძღვნება გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ მიერ გამოშვებული შალვა ხიდაშელისა და ვანო პაპუნიძის ნაშრომი „საქართველოს ტყის სამკურნალო მცენარეები“, რედაქტორები ვ. მემიაძე და ო. ბუკიაძე.

ავტორები მკითხველს მოუთხოვნიან ხალხური მედიცინის მნიშვნელობის, ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე პრაქტიკულად გამოყენებული მცენარეული სამკურნალო საშუალებების გამოყენების შესახებ.

„აღმიანი — წერენ ავტორები, — უხსოვარი დროიდან დიდ ყურადღებას აქცევდა სასარგებლო მცენარეების გამოძიება-გამორჩევას, საუკუნეების მანძილზე მას ბუნებასთან უშუალო კავშირი ჰქონდა და მისგან ნაბოძებ ტყის მწვანე მცენარეულ სიმდიდრეს იყენებდა, როგორც ვიტამინიზირებულ საკვებს და სხვადასხვა ტრავმითა და დაავადებებით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქების სამკურნალო რესურსს.“

შეიძლება ითქვას, საქართველოს ტყეებში და ტყის ზონებში გავრცელებული ნედლეულის მეცნიერულ და ხალხურ მედიცინაში გამოყენებისადმი მიძღვნილი ნაშრომი პირველად დაიწერა. ეს კი ამაღლებს წიგნის არა მარტო მეცნიერულ, არამედ პრაქტიკულ ღირებულებასაც. იგი ავტორთა ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგია. მასში გაშუქებული საკითხები საინტერესო და სასარგებლოა არამარტო ექიმებისა და ფარმაცევტებისათვის, არამედ ყველა პრო-

ფესიის აღმამიანისათვის. სწორედ ამიტომ ნაშრომის პირველი გამოცემა (1980 წ.) რამდენიმე დღეში გაიყიდა. პირველთან შედარებით, მეორე გამოცემა უფრო დაიხვეწა და შეივსო საუკეთესო სამკურნალო თვისებების მცენარეებით და, რაც მთავარია, წიგნი დამუშავებულია მცენარეთა ფერადი ფოტოებით.

ავტორები თითოეულ სამკურნალო მცენარეს ახასიათებენ ბოტანიკურ-მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, მიუთითებენ მათი გავრცელების არელებს, შემადგენლობას, ამასთან აღწერენ მათს სამკურნალო, კულინარულ, ინტექსიციდურ, ტექნიკურ, ესთეტიკურ და სხვა სასარგებლო თვისებებს, გამოყენების მეთოდებს, იძლევიან რეცეპტულ მონაცემებს.

სარეცენზიო ნაშრომს ერთვის მოკლე რეზიუმეები რუსულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე საძიებელი, რაც აადვილებს მის პრაქტიკულ გამოყენებას. სამამულო და საზღვარგარეთული ლიტერატურული წყაროების ფართო გამოყენება და თანდართული სია დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას აძლევს ღრმად გაეცნოს მისთვის საინტერესო საკითხებს.

ავტორები დიდ ყურადღებას უთმობენ სამკურნალო მცენარეთა პრაქტიკული გამოყენების საკითხებს. ამასთან დაკავშირებით სასურველი იქნებოდა მიეთითებინათ ამა თუ იმ მცენარისაგან რახეობის პრეპარატები მზადდება და იყიდება სააფთიაქო ქსელში, ამით მკითხველს საშუალება ექნებოდა აფთიაქში შეეძინა მისთვის სასურველი სამკურნა-

ლო მცენარისაგან მომზადებული ესა თა-
ის პრეპარატი, მით უფრო, რომ ხშირად
ოჯახურ პირობებში წამლის დამზადები-
სათვის აუცილებელი ტექნოლოგიის და-
ცვის შესაძლებლობანი არ არის, სხვა-
გვარად კი ამას შეიძლება ცუდი შედე-
გი მოჰყვეს.


სასურველია წიგნის შემდგომი გამო-
ცემის შემთხვევაში გასწორდეს დაშვე-
ბული შეცდომები, კერძოდ, ლათინური
სახელწოდებები, საჭიროა წიგნს დაერ-
თოს აგრეთვე სამკურნალო მცენარეთა
დასახელება რუსულ ენაზე, ამით დაინ-
ტერესებულ მკითხველს საშუალება ექ-

ნება რუსული წყაროების გაცნობისას
სწორად გამოიყენოს ქართული შესატყ-
ვისები.

შ. ხიდაშელისა და ვ. პაპუნაძის ნაშ-
როში სამეცნიერო-სამედიცინო ლიტე-
რატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. იგი
დიდ ღახმარებას გაუწევს აგრეთვე სამ-
კურნალო მცენარეების დამამზადებელ
ორგანიზაციებს და იმ პირებს, რომლე-
ბის ხელშეკრულებით აწარმოებენ მთის
რაიონებში სამკურნალწამლო მცენარე-
ბის შეგროვება-დამზადებას.

თემურ ფალავანდიშვილი,

აჭარის ასსრ სააფთიაქო სამმართვე-
ლოს უფროსი.



პროექტის განხილვას მიმდევნად

ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრაზე გაიმართა გაფართოებული სხდომა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის განხილვას მიეძღვნა.

პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა კათედრის გამგემ პროფესორმა შ. ჯაფარიძემ.

სიტყვით გამოვიდნენ ინსტიტუტის პრორექტორი იდეურ-აღმწერდელობითი მუშაობის დარგში დოცენტი რ. დიასაძე, უფროსი მასწავლებლები გ. დავითაძე, თ. მოისწრაფიშვილი, ი. ჩხარტიშვილი, გ. შერვაშიძე, დოცენტი რ. ზოსიძე.

სხდომაში შეიმუშავა ღონისძიებათა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ პარტიის ახალი პროგრამის საფუძვლიან შესწავლას, აგრეთვე შეფ. ორგანიზაციებში გამსვლელი ლექცია-საუბრების მოწყობას.

* * *

პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგ-იკა-ფსიქოლოგიის კათედრისა და პარტიული ჯგუფის გაერთიანებულ სხდომაზე განხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი.

მოხსენება გააკეთა კათედრის პარტორგმა დოცენტმა ნ. ბარამიძემ.

განხილვაში მონაწილეობდნენ დოცენტები ი. ბიბილეიშვილი, ა. ართილავა, მ. მიკულინსკაია, პედაგოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ზასილაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ი. კეჭუყაძე.

განხილვის შედეგები შეაჯამა პედაგოგ-იკა-ფსიქოლოგიის კათედრის გამგემ დოცენტმა ა. გობრონიძემ.

პუბლიკის სტუმრები

ბათუმის ნავსადგურში ლუზა ჩაუშვა სამგზავრო ლაინერმა „ლეონიდ ბრეჟნევმა“. თბომაველმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩვენს ქალაქში ჩამოიყვანა 500-ზე მეტი ტურისტი, რომლებიც კრუიზით მოგზაურობენ შავ ზღვაზე. ესენი არიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და ანტიფაშისტური მოძრაობის ვეტერანები, ესპანეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილენი, ტელმანის თანამებრძოლები, ისინი, ვინც სოციალიზმის მშენებლობის სათავეებთან იდგნენ.

სტუმრებთან შესახვედრად საზღვაო ვაგზალში მოვიდნენ ახალგაზრდობა, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ისინი გულთბილად მიესალმნენ სტუმრებს — ჯგუფის ხელმძღვანელს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს პროფესორ ჰაინც ფოსკეს, მის მოადგილეს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებს კურტ შლაგს, კირინ ციგერტს და სხვებს. პიონერებმა მათ ყვავილები მიართვეს.

როგორც დოქტორმა ჰაინც ფოსკემ თქვა, კრუიზი ეძღვნება სკკპ XXVII ყრილობას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებმა, შშრომელებმა კარგად იციან, როგორი პასუხისმგებლობით ემზადება საბჭოთა ხალხი ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ.

გერმანელმა სტუმრებმა დათვალიერეს ქალაქი, გაეცნენ ღირსშესანიშნავ

ადგილებს, იყვნენ ბოტანიკურ ბაღში.

ცენტრალური გადასატვირთავი ნავ-
თობაზისი კულტურის სახლში გაიმართა
მეგობრობის საღამო. იგი გახსნა სსრ
კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რეს-
პუბლიკის მეგობრობის საზოგადოების
აჭარის განყოფილების გამგეობის თავ-
მჯდომარემ, აჭარის პროფსაბჭოს მდივან-
მა გ. კიკნაძემ.

საღამოზე გამოვიდა კრუიზის ხელმძღ-
ვანელი დოქტორი ჰაინც ფოსკე. მან მა-
ღლობა გადაუხადა მასპინძლებს გულ-
თბილი მიღებისათვის, ხაზი გაუსვა გერ-
მანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა
და სსრ კავშირის ხალხთა შორის მე-
გობრობის განმტკიცების დიდ მნიშვნე-
ლობას.

* * *

აჭარას ეწვია ბულგარეთის სახალხო
რესპუბლიკის ბლაგოვეგრადის ოკრუგის
სოფელ გირმენის აგროსამრეწველო
კომპლექსის დელეგაცია, რომელსაც ხე-
ლმძღვანელობდა ბულგარეთის კომუნი-
სტური პარტიის გირმენის საოლქო კო-
მიტეტის პირველი მდივანი ვასილ კანი-
ნი. დელეგაციაში შედიოდნენ აგროსამ-
რეწველო კომპლექსის თავმჯდომარე
ივან კოსტადინოვი და საკვებმომპოვებე-
ლთა ბრიგადირი იულიან დერმენჯიევი.

ბულგარელი მეგობრები ქობულეთის
რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეუ-
რეობის სტუმრები იყვნენ და საპასუ-
ხო ვიზიტით იმ ხელშეკრულების შესა-
ბამისად გვეწვივნენ, ბობოყვათელთა
დელეგაციამ წელს მაისში რომ დადო
გირმენის აგროსამრეწველო კომპლექს-
თან იქ ყოფნის დროს.

ბულგარელი მეგობრები გაეცნენ ცო-
ტრუსოვანთა ნაყოფის აღება-გადამუშა-
ვების ორგანიზაციას, პარტიული ორგა-
ნიზაციების საქმიანობას, გააფორმეს ხე-
ლშეკრულება 1986 წლისათვის.

საგასტროლოდ ერაჟში

ფართოვდება აჭარის სიმღერისა და
ცეკვის ანსამბლის საზღვარგარეთული
საგასტროლო მარშრუტები. ამას წინათ
კოლექტივის ერთი ჯგუფი ეწვია შორე-
ულ ერაჟს.

ქართველმა მომღერლებმა და მოცეკ-
ვებებმა ორი კვირის განმავლობაში ექ-
ვსი კონცერტი გამართეს. მოიარეს ბალ-
დადი, ნემრული და სხვა ქალაქები. და-
ათვალიერეს საერთაშორისო გამოფენა,
სტუმრები მიიწვიეს ცალკეულ პავი-
ლიონებში. ჰქონდათ სპეციალური შე-
მოქმედებითი შეხვედრა დიპლომატებთან.

ყველგან, ერაჟის ყოველ ქალაქში მო-
სახლეობა ერთნაირ გულითაღობას იჩე-
ნდა ქართული ფოლკლორის ნიმუშები-
სადმი, სტუმრებიც ყოველ ღონეს ხმა-
რობდნენ, რათა ღირსეული პროპაგანდა
გაეწია მათთვის.


მიუხედავად გადატვირთული განრიგისა,
ქართველ მსახიობებს ბევრი საინტერე-
სო შეხვედრა ჰქონდათ, ეწვივნენ ბალ-
დადის უნივერსიტეტის სტუდენტებს,
დაათვალიერეს ნორჩი მხატვრების ნა-
მუშევრების გამოფენა.

ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ

ბათუმის № 4 საშუალო სკოლის ბი-
ბლიოთეკასთან არსებულმა „წიგნის
ნორჩ მეგობართა“ წრის აქტივისტებმა
მოაწვევეს დიდი ქართველი მწერლისა
და საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის
დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღ-
ვნილი ლიტერატურული საღამო —
„შთამომავლობას გზას უნათებს რო-
გორც ლამპარი“.

საღამოზე მოსწავლეებმა მოიწვიეს
აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს
თანამშრომლები, ბათუმის პედაგოგიუ-
რი ინსტიტუტის სტუდენტები და ლექ-
ტორ-მასწავლებლები.

„ჩემი კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწ-
ყენია“ — ამ სიმღერით დაიწყო ლი-



ბათუმის ნავსადგურში.

ა. ლომაძის ნახატი.



6212/8

3360 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118